დანართი №5

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

(სსიპ - ქაიხოსრო (ქაქუცა) ჩოლოყაშვილის სახელობის ქალაქ თელავის N2 საჯარო სკოლა)

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ნატო ოგანეზოვი

წევრები:

ნინო მარღიშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
თეა მათითაიშვილი (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ეკატერინე ჟვანია (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზურაბ ურიადმყოფელი (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ხათუნა კალმახელიძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
გიორგი ხომასურიძე (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ბელა დურგლიშვილი (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლია სვიმონიშვილი (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
საბა დარსაველიძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ნინო ჭიჭინაძე (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ ქაიხოსრო (ქაქუცა) ჩოლოყაშვილის სახელობის ქალაქ თელავის N2 საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	231171736

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ქალაქი თელავი
ფაქტობრივი მისამართი	თამარის ქუჩა N61
საფოსტო ინდექსი	2200
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	https://skolebi.emis.ge/
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	Telavi2@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	MES 8 26 0000182068; 18.02.2026
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	2026 წლის 30-31 მარტი

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	სასწავლო მიზნებისთვის გამოსაყენებელი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის/ქუჩის და თითოეულ მისამართზე შენობა-ნაგებობების რაოდენობის მითითებით)
	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	სსიპ ქაიხოსრო (ქაქუცა) ჩოლოყაშვილის სახელობის ქალაქ თელავის N2 საჯარო სკოლა
	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	სსიპ ქაიხოსრო (ქაქუცა) ჩოლოყაშვილის სახელობის ქალაქ თელავის N2 საჯარო სკოლა
	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	სსიპ ქაიხოსრო (ქაქუცა) ჩოლოყაშვილის სახელობის ქალაქ თელავის N2 საჯარო სკოლა

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

საავტორიზაციო ვიზიტის მიმდინარეობისას სკოლის ადმინისტრაცია და პედაგოგები აქტიურად თანამშრომლობდნენ ექსპერტებთან. სკოლაში მკვეთრად იგრძნობოდა საქმიანი გარემო, მოსაზრებების ურთიერთპატივისცემა, თანამშრომლობის მაღალი ხარისხი,

ურთიერთშეჯერება. ზოგადი განათლების ხარისხის ექსპერტებმა შეისწავლეს სკოლის მატერიალური რესურსი, გაეცნენ/განიხილეს სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, განხორციელდა გასაუბრება სასკოლო საზოგადოებასთან. საგნობრივი ექსპერტები ონლაინ რეჟიმში გაესაუბრნენ მასწავლებლებს. ვიზიტის მიმდინარეობისას გამოკვეთილი მიგნებები, შეჯამების ეტაპზე, მიეწოდა სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენლებს. ექსპერტების მიგნებები ეფუძნებოდა მოქმედ კანონმდებლობას და/ან სკოლის მიერ შედგენილ დოკუმენტაციას. უნდა აღინიშნოს, რომ ექსპერტების უკუკავშირი სკოლის დირექციის მიერ გაზიარებულ იქნა, ვინაიდან მხარეთა არგუმენტირებული პოზიციები სკოლის მხარდაჭერისა და განვითარებისკენ იყო მიმართული.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება

	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.1	☒ შეესაბამება

მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒	აღწერა *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)*
მოსწავლეთა რაოდენობა: 696 (ორი ცვლა)	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*ხარვეზი*
ინდიკატორი N		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*ხარვეზი*

ინდიკატორი N		
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*ხარვეზი*
ინდიკატორი N		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი *(ასახეთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დასახელება)*	*ხარვეზი*

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)[1]

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
3.4.1.1	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-	სკოლამ უზრუნველყოს უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობ ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნის მოპოვება, შენობ ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნასთან შესაბამისობის შესახ უფლებამოსილ უწყებასთან მიმართვა და საგანგებო სიტუაციების მართვ გეგმის შეთანხმება შესაბამის უწყებებთან, შესაბამისობის უზრუნველყოფ გეგმის შესაბამისად, 2027 წლის 10 აგვისტომდე.

1 გარდა მეორე სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.

	ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში)	
სტანდარტი N4	*მოსწავლეთა მხარდაჭერა*	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	*სასკოლო კურიკულუმი* *(ასახეთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დასახელება)*	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N2.1.2.5.	*საბუნებისმეტყველო მიმართულება, საბაზო და საშუალო საფეხური*	სკოლამ შესაბამისობის გეგმაში მითითებულ ვადაში უზრუნველყოს საბუნებისმეტყველო მეცნიერებების (ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგია) მიმართულების საბაზო და საშუალო საფეხურის განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეაფსების რუბრიკების გაწერა ესგ - ს (სტანდარტის) შესაბამისად.
ინდიკატორი N2.1.2.5.	*საბუნებისმეტყველო მიმართულება - დაწყებითი საფეხური*	სკოლამ შესაბამისობის გეგმაში მითითებულ ვადაში უზრუნველყოს დაწყებითი საფეხურის ბუნებისმეტყველების მიმართულების განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეაფსების რუბრიკების გაწერა ესგ - ს (სტანდარტის) შესაბამისად.

V. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	**სკოლის ფილოსოფია**	*რჩევა*
1.2.1.2	სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს	სასურველია სკოლამ სტრატეგიული გეგმის შესაბამისი ამოცანები/აქტივობები გაწეროს წლების შესაბამისად.
1.2.2.1	სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს	სასურველია სკოლამ სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიაში დეტალურად გაწეროს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგის პერიოდულობა და საშუალებები.
სტანდარტი N3	**სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა**	*რჩევა*
3.1.1.1	სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული	სასურველია სკოლამ ერთმანეთთან შესაბამისობაში მოიყვანოს სკოლ სტრუქტურული სქემა და სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციებ და საკვალიფიკაციო მოთხოვნების დებულება.
3.1.2.3	პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით	სასურველია სკოლამ თანამშრომელთა (გარდა მასწავლებლისა) მიღების წესი და პირობები გაწეროს სკოლის შიდა მარეგულირებელი დოკუმენტით, განსაზღვროს კანონმდებლობით დადგენილი დასაქმების შეზღუდვის შემთხვევები და შრომითი ხელშეკრულების გაფორმებამდე კანდიდატებს დაავალოს სხვა დოკუმენტებთან ერთად წარმოადგინოს კანონით დადგენილი ცნობები (ცნობა ნასამართლეობის შესახებ; ცნობა უფლების ჩამორთმევის შესახებ; ცნობა სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის შესახებ).

3.6.3.5	ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია	სასურველია სკოლამ პერიოდულად განაახლოს ვებ. გვერდი და დროულა ასახოს სიახლეები და ცვლილებები.
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*რჩევა*
ინდიკატორი N....		
4.2.4.1		სკოლა მოსწავლეებს არ სთავაზობს დამატებით არასავალდებულო ხასიათის მომსახურებას. სკოლას იჯარით ჰქონდა ფართი გაცემული, სადაც ფუნქციონირებდა ცეკვის წრე. ამ ეტაპზე იჯარა გაუქმებულია. **სასურველია სკოლამ განაახლოს ამონაწერი.**

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი *(ასახეთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დასახელება)*	*რჩევა*
2.1.2.1	*ფიზიკური აღზრდა და სპორტი*	სამივე საფეხურზე - სასკოლო კურიკულუმები სასურველია მეტად გამრავალფეროვნდეს თეორიული სახის სასწავლო თემების მიხედვით,

		როგორებიცაა (ჯანსაღი ცხოვრების წესი, მავნე ჩვევები, ოლიმპიზმი და სხვა.)
2.1.2.1	*დაწყებითი 1-4*	**რჩევა:** რჩევები გაიცა სასწავლო საკითხთან მიმართებაში, სასურველია საკითხი იყოს კონკრეტული.
2.1.2.1	*მათემატიკა*	**რჩევა: ყველა საფეხურის** კურიკულუმში მიზანშეწონილია რესურსების სვეტის სრულყოფილად შევსება, კერძოდ: სახელმძღვანელოს შესაბამისი გვერდების, ელექტრონული მისამართებისა და გამოყენებული თვალსაჩინოებების დეტალური მითითება. ასევე, სასურველია კურიკულუმში ნათლად იყოს წარმოდგენილი თემების მიხედვით საათობრივი განაწილება, სვეტის სახელწოდება: "თავის შემაჯამებელი დავალება" ჩანაცვლდეს "შემოქმედებითი დავალების იდეით" და შეიტანონ ყველა დავალება, რაც შემოქმედებით პროდუქტს ქმნის. კურიკულუმში თემების სახელწოდებები დაკორექტირდეს და შესაბამისობაში იყოს საგნობრივი სტანდარტით განსაზღვრულ ფორმულირებებთან.
2.1.2.1	*სპორტი*	**რჩევა:** სამივე საფეხურზე სასკოლო კურიკულუმები სასურველია მეტად გამრავალფეროვნდეს თეორიული სახის სასწავლო თემების მიხედვით, როგორებიცაა (ჯანსაღი ცხოვრების წესი, მავნე ჩვევები, ოლიმპიზმი და სხვა.)
ინდიკატორი N2.1.2.2.	*საბუნებისმეტყველო მიმართულება - დაწყებითი საფეხური*	დაწყებითი საფეხურის ბუნებისმეტყველების ყველა კლასის კურიკულუმის ჩარჩო - ცხრილებში ყველა სასწავლო სავალდებულო თემის ყველა ძირითად საკითხთან სასწავლო რესურსებში მითითებული იყოს სახელმძღვანელო, სახელმძღვანელოს ავტორი და გვერდები, ყველა სავალდებულო თემა გაწერილი იყოს იმგვარად, რომ თემის ფარგლებში დამუშავდეს ყველა სამიზნე ცნება.
ინდიკატორი N2.1.2.2.	*საბუნებისმეტყველო მიმართულება, საბაზო და საშუალო საფეხური*	საბუნებისმეტყველო მეცნიერების (ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგია) მიმართულების საბაზო და საშუალო საფეხურის კურიკულუმის ჩარჩო - ცხრილებში ყველა სავალდებულო სასწავლო თემა გაწერილი იყოს იმგვარად, რომ თემის ფარგლებში მუშავდებოდეს ყველა სამიზნე ცნება;

		სამიზნე ცნებების შესაბამისი ქვეცნებები გაწერილი იყოს სასწავლო თემისა და სტანდარტის შესაბამისად; ყველა გამოყოფილ ძირითად საკითხთან განსაზღვრული იყოს სამიზნე ცნების შესაბამისი ქვეცნებები.
N2.1.2.2	*საზოგადოებრივი მეცნიერებები*	**რჩევა: დაწყებითი საფეხური** • ჩვენი საქართველოს VI კლასის კურიკულუმში, მეორე თემაში ,,აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთი" მითითებულია მხოლოდ ორი სამიზნე ცნება (მეურნეობა, მრავალფეროვნება), შესაბამისი ქვეცნებებით. ასამატებელია დანარჩენი ოთხი სამიზნე ცნება (სივრცე, დრო, საზოგადოება, სახელმწიფო), ქვეცნებებთან ერთად. **საბაზო საფეხური** • მიზანშეწონილია, VII კლასის ისტორიის კურიკულუმში, პირველი და მესამე თემა ჩასწორდეს საგნობრივი სტანდარტის შესაბამისად. კერძოდ, ,,ქვის ხანა და უძველესი ადამიანი"-ს ნაცვლად ,,პრეისტორია/ქვის ხანა"; ,,ანტიკური ხანა"-ს - ,,ანტიკური და გვაიანანტიკური ხანა".
2.1.2.2	*უცხო ენები (დაწყებითი, საბაზო, საშუალო)*	სასურველია სამიზნე ცნებები მეტად დაკონკრეტებული ქვეცნებებისა და საფეხურის შედეგების მიხედვით. საბაზო საფეხურზე (მე-7, მე-8, მე-10 კლასები), ინგლისური ენის კურიკულუმში, სკოლამ, საშუალო საფეხურის ნაცვლად, შეიტანოს საბაზო საფეხურის სტანდარტის გრძელვადიანი მიზნები (სამიზნე ცნებები, ქვეცნებები და შედეგები). შემოქმედებითი დავალების პირობები, როგორც შუალედური მიზნები, უშუალოდ კურიკულუმში უფრო ვრცლად უნდა იყოს აღწერილი.
2.1.2.2	*მათემატიკა*	**რჩევა: ყველა საფეხურის** კურიკულუმებში აისახოს ყველა ტიპის დავალება, რომელიც იძლევა შემოქმედებით პროდუქტს და მიმართულია შუალედური მიზნების მიღწევისაკენ.
2.1.2.3.	*საზოგადოებრივი მეცნიერებები*	**რჩევა:**

		დაწყებითი საფეხური საგანებში: **მე და საზოგადოება** (III, IV კლასი) და **ჩვენი საქართველო** (V-VI კლასი) - სმზანშეწონილია, კურიკულუმებში, რესურსების გრაფაში, სახელმძღვანელოს, გამომცემლობისა და ავტორთა ჯგუფის გარდა, მიეთითოს შესასწავლი საკითხების პარაგრაფები და შესაბამისი გვერდები. **საბაზო და საშუალო საფეხური** გეოგრაფიის კურიკულუმებში (VI-XII კლასები), რესურსების გრაფაში, მიზანშეწონილია მიეთითოს გრიფირებული სახელმძღვანელო, პარაგრაფები და მათი გვერდები.
2.1.2.3	*უცხო ენები (დაწყებითი)*	სასურველია მითითებული რესურსების ლინკები იყოს გაზიარებული.
2.1.2.3	*მათემატიკა*	**რჩევა: სამივე საფეხურის** კურიკულუმში სრულად აისახოს ყველა გამოყენებული რესურსი, ასევე მიეთითოს სახელმძღვანელოს ავტორი და შესაბამისი გვერდები.
2.1.2.4	*უცხო ენები (დაწყებითი)*	რუსული ენა მე-6 კლასის ინდივიდუალურ სასწავლო გეგმაში სკოლამ უნდა გაასწოროს გრძელვადიანი მიზნები, კერძოდ საბაზო საფეხურის ნაცვლად, უნდა გამოიყენოს დაწყებითი საფეხურის (მე-5-მე-6 კლასების) უცხო ენის სტანდარტის სამიზნე ცნებები და მისაღწევი შედეგები.
2.1.2.4	*ესთეტიკური აღზრდა*	**რჩევა:** სასურველია, კათედრამ კიდევ უფრო გააღრმავოს სწავლების დიფერენცირებული მიდგომები, მაგალითად, ისე შეიმუშავოს დავალების პირობა, რომ მოსწავლეებს მისცეს სხვადასხვა არჩევანი ერთი და იგივე საკითხის, სამიზნე ცნების დამუშავების, მოსწავლის საბოლოო პროდუქტზე მუშაობის პროცესში.
2.1.2.5	*ესთეტიკური აღზრდა*	**რჩევა:** სასურველია, მომავალში კათედრამ უფრო მეტად წარმოაჩინოს სასწავლო პროცესის სისტემური ხედვა, რაც გულისხმობს შეფასების კონცეფციის, ინსტრუმენტების და მათი მიზნობრიობის, ასევე, სასწავლო რესურსის ერთიან ხედვას.

		უფრო მეტად გამახვილდეს ყურადღება თემა/საკითხსა და სამიზნე ცნებებზე ორიენტირებული განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების კრიტერიუმების შექმნაზე.
2.1.2.5	*უცხო ენები (დაწყებითი, საბაზო, საშუალო)*	როგორც განმსაზღვრელი, ისე განმავითარებელი შეფასების რუბრიკები უნდა დაეფუძნოს უცხო ენის სტანდარტის გრძლევადიან მიზნებს (სამიზნე ცნებები, ქვეცნებები, მისაღწევი შედეგები), ხოლო შეფასების კრიტერიუმები ფართოდ უნდა აღწერდეს მოსწავლის მოსალოდნელ პროგრესს შემოქმედებით დავალებასთან მიმართებაში.
2.1.2.5	*ფიზიკური აღზრდა და სპორტი*	სამივე საფეხურზე - სასურველია სკოლამ შეიმუშაოს შეფასების კრიტერიუმები ყველა სასწავლო თემისათვის.
2.1.2.5	*დაწყებითი 1-4*	**<u>რჩევა:</u>** განმსაზღვრელი შეფასებების რუბრიკები დაიხვეწოს საკითხთან, ცნებებთან და ქვეცნებებთან მიმართებით, მოერგოს კონკრეტული საკითხს და სტანდარტის შედეგებს. შეფასდეს ამ დავალებაში წარმოდგენილი აკადემიური ცოდნა.
2.2.1.1.	*ესთეტიკური აღზრდა*	**რჩევა:** სასურველია, კათედრამ უკეთესად გაიაზროს თემატური ბლოკისა და სასწავლო თემის მნიშვნელობა. კარგად გაეცნოს კათედრის მიერ შერჩეული, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების საგნის (გამომცემლობა კლიო) მასწავლებლის წიგნს (მე-7, 8, 9 კლასები) და შეასწოროს სასწავლო თემების დასახელებები.
2.2.1.3	*მათემატიკა*	**რჩევა:** დავალებებში მიეთითოს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული მისაღწევი შედეგები, რაც ნათელს გახდის შეფასების ვალიდურობას.
2.2.1.3	*დაწყებითი 1-4*	**<u>რჩევა</u>**: სასურველია, რუბრიკები გახდეს კონკრეტული, შერჩეულ საკითხზე და სტანდარტის შედეგებზე მორგებული და შეფასდეს დავალების მოთხოვნები.
ინდიკატორი N2.2.2.1.	*საბუნებისმეტყველო მიმართულება -*	სასწავლო რესურსებად გარდა გრიფირებული სახელმძღვანელოსი და ელექტონული რესურსებისა, უმჯობესია გამოყენებული იქნას ასევე

	საგაზო და საშუალო საფეხური	ვირტუალური და რეალური ლაბორატორიული სამუშაოები სხვადასხვა აქტივობების განსახორციელებლად, მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.
ინდიკატორი N2.2.2.1.	*საბუნებისმეტყველო მიმართულება - საწყებითი საფეხური*	სასწავლო რესურსებად გარდა გრიფირებული სახელმძღვანელოსი და ელექტონული რესურსებისა, უმჯობესია გამოყენებული იქნას ასევე ვირტუალური და რეალური ლაბორატორიული სამუშაოები სხვადასხვა აქტივობების განსახორციელებლად, მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.
2.2.2.1	*მათემატიკა*	**რჩევა: ყველა საფეხურის** კურიკულუმში დეტალურად აისახოს როგორც ძირითადი, ისე დამხმარე სასწავლო რესურსები; კერძოდ, მიეთითოს სახელმძღვანელოს შესაბამისი გვერდები, დაზუსტდეს გამოყენებული ელექტრონული წყაროების (ბმულების) მისამართები, შეიტანონ გამოყენებული მატერიალური რესურსები.
2.2.2.2	*უცხო ენები (დაწყებითი, საგაზო, საშუალო)*	სასურველია, სკოლამ შეიმუშაოს რესურსების შერჩევის სრულყოფილი ფორმა, რომელშიც დასაბუთებული იქნება კონკრეტული დამატებითი რესურსის ღირებულება და სარგებლიანობა, ასევე სკოლამ უნდა აღწეროს თუ რამდენად უწყობს ხელს დამატებითი რესურსები უცხო ენის სტანდატის გრძელვადიანი მიზნები მიღწევას;
ინდიკატორი N2.2.2.3.	*საბუნებისმეტყველო მიმართულება - საგაზო და საშუალო საფეხური*	შეძლებისდაგვარად შეივსოს საბუნებისმეტყველო ლაბორატორია საჭირო დანადგარებით, ქიმიური ჭურჭლითა და რეაქტივებით, მერხებზე გადაკრული იყოს ქიმიური რეაქტივების მიმართ მედეგი, ცეცხლგამძლე საფარი (მოსწავლეებს არ აქვთ საშუალება იმუშაონ ან ინდივიდუალურად, ან ჯგუფურად); ლაბორატორიაში დამონტაჟებული იყოს ამწოვი კარადა. ლაბორატოიაში თვალაჩინო ადგილს იყოს განთავსებული უსაფრთხოების ტექნიკის ინსტრუქცია, ასევე თვალაჩინო ადგილს იყოს განთავსებული ხანძარსაწინააღმდეგო საშუალებები და აფთიაქი.

ინდიკატორი N2.2.2.3.	*საბუნებისმეტყველო მიმართულება - დაწყებითი საფეხური*	შეძლებისდაგვარად შეივსოს საბუნებისმეტყველო ლაბორატორია საჭირო დანადგარებით, ქიმიური ჭურჭლითა და რეაქტივებით, მერხებზე გადაკრული იყოს ქიმიური რეაქტივების მიმართ მედეგი, ცეცხლგამძლე საფარი (მოსწავლეებს არ აქვთ საშუალება იმუშაონ ან ინდივიდუალურად, ან ჯგუფურად); ლაბორატორიაში დამონტაჟებული იყოს ამწოვი კარადა. ლაბორატოიაში თვალაჩინო ადგილს იყოს განთავსებული უსაფრთხოების ტექნიკის ინსტრუქცია, ასევე თვალაჩინო ადგილს იყოს განთავსებული ხანძარსაწინააღმდეგო საშუალებები და აფთიაქი.

VI. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ შედგენილი დასკვნის პროექტზე სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია, შესაბამისობის გეგმა და ზოგიერთი ხარვეზის გამოსწორების დამადასტურებელი დოკუმენტები. ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა სკოლის მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობებთან მიმართებაში. კერძოდ, სკოლას დაუფიქსირა ხარვეზი 2.1.2.2 (საბაზო და საშუალო საფეხური) ინდიკატორთან მიმართებით, რადგან საბუნებისმეტყველო მეცნიერების (ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგია) მიმართულების კურიკულუმის ჩარჩო - ცხრილები არ იყო გაწერილი სტანდარტის შესაბამისად, კერძოდ, სავალდებულო სასწავლო თემების სახელწოდებები არ იყო გაწერილი სტანდარტის შესაბამისად; ყველა სავალდებულო სასწავლო თემის ფარგლებში არ მუშავდებოდა ყველა სამიზნე ცნება; სამიზნე ცნებების შესაბამისი ქვეცნებები არ იყო გაწერილი სასწავლო თემისა და სტანდარტის შესაბამისად; ყველა ცალკე გამოყოფილ ძირითად საკითხთან არ იყო განსაზღვრული სამიზნე ცნებები და შესაბამისი ქვეცნებები; ყველა ძირითად საკითხთან არ იყო განსაზღვრული სამიზნე ცნების შესაბამისი ქვეცნებები (სადაც დაგეგმილია კომპლექსური/შემოქმედებითი დავალების განხორციელება); კომპლექსური/შემოქმედებითი დავალების ძირითად კონტექსტ მაგალითში მითითებული არ იყო, თუ რომელი შემოქმედებითი პროდუქტი უნდა შეექმნა მოსწავლეს, ამავდროულად, მკაფიოდ არ ჩანდა, თუ რა უნდა წარმოედგინა მას შემოქმედებითი პროდუქტის პრეზენტირების დროს; კომპლექსურ დავალებაში მითითებული ძირითადი საკითხი, სამიზნე ცნებები/ქვეცნებები არ მოდიოდა თანხვედრაში კურიკულუმის ჩარჩო - ცხრლებში მითითებულ ძირითად საკითხთან, სამიზნე ცნებებთან/ქვეცნებებთან (ერთი და იგივე კონტესქსტ - მაგალითის შემხვევაში). სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების შესაბამისად, ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

სკოლას დაუფიქსირა ასევე ხარვეზი 2.1.2.5 (საბაზო და საშუალო საფეხური) ინდიკატორთან მიმართებით, რადგან საბუნებისმეტყველო მეცნიერებების (ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგია)ცმიმართულების საბაზო და საშუალო საფეხურის განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეაფსების რუბრიკები არ იყო გაწერილი სტანდარტის შესაბამისად, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების (ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგია) მიმართულების საბაზო და საშუალო საფეხურის განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებში არ იყო მითითებული არც თემა, არც სამიზნე ცნებები, არც ძირითადი საკითხი. იყო მხოლოდ კრიტერიუმები და კრიტერიუმების მიმართ განსაზღვრული ქულები; საბუნებისმეტყველო მეცნიერებების (ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგია) მიმართულების საბაზო და საშუალო საფეხურის განმავითარებელი შეფასების რუბრიკებში არ იყო მითითებული არც თემა, არც სამიზნე ცნებები, არც ძირითადი საკითხი. იყო მხოლოდ კრიტერრიუმები და ამ კრიტეიუმის მიმართ განსაზღვრული დონეები - დაბალი; საშუალო; საშუალოზე მაღალი და მაღალი. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებისა და შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის გათვალისწინებით, ინდიკატორი შეფასდა, როგორც მეტწილად შესაბამისი.

სკოლას შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული ჰქონდა, რომ 2027 წლის 10 აგვისტომდე უზრუნველყოფს უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნის მოპოვებას, შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნასთან შესაბამისობის შესახებ უფლებამოსილ უწყებასთან მიმართვასა და საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმებას შესაბამის უწყებებთან. ამიტომაც, სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული ღონისძიებების გატარება და დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენა. შესაბამისად, ინდიკატორი 3.4.1.1 შეფასდა როგორც ნაწილობრივ შესაბამისი.

3.4.1.2 ინდიკატორთან მიმართებით სკოლას მიეცა ასევე რეკომენდაცია, რომ სკოლამ დაესაქმებინა ექთანი შესაბამისობის გეგმის შესაბამისად, 2026 წლის 10 აპრილამდე. რადგან სკოლას არ ჰყავდა დასაქმებული ექთანი და არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა რეკომენდაციის შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტები, ინდიკატორი 3.4.1.2 შეფასდა როგორც შესაბამისი.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს**

სკოლის მიერ შემუშავებული მისია და ხედვა სრულად ეფუძნება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს. სკოლა ქმნის ინკლუზიურ ღირებულებებზე დაფუძნებულ მხარდამჭერ გარემოს, სადაც ყველა მოსწავლე იღებს ხარისხიან განათლებას. განივითარებს კარიერული წინსვლისთვის და საზოგადოებაში ინტეგრირებისთვის საჭირო უნარ-ჩვევებს და ამზადებს მოსწავლეებს მათი შესაძლებლობების რეალიზებისთვის, სრულფასოვანი და წარმატებული ცხოვრებისთვის. სკოლის ხედვა ვითარდება სამ ძირითად მიმართულებად, სადაც აქცენტი კეთდება სკოლის მიერ როგორც სწავლისთვის, ისე აღზრდისთვის შესაბამისი შესაძლებლობების შექმნაზე, სასკოლო საზოგადოებაში დემოკრატიული კულტურის შექმნასა და აკადემიური თავისუფლების დამკვიდრებაზე.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

2. **სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს**

სკოლა განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც უსაფრთხო, მხარდამჭერი და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებული სოციო-კულტურული სივრცე. სკოლაში შექმნილია გარემო სადაც თითოეულ მოსწავლეს აქვს შესაძლებლობა, დაიცვას და განავითაროს თავისი უნარები, ინტერესები და ფასეულობები. სკოლა ხელს უწყობს მოსწავლეთა აკადემიურ, ემოციურ და სოციალური უნარების განვითარებას. ქმნის გარემოს, სადაც თითოეული მოსწავლე თავს გრძნობს უსაფრთხოდ, აქვს თვითგამოხატვის თავისუფლება და მათ აზრებს პატივის სცემენ. სასკოლო საზოგადოება ეფუძნება ისეთ ღირებულებებს, როგორიცაა სამართლიანობა, თანამშრომლობას, ურთიერთპატივისცემა და პასუხისმგებლობა.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

3. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით**

სკოლაში შექმნილია სკოლის ფილოსოფიისა და სტრატეგიული/სამოქმედო გეგმის შემუშავებისთვის საჭირო ღონისძიებების განხორციელების მიზნით სამუშაო ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში არიან მასწავლებლები, მშობელი და მოსწავლე. სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებისა და წარმოდგენილი დოკუმენტების შესაბამისად დასტურდება, რომ ჯგუფის წევრები მოქმედებდნენ სკოლის მიერ დამტკიცებული სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის შესაბამისად, რომელშიც გაწერილია პრინციპები, მეთოდები და პროცედურები, რომლებზე დაყრდნობითაც ხდება სკოლის ფილოსოფიის, გრძელვადიანი - სტრატეგიული განვითარების და მოკლევადიანი - ერთწლიანი სამოქმედო გეგმების შემუშავება და მათი შესრულების მონიტორინგის მექანიზმები. ჯგუფის მიერ კითხვარებისა და სამუშაო ჯგუფების შეხვედრებზე მიღებული ინფორმაციის გაანალიზების შემდეგ შემუშავებული იქნა მისიის, ხედვისა და ღირებულებების პროექტი, რომელიც სასკოლო საზოგადოების აქტიური ჩართულობით დაიხვეწა, მიიღო საბოლოო სახე, გადაეცა სამეურვეო საბჭოს და პედაგოგიურ საბჭოს განსახილველად და დასამტკიცებლად. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შეტანილია სასკოლო სასწავლო გეგმასა და სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმებში.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

4. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

მასწავლებლების, მშობლების და მოსწავლეების ჩართულობიდან გამომდინარე სკოლის მისია, ხედვა, ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. შემუშავების ყველა ეტაპზე ისინი აქტიურად იყვნენ ჩართული, აწოდებდნენ თავიანთ მოსაზრებებს, რომლებიც გათვალისწინებული იქნა სკოლის მისიის, ხედვისა, ღირებულებების შემუშავებაში. მშობლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ დამტკიცებულ დოკუმენტს ისინი გაეცვნენ მშობელთა კრებებზე.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

5. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების დამტკიცების შემდეგ, მისი გაცნობა მოხდა სასკოლო საზოგადოებისათვის. გარდა ამისა, დოკუმენტი გამოკრულია სკოლის დერეფანში თვალსაჩინო ადგილას და ატირთულია სკოლის ვებ. გვერდზე. აღნიშნულის გათვალისწინებით, სკოლის ფილოსოფია საჯაროდაა ხელმისაწვდომი ყველა დაინტერესებული პირისათვის,

6. **სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს**

სკოლის სახელწოდებაა - სსიპ - ქაიხოსრო (ქაქუცა) ჩოლოყაშვილის სახელობის ქალაქ თელავის N2 საჯარო სკოლა, რომელიც შეესაბამება სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს, „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის

იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის №448 ბრძანების საფუძველზე. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ბრძანება სამუშო ჯგუფის შექმნის შესახებ;
- სამუშაო ჯგუფის ოქმები;
- სამეურვეო საბჭოს ოქმები;
- პედაგოგიური საბჭოს ოქმები;
- სკოლის ფილოსოფიის შემუშავების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია;
- კითხვარები;
- სკოლის ვებ. გვერდი;
- სკოლის მისია, ხედვა, ღირებულებები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება
1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს**

სკოლას შემუშავებული აქვს აქვს სკოლის ფილოსოფიის შემუშავებისა და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია, რომლის შესაბამისადაც, სკოლა სტრატეგიული დაგეგმვისას იცავს ისეთ პრინციპებს, როგორიცაა თანამონაწილეობა, სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინება, გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულება. აღნიშნული მეთოდოლოგია უზრუნველყოფს მონაწილეობითი გადაწყვეტილებების მიღებას, სადაც ჩართული არიან როგორც მასწავლებლები და ადმინისტრაცია, ასევე მშობლები და მოსწავლეები. სკოლის დირექტორის ბრძანებით შექმნილი სამუშაო ჯგუფის შემადგენლობაში შედიან მასწავლებლები, მშობელი და მოსწავლე. სამოქმედო გეგმის სამუშაო ვერსიის შემუშავების შემდეგ, სკოლის დირექციამ მეთოდოლოგიის შესაბამისად უზრუნველყო სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის პროექტი და სასკოლო საზოგადოების უკუკავშირის გათვალისწინებით სკოლამ დაამტკიცა გეგმების საბოლოო ვერსია.

სკოლის ფილოსოფიის შემუშავებისა და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია მოიცავს ასევე სამოქმედო გეგმების მონიტორინგის მექანიზმებს, რაც ხელს უწყობს უწყვეტ განვითარებასა და საგანმანათლებლო ხარისხის გაუმჯობესებას.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

2. **სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს**

სკოლის სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი და ციკლური დოკუმენტი, რომელიც ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვასა და ღირებულებებს (ფილოსოფიას). მისი მიზანია სკოლის გრძელვადიანი განვითარების უზრუნველყოფა და უწყვეტი გაუმჯობესება. გეგმა მოიცავს მისიასთან თანმხვედრ მიზნებს, რომლებიც განსაზღვრავენ სკოლის განვითარების ძირითად მიმართულებებს. თითოეულ მიზანს შეესაბამება კონკრეტული ამოცანები, რომლებიც უზრუნველყოფენ მიზნების ეფექტიან მიღწევას. ციკლური ხასიათი საშუალებას იძლევა, რომ პერიოდული შეფასების შედეგად გეგმა დაიხვეწოს და გააქტიურდეს ცვლილებებისა და საჭიროებების შესაბამისად.

მიუხედავად იმისა, რომ სტრატეგიული გეგმა მოიცავს სტრატეგიულ მიზნებსა და ამოცანებს, სკოლის მიერ სტრატეგიული მიზნებისა და შესაბამისი ამოცანების შესრულების ვადები გაწერილია ზოგადად 7 წელზე. შესაბამისად, სკოლას მიეცა რჩევა, **რჩევა: სასურველია სკოლამ სტრატეგიული გეგმის შესაბამისი ამოცანები/აქტივობები გაწეროს წლების შესაბამისად.**

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

3. **სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას**

სკოლის მიერ შემუშავებული ერთწლიანი სამოქმედო გეგმა ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმასა და ყოველწლიურ თვითშეფასებას. სკოლის ერთწლიანი გეგმის განხილვა მოხდა პედაგოგიურ საბჭოზე და დამტკიცდა სკოლის სამეურვეო საბჭოს მიერ. გეგმა

გამომდინარეობს სკოლის ფილოსოფიიდან და მოიცავს სკოლის ფუნქციონირებისთვის საჭირო დოკუმენტაციის შემუშავებასა და სკოლის ორგანიზაციულ განვითარებას. დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ სკოლა ყოველწლიურად ახორციელებს ერთწლიანი სამოქმედო გეგმის ანგარიშს, რომელიც თავის მხრივ ეფუძნება ერთწლიან სამოქმედო გეგმაში მითითებული პასუხისმგებელი პირების მიერ სემესტრულად მომზადებულ ანგარიშებს. გარდა ამისა, ყოველი სასწავლო წლის ბოლოს სკოლის დირექცია ადგენს SWOT ანალიზს, რომლის მეშვეობითაც ხდება სკოლის შესაძლებლობებისა და მომავალი განვითარების პერსპექტივების გამოვლენა. ასევე, ცვლილებების განსახორციელებლად საჭირო გარემოებების შესწავლა. სწორედ SWOT ანალიზის საფუძველზე ხორციელდება მომდევნო სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შემუშავება.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს

4. **სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია**

სკოლას სამოქმედო გეგმით განსაზღვრული აქვს სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, რომლებიც უზრუნველყოფს მათ განხორციელებას. თითოეული აქტივობისთვის დადგენილია კონკრეტული, გაზომვადი ინდიკატორები, რაც შესაძლებლობას იძლევა ობიექტურად შეფასდეს მათი შესრულების ხარისხი და პროგრესი. გეგმაში გაწერილია რეალისტური ვადები, რომლებიც შესაბამისობაშია როგორც სტრატეგიული მიზნების მიღწევასთან. განსაზღვრულია ასევე შესაბამისი რესურსები, პასუხისმგებელი პირები და სტრუქტურული ერთეულები, რომლებიც უზრუნველყოფენ პროცესების მართვასა და ანგარიშვალდებულებას.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია;
- სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი გეგმა;
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა.

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს**

სკოლას შემუშავებული აქვს სკოლის ფილოსოფიის შემუშავების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია, რომელიც მოიცავს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგის და შეფასების მექანიზმებს. წარმოდგენილი დოკუმენტებისა და სკოლის თანამშრომლებთან ინტერვიუებით დგინდება, რომ შეფასების შედეგები, რომელიც ეყრდნობა პასუხისმგებელი პირების მიერ წარმოდგენილ ანგარიშებს, სკოლის დირექციას აძლევს ინფორმაციას დაგეგმვის პროცესის ხარისხის, არსებული გამოწვევების და პრობლემების შესახებ. შეფასების შედეგებს სკოლა იყენებს სკოლის შემდგომი განვითარებისათვის.

მიუხედავად იმისა, რომ სკოლას დანერგილი აქვს შესრულებული სამუშაოს შესახებ პასუხისმგებელი პირების მიერ ანგარიშების წარდგენის პრაქტიკა, აღნიშნული პირდაპირ არ იკითხება სტრატეგიული დაგეგმვის მეთოლოდოგიაში. გარდა ამისა, არ არის გაწერილი, რა პერიოდულობით ხდება სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგი. შესაბამისად, სკოლას მიეცა რჩევა, **რჩევა: სასურველია სკოლამ სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიაში დეტალურად გაწეროს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგის პერიოდულობა და საშუალებები.**

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

2. **მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით**

სკოლას მეთოდოლოგიის დოკუმენტით არ აქვს განსაზღვრული რა პერიოდულობით განახორციელებს სტრატეგიული განვითარების გეგმის მონიტორინგსა და შეფასებას. ამ ეტაპზე სკოლას არ აქვს განხორციელებული სტრატეგიული განვითარების გეგმის მონიტორინგი. რაც შეეხება ერთწლიანი სამოქმედო გეგმის ანგარიშს, სკოლა მონიტორინგს ახორციელებს ყოველი სემესტრის ბოლოს. მონიტორინგისა და შეფასების მიზნით, გეგმის შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები წარადგენენ წერილობით ანგარიშს.
სასწავლო წლის დასრულების შემდეგ ხდება სამოქმედო გეგმაში მითითებული აქტივობების შესრულების შეჯამება და ფასდება გეგმის განხორციელების შედეგები სამოქმედო გეგმით განსაზღვრული თითოეული მიმართულების მიხედვით. აღნიშნულთან დაკავშირებით, სამეურეო საბჭოს ანგარიშს წარუდგენს სკოლის დირექტორი.
შესაბამისად, დგინდება, რომ სკოლა მეთოდოლოგიის შესაბამისად ახორციელებს სტრატეგიული და სამოქმეფო გეგმების მონიტორინგსა და შეფასებას, სასკოლო საზოგადოების აქტიური ჩართულობითა და მათი უკუკავშირის გათვალისწინებით.
ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

3. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა**

სკოლის მიერ 2024-2025 სასწავლო წლის ბოლოს განხორციელდა სამოქმედო გეგმის მონიტორინგი და შეფასება. სკოლის ვებგვერდზე საჯაროდ არის განთავსებული სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის შედეგები. შესაბამისად, ყველა დაინტერესებულ პირს აქვს შესაძლებლობა გაეცნოს სკოლის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგებს.
ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის

სკოლის მიერ შემუშავებულ სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიაში გათვალისწინებულია სამოქმედო გეგმის მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმები, რომლის ფარგლებშიც გეგმის შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები წარადგენენ წერილობით ანგარიშს. შეფასების შედეგების ანალიზი კი თავის მხრივ ხელს უწყობს სკოლას გამოიყენოს მიღებული ინფორმაცია შემოდგომი განვითარებისა და წინსვლისათვის. სკოლამ 2024-2025 სასწავლო წლის ბოლოს განახორციელა ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შეფასება და შედეგების ანალიზის გათვალისწინებით დაამტკიცა მიმდინარე სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა.
ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია;
- ბრძანება სტრტეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ;
- სამეურვეო საბჭოს ოქმი სასწავლო სამოქმედო გეგმის მონიტორინგის შესახებ;
- სამეურვეო საბჭოს ოქმი სასწავლო სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ;
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში.

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული**

სკოლას შემუშავებული აქვს სტრუქტურული სქემა, რომელზეც ასახულია სკოლაში არსებული სტრუქტურული ერთეულები და სამუშაო პოზიციები. აღნიშნული დოკუმენტის შესაბამისად, სკოლაში ფუნქციონირებს შემდეგი სტრუქტურული ერთეულები: სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო, მოსწავლეთა თვითმმართველობა, მშობელთა კომიტეტი, მჩეველთა საბჭო და დირექცია, რომელიც თავის მხრივ შედგება დირექტორისაგან, დირექტორის მოადგილისა და ბუღალტრისაგან. რაც შეეხება სკოლის ადმინისტრაციას, აღნიშნული მოიცავს მტუკის (მატერიალურ ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი), საქმისმწარმოებლის, საინფორმაციო მენეჯერისა და ბიბლიოთეკარის პოზიციებს. გარდა ამისა, სკოლის შტატგარეშე თანამშრომლები არიან ექიმი, დარაჯი, სსსმ პირის ასისტენტები და დამლაგებლები. სკოლის სტრუქტურის შესაბამისად, სკოლაში ფუნქციონირებს ექვსი კათედრა.

სკოლაში დასაქმებული თანამშრომლების საშტატო ერთეულები განსაზღვრულია სკოლის საშტატო ნუსხით, რომლის შესაბამისადაც, სკოლაში დირექციისა და ადმინისტრაციის გარდა, დასაქმებულია 34 მასწავლებელი.

სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულებისა და სკოლაში დასაქმებულ პირთა ფუნქციები განსაზღვრულია სკოლის მიერ შემუშავებული სკოლის მართვის პრინციპებისა და სტრუქტურული ერთეულების /პირების ფუნქციების და საკვალიფიკაციო მოთხოვნების დებულებით. აღნიშნული დოკუმენტი მოიცავს მათ შორის დისციპლინური კომიტეტის ფუნქციებსაც, მიუხედავად იმისა, რომ სკოლას სტრუქტურულ სქემაში არ აქვს გათვალისწინებული აღნიშნული სტრუქტურული ერთეული. გარდა ამისა, ამავე დოკუმენტის სტრუქტურათა მიმოხილვაში გვხდება ხარისხის მართვის ჯგუფი, რაც ასევე არ ჩანს სკოლის სქემაზე.

სკოლის სტრუქტურული ერთეულებისა და სკოლაში დასაქმებული პირების ფუნქციების განმსაზღვრელ დოკუმენტში, სტრუქტურული ერთეულების ჩამონათვალში სკოლას გათვალისწინებული აქვს მანდატურის სამსახური და ფსიქო-სოციალური მომსახურების ცენტრის წარმომადგენელი (სოციალური მუშაკი). სკოლას ემსახურება 2 მანდატური. რაც შეეხება სოციალურ მუშაკს, სკოლას შენობის ერთ-ერთი ოთახი დათმობილი აქვს ფსიქო-სოციალური მომსახურების ცენტრის წარმომადგენლისათვის. თუმცა, ისინი არ არიან უშუალოდ სკოლის თანამშრომლები.

სკოლის მიერ შემუშავებული სტრუქტურული სქემით, თანამშრომლებთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებითა და სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციების და საკვალიფიკაციო მოთხოვნების დებულებით, რომელშიც გათვალისწინებულია სკოლაში არსებული ყველა პოზიციისათვის განსაზღვრული უფლება-მოვალეობები, ნათლად იკვეთება ასევე სუბორდინაცია, რამდენადაც

სკოლას განსაზღვრული აქვს ასევე თუ ვის ექვემდებარება და ვის მიმართ არის ანგარიშვალდებული ამა თუ იმ პოზიციაზე დასაქმებული პირი.

გამომდინარე იქიდან, რომ სკოლას სტრუქტურულ სქემაზე არ აქვს დატანილი დისციპლინური კომიტეტი და ხარისხის მართვის ჯგუფი, რაც გათვალისწინებულია სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციების და საკვალიფიკაციო მოთხოვნების დებულებით, და ამავდროულად, დებულებაში გათვალისწინებულია მანდატურის სამსახური და სოციალური მუშაკი, რომლებიც არ წარმოადგენენ სკოლის თანამშრომლებს, სკოლას მიეცა **რჩევა: სასურველია სკოლამ ერთმანეთთან შესაბამისობაში მოიყვანოს სკოლის სტრუქტურული სქემა და სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციების და საკვალიფიკაციო მოთხოვნების დებულება.**

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

2. **სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას**

სკოლას შემუშავებული აქვს სკოლის მართვის პრინციპებისა და სტრუქტურული ერთეულების /პირების ფუნქციების და საკვალიფიკაციო მოთხოვნების დებულება, რომელიც უზრუნველყოფს თითოეული თანამშრომლის მიერ შესასრულებელი ფუნქციების მკაფიოობას, რამდენადაც აღნიშნული დოკუმენტით განსაზღვრულია სკოლაში დასაქმებული ყველა პირის სამუშაო აღწერილობა.

გარდა ამისა, სკოლა აღნიშნული დოკუმენტით უთითებს ყველა იმ საკანონმდებლო აქტზე, რომლითაც რეგულირდება სამეურვეო საბჭოს, პედაგოგიური საბჭოს, მოსწავლეთა თვითმართველობის, დისციპლინური კომიტეტის, მრჩეველთა საბჭოსა და საგნობრივი კათედრების კომპეტენციები და საქმიანობა.

სკოლაში დასაქმებულ ზოგიერთ პირს, გარდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებებისა, დაკისრებული აქვს გარკვეული პასუხისმგებლობები. მაგალითისათვის, ერთ-ერთი თანამშრომელი განსაზღვრულია მოსწავლეთა დასწრების აღრიცხვის ჟურნალის მონიტორინგზე პასუხისმგებელ პირად. აღნიშნული ფუნქციის დაკისრება განხორციელდა სკოლის დირექტორის ბრძანებით.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით შეიძლება ითქვას, რომ სკოლაში თანამშრომელთა ფუნქციები გამიჯნულია და უფლებამოსილებები დელეგირებულია თანამშრომლებზე იმგვარად, რომ არ ხდება ფუნქციათა აღრევა, ან გადაკვეთა. რაც თავის მხრივ ხელს უწყობს სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის საშტატო განრიგი;
- სკოლის სტრუქტურული სქემა;
- სკოლის მართვის პრინციპებისა და სტრუქტურული ერთეულების /პირების ფუნქციების და საკვალიფიკაციო მოთხოვნების დებულება;

- თანამშრომლებთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები;
- მოსწავლეთა დასწრების აღრიცხვის ჟურნალის მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ ბრძანება;

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად**

სკოლაში დასაქმებული პერსონალის მართვა ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობით, სკოლის შინაგანაწესითა და თანამშრომლებთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებების შესაბამისად. სკოლას აქვს საკუთარი ორგანიზაციული მოწყობა და შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსების მართვისა პოლიტიკის დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების პოლიტიკას. აღნიშნული დოკუმენტი ეფუძნება სკოლის ფილოსოფიას და წარმოადგენს იმ მიზანთა ერთობლიობას, რომელთა მიღწევაც სურს სკოლას საკადრო მიმართულებით და ამ მიზნების მისაღწევად შესასრულებელ კონკრეტულ ამოცანებს. სკოლის მიერ შემუშავებული ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტის შესაბამისად, სკოლის მიზანია თანამშრომელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა, სკოლის მაღალკვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფა და არსებული კადრების პროფესიული დონის ამაღლება. აღნიშნული მიზნის მისაღწევად, სკოლა ცდილობს შექმნას ისეთი სამუშაო გარემო, სადაც თითოეულ თანამშრომელს მისცემს საკუთარი პოტენციალის და მისწრაფებების რეალიზების საშუალებას. გარდა ამისა, სკოლის მიერ შემუშავებული ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი განსაზღვრავს ადამიანური რესურსების განვითარების მიზნით განსახორციელებელ ღონისძიებებს, სამუშაოს შესრულების ხარისხის მართვის საკითხს, პროფესიულ განვითარებას, თასაქმებულთა მოტივაციის გაზრდას, თანამშრომელთა ადაპტაციის საკითხს და სხვა.

სკოლაში სამუშაოს შესრულების ხარისხის მართვის მიზნით, სკოლას აწარმოებს პერსონალის მიერ შესრლებული სამუშაოს შეფასებას სხვადასხვა საშუალებებით, მათ შორის, მონიტორინგისა და კათედრის წევრების ურთიერთდასწრების საშუალებით, რაც უზრუნველყოფს ძლიერი და გასაუმჯობესებელი მიმართულებების იდენტიფიცირებას.
გარდა კათედრის წევრების ურთიერთდასწრებისა, სკოლაში მოქმედებს ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, რომელიც ახორციელებს მასწავლებელთა მასწავლებელთა პროფესიული უნარ-ჩვევებისა და ცოდნის შეფასებას. სკოლას შემუშავებული აქვს ასევე ხარისხის მართვის მექანიზმები და განსაზღვრული ჰყავს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკისა და ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა

სკოლა კადრების ნაკლებობისა თუ ვაკანსიის არსებობის შემთხვევაში, სასწავლო პროცესის შეუფერხებლად განხორციელების მიზნით, დროულად აცხადებს ვაკანსიებს და მოქმედებს როგორც კანონმდებლობით, ისე შიდა ბრძანებებით განსაზღვრული ვადების შესაბამისად. გარდა ამისა, სკოლის თანამშრომლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სკოლის დირექტორის არყოფნის შემთხვევაში მის მოვალეობებს ასრულებს დირექტორის მოადგილე, ხოლო მასწავლებლის არყოფნის შემთხვევაში, საათების გადანაწილება ხდება საგნობრივ კათედრაზე. ხოლო სკოლას რომელიმე მასწავლებლის ჩანაცვლება სჭირდება ხანგრძლივი პერიოდით და საათობრივი დატვირთვის გათვალისწინებით შეუძლებელია საათები განაწილდეს კათედრის წევრებს შორის, ხდება დროებით თანამშრომლის მიღება.

გარდა ამისა, სკოლა მუდმივად ცდილობს პერსონალის საჭიროებების გათვალისწინებით უზრუნველყოს თანამშრომელთა განვითარებისათვის საჭირო ტრენინგების ჩატარება და სამუშაო შეხვედრების დაგეგმვა, ტრენინგებზე მიღებული ცოდნის პრაქტიკაში დანერგვისა და თანამშრომელთა შორის გამოცდილების გაზიარების ხელშეწყობას.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, დასტურდება, რომ სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით

სკოლის შინაგანაწესის შესაბამისად, სკოლაში მასწავლებლის მიღება ხდება შიდა ან/და ღია კონკურსით. საკონკურსო პირობებს კანონმდებლობის საფუძველზე ადგენს სკოლის დირექტორი. თანამშრომლის (გარდა მასწავლებლისა) მიღება ხდება სკოლის დირექტორის გადაწყვეტილებით კანდიდატთან გასაუბრების გზით. დირექტორის გადაწყვეტილებით თანამშრომლის სამუშაოზე მიღება, ასევე, შესაძლებელია კონკურსის საფუძველზე.

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და თანამშრომლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ სამედიცინო პერსონალის შერჩევა ხორციელდება სკოლის მიერ შექმნილი კომისიის მიერ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2022 წლის მარტის N41/ნ-23/ნ ერთობლივი ბრძანების შესაბამისად. სკოლას კანონმდებლობის შესაბამისად ჰყავს დასაქმებული ასევე ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტები, თუმცა, სკოლას არც სამედიცინო პერსონალის და ინკლუზიურ განათლებაში ჩართული პირების შერჩევის წესი არ აქვს განსაზღვრული რაიმე შიდა დოკუმენტით.

სკოლას შემუშავებული აქვს სკოლის მართვის პრინციპებისა და სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციების და

საკვალიფიკაციო მოთხოვნების დებულება, რომლითაც სკოლაში არსებული ყველა პოზიციისათვის სკოლას განსაზღვრული აქვს კონკრეტული საკვალიფიკაციო მოთხოვნები, რაც სრულ შესაბამისობაშია კანონმდებლობით განსაზღვრულ მინიმალურ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან. თანამშრომელთა პირადი საქმეების შემოწმებით კი დგინდება, რომ სკოლაში დასაქმებული პირები აკმაყოფილებენ კანონმდებლობითა და სკოლის მეერ განსაზღვრულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს.

პერსონალის შერჩევასთან დაკავშირებით დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ სკოლას შინაგანაწესით ნაწილობრივ აქვს გათვალისწინებული საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი დასაქმების შეზღუდვის შემთხვევები და შრომითი ხელშეკრულების გაფორმებამდე კანდიდატებს (მხოლოდ მასწავლებლებს) ავალდებულებს სხვა დოკუმენტებთან ერთად წარმოადგინოს ნასამართლობის შესახებ ცნობა. თანამშრომელთა პირადი საქმეების შემოწმებით გამოიკვეთა, რომ სკოლის ყველა თანამშრომლის პირად საქმეში ინახება ცნობა ნასამართლეობის შესახებ. სკოლას თანამშრომელთა პირად საქმეებში განთავსებული აქვს ასევე ცნობა უფლების ჩამორთმევის შესახებ და სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის შესახებ ცნობა.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, **სკოლას მიეცა რჩევა: სასურველია სკოლამ თანამშრომელთა (გარდა მასწავლებლისა) მიღების წესი და პირობები გაწეროს სკოლის შიდა მარეგულირებელი დოკუმენტით, განსაზღვროს კანონმდებლობით დადგენილი დასაქმების შეზღუდვის შემთხვევები და შრომითი ხელშეკრულების გაფორმებამდე კანდიდატებს დაავალოს სხვა დოკუმენტებთან ერთად წარმოადგინოს კანონით დადგენილი ცნობები (ცნობა ნასამართლეობის შესახებ; ცნობა უფლების ჩამორთმევის შესახებ; ცნობა სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის შესახებ).**

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

4. **პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს**

სკოლის თანამშრომელთა პირადი საქმეების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ მათი საკვალიფიკაციო მოთხოვნები შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და სკოლის მიერ განსაზღვრულ მინიმალურ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. სკოლაში მასწავლებლებთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულებები მათი სტატუსების შესაბამისად.

კანონით დადგენილი საკვალიფიკაციო მოთხოვნებს აკმაყოფილებენ ასევე სკოლის მიერ შერჩეული, სპეციალურ განათლებაში ჩართული სპეციალისტები. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებით დასტურდება, რომ მათი შერჩევა განხორციელდა კანონით დადგენილი წესით.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს

5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს

სკოლის პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების სხდომის ოქმებიდან გამომდინარე, ნათლად იკვეთება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობა. მასწავლებელთა გუნდური მუშაობა ნათლად ჩანს საგნობრივი კათედრების სამუშაო პროცესში. ისინი ერთად განიხილავენ და გეგმავენ ურთიერთდასწრებას, მსჯელობენ სწავლების სტრატეგიებზე, ეხმარებიან ერთმანეთს სასწავლო რესურსების მოძიებაში და უზიარებენ ერთამენთს ინფორმაციას განათლების სფეროში დანერგილი ახალი მიდგომებისა და მეთოდების შესახებ. თანამშრომლები აქტიურად მონაწილეობენ საგანმანათლებლო პროცესებისა და ორგანიზაციული საკითხების განხილვის პროცესებში.

გამომდინარე იქიდან, რომ სკოლას ჰყავს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეები, მასწავლებლები არიან ისგ ჯგუფის წევრები და შესაბამისად, ჩართულნი არიან მოსწავლეთათვის ინდ. გეგმების შემუშავებაში. ისინი ერთობლივად ადგენენ მოსწავლის საჭიროებაზე მორგებულ გეგმას, ირჩევენ აქტივობებს და რესურსებს.

გარდა ამისა, სკოლაში მოქმედებს მრჩეველთა საბჭო, რომელშიც გაერთიანებულია ყველა სტრუქტურული ერთეულის წარმომადგენელი. გუნდური და მონაწილეობითი მუშაობა გამოიკვეთა ასევე სკოლაში ვიზიტის დროსაც.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი

სკოლის მიერ შემუშავებული ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტის შესაბამისად, აღნიშნული დოკუმენტის ერთ-ერთ ამოცანას წარმოადგენს დასაქმებულთა მოტივაციის ამაღლების მიზნით, წახალისების სხვადასხვა ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება. გარდა აღნიშნული დოკუმენტისა, სკოლას შინაგანაწესით აქვს განსაზღვრული წახალისების მექანიზმები, როგორიცაა მადლობის გამოცხადება, სიგელით დაჯილდოვება, ფასიანი საჩუქრით დაჯილდოვება და ერთჯერადი (ფულადი) პრემიის გაცემა. შინაგანაწესი წახალისების ფორმებთან ერთად ადგენს მათი გამოყენების წესსაც. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ სკოლა განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს თანამშრომელთა მიერ სამუშაოს მაღალი ხარისხით შესრულების საკითხსა და მათ წარმატებულ მიღწევებს. წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მიზნით, სკოლა აქტიურად იყენებს სკოლის სოციალური ქსელის გვერდს, რომლის საშუალებითაც აზიარებს მოსწავლეთა და თანამშრომელთა წარმატების მაგალითებს. აქტიური და წარმატებული მასწავლებლების დაჯილდოვება ძირითადად ხდება სიგელითა და დიპლომებით.

დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ სკოლაში მკვიდრდება სასწავლო წლის ბოლოს კონფერენციის ჩატარების ტრადიცია, სადაც პედაგოგები საუკეთესო გამოცდილებას უზიარებენ ერთმანეთს.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის შინაგანაწესი;
- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა;
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები;
- სკოლის მართვის პრინციპებისა და სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციების და საკვალიფიკაციო მოთხოვნების დებულება;
- თანამშრომლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები;
- კონკურსის გამოცხადების ბრძანება;
- საკონკურსო კომისიის შემქნის ბრძანება;
- საკონკურსო კომისიის ოქმები;
- თანამშრომელთა პირადი საქმეები;
- მრჩეველთა საბჭოს ოქმები;
- კონკრეტულ პოზიციაზე განსაზღვრული საკვალიფიკაციო მოთხოვნები;
- კათედრების ოქმები;
- სკოლის სოციალური ქსელის გვერდი.

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები**

სკოლის მიერ შემუშავებული შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა მოიცავს სასწავლო პროცესის მონიტორინგს, პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის მიერ მონიტორინგის მექანიზმის შემუშავებას და განხორციელებას, კათედრების აქტიურ მუშაობასა და თანამედროვე მეთოდების დანერგვას მუდმივი პროფესიული განვითარების მიზნით.

მასწავლებლების საჭიროებების დადგენის მიზნით სკოლაში აქტიურად მუშაობს მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და მხარდაჭერის ჯგუფი. ასევე, კათედრებს აქვთ ურთიერთდასწრების გამოცდილება. ასევე, სკოლას ერთწლიანი სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქვს მასწავლებელთა საჭიროებების კვლევა და შესაბამისი ტრენინგების შეთავაზება. სკოლის თანამშობლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ სკოლისთვის მნიშვნელოვანია პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების ხელშემწყობი ღონისძიებების ორგანიზების საკითხი. დირექცია მუდმივად ცდილობს თანამშრომლები აქტიურად იყვნენ ჩართულები სხვადასხვა ტრენინგებსა და სემინარებში. სკოლას აქვს საუკეთესო პრაქტიკის გაზიარების გამოცდილებაც. მასწავლებლის საქმიანობის შეფასებისა და მათი განვითარების მიზნით სხვადასხვა აქტივობების დაგეგმვის მექანიზმებს პედაგოგები განიხილავენ ასევე საგნობრივ კათედრებზე. წარმოდგენილი დოკუმენტებით იკვეთება, რომ კათედრებზე ხორციელდება ერთობლივი გაკვეთილების დაგეგმვა-განხორციელება, კათედრის წევრთა შორის იგეგმება ურთიერთდასწრება და ხდებაუკუკავშირის მიცემა.

თანამშრომელთა საჭიეროებების კვლევისა და მისი ანალიზის საფუძველზე სკოლა გეგმავს და ახორციელებს პერსონალის მიზნობრივი განვითარების პროცესს.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

2. **პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად**

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებითა და თანამშრომლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომელთა საჭიროებების კვლევას, და კვლევის ანალიზის საფუძველზე, თანამშრომელთათვის პროფესიული განვითარებისა და კვალიფიკაციის ამაღლებისათვის საჭირო ღონისძიებების ორგანიზებას. სკოლაში აქტიურად მუშაობს ხარიხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი. გასაუბრებით დადგინდა, რომ ჯგუფი აქტიურად თანამშრომლობს საგნობრივ კათედრებთან და ესწრება საგაკვეთილო პროცესს. საჭორებიდან გამომდინარე მასწავლებელს ეძლევა რეკომენდაციები და იგეგმება დამატებითი აქტივობები. მათ შორის, კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით შესაბამისი ტრენინგებისა და სამუშაო შეხვედრების შეთავაზება. ურთიერთდასწრება შესაძლებელია დაიგეგმოს ასევე გამოცდილების გაზიარების მიზნით.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

3. **სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას**

კარიერული ზრდის ხელშეწყობის მიზნით სკოლაში აქტიურად მუშაობენ საგნობრივი კათედრები. სკოლის ადმინისტრაციის ორგანიზებით სკოლაში ტარდება შეხვედრები, რომელზეც პედაგოგები ერთად განიხილავენ კარიერული ზრდისთვის საჭირო აქტივობებს. გარდა ამისა, სკოლაში მოქმედებს კრიტიკული მეგობრის ინსტიტუტი, რომლის საშუალებითაც მასწავლებლები ერთმანეთს აძლევენ განმავითარებელ უკუკავშირს, რასაც ითვალისწინებენ შემდგომ საქმიანობაში.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან

სკოლის ადმინისტრაციის მხრიდან ყველა საჭირო პირობაა შექმნილი, რათა მოხდეს სამუშაო გარემოსთან თანამშრომლების ინტეგრაცია. სკოლა ზრუნავს, რომ მათ მიერ შერჩეულმა პირმა შეძლოს საკუთარი ცოდნისა და უნარების სრულად გამოვლენა, წარმატებით გაიაროს ორგანიზაციასთან ადაპტაციის პროცესი და გახდეს სკოლის ღირებული წევრი.

დასაქმებულის ადაპტაციის პროცესს ხელს უწყობენ დირექტორის მოადგილე და საგნობრივი კათედრების თავმჯდომარეები. ისინი ახალ თანამშრომლებს წარუდგენენ სკოლის კოლექტივს, აცნობენ სკოლის ორგანიზაციულ კულტურას, მათ პირად უფლება-მოვალეობებსა და სკოლის შიდა მარეგულირებელ დოკუმენტებს. ასევე ათვალიერებინებენ სკოლის შენობას და ამატებენ მათ ყველა საკომუნიკაციო ჯგუფში.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები

სკოლის მხრიდან წახალისებულია კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები. სკოლა აქტიურად თანამშრომლობს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრთან და მასწავლებელთა სახლთან. სკოლის ადმინისტრაცია თანამშრომლებს სისტემატურად აწვდის ინფორმაციას დაგეგმილ სავალდებულო თუ არასავალდებულო ტრენინგების შესახებ. მასწავლებლები აქტიურად ერთვებიან სამუშაო შეხვედრებში, ვორქშოფებში, კონფერენციებში.

დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ წახალისების მექანიზმებს ვხვდებით სკოლის შინაგანაწესში, რომლის შესაბამისადაც, პროფესიულ საქმიანობაში მოპოვებული წარმატებისათვის ან/და შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების მაღალი პროფესიონალიზმით შესრულებისათვის ან/და დიდი მოცულობის, განსაკუთრებული სირთულის ან/და მნიშვნელობის სამუშაოს შესრულებისათვის, ხანგრძლივი და კეთილსინდისიერი სამსახურისთვის ან/და საგანმანათლებლო პროცესში განსაკუთრებულად თავის გამოჩენისათვის, სკოლა უფლებამოსილია დასაქმებულის მიმართ გამოიყენოს წახალისების შემდეგი ფორმები: მადლობის გამოცხადება, სიგელით დაჯილდოება, ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება და ერთჯერადი (ფულადი) პრემიის გაცემა. პერსონალის მიმართ შეიძლება ერთდროულად გამოყენებული იქნეს წახალისების რამდენიმე ფორმა. სკოლის თანამშრომლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ

ადმინისტრაცია მუდმივად ცდილობს თანამშრომელთა წახალისებას თუნდაც სიგელების საშუალებით და ზეპირსიტყვიერად, მადლობის გამოცხადებით.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის შინაგანაწესი;
- ადამიანური რესურსების მართვისა პოლიტიკა;
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები;
- შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა;
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- კათედრის ოქმები;
- თანამშრომელთა სერტიფიკატები და ცნობები

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესების მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს**

სკოლაში საგანმანათლებლო პროცესის მართვა და კონტროლი ხორციელდება ხარიხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად. საგანმანათლებლო პროცესი ძირითადად ეფუძნება სასკოლო სასწავლო გეგმასა და სკოლის სამოქმედო გეგმას. აღნიშნული დოკუმენტები ერთმანეთთან თანხვედრაშია და გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და მიზნებიდან. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ საგნობრივი კათედრების მიერ ხორციელდება სასწავლო პროგრამების განხორციელების შეფასება და შემდგომი გაუმჯობესება.

სკოლას შემუშავებული აქვს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, რომლის მიხედვითაც სასწავლო პროცესის ხარისხის უზრუნველყოფისა და მუდმივი გაუმჯობესების მიზნით, სკოლა მუდმივად ახორციელებს სასწავლო პროგრამების შეფასებას, ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარების ხელშეწყობასა და სკოლის მატერიალური რესურსების გაუმჯობესებას. გარდა ამისა, სკოლას ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების დოკუმენტით განსაზღვრული აქვს თითოეული რგოლის ფუნქცია თუნდაც სასკოლო სასწავლო გეგმის შემუშავების, შეფასების, მონიტორინგისა და გადამუშავების მიმართულებით. სკოლაში დანერგილია პრაქტიკა, რომლის შესაბამისადაც დამრიგებლები, კათედრები, დირექტორის მოადგილე ამზადებენ ანგარიშებს, რაც გამოიყენება გასული სასწავლო წლის შეფასებისათვის. შედეგების ანალიზის საფუძველზე მიღებულ ინფორმაციას სკოლა იყენებს სასწავლო პროცესის შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

2. **იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები**

სკოლას შემუშავებული აქვს დოკუმენტი - „ძირითადი და დამხმარე მმართველობითი ერთეულები, პროცესები და მათი აღწერები“, რომლის შესაბამისადაც, სკოლა განსაზღვრავს მმართველობით ერთეულებს, რომლებიც კომპეტენციის ფარგლებში ახორციელებენ სკოლის მართვას და პასუხისმგებელი არიან სკოლაში ძირითადი და დამხმარე პროცესების ჯეროვან შესრულებაზე. აღნიშნული დოკუმენტი ადგენს ასევე ძირითადი და დამხმარე პროცესების ჩამონათვალს. სკოლის ძირითადი პროცესებია ეროვნული სასწავლო გეგმის შესრულება, უსაფრთხო და გამართული სასწავლო პროცესი, საქართველოს კანონმდებლობისა და საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგზარდობის მინისტრის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტების შესრულება და ფინანსური მართვა. რაც შეეხება სკოლის დამხმარე პროცესებს, ის მოიაზრებს უსაფრთხოების წესების დაცვასა და მონიტორინგს, სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების

დაცვასა და მონიტორინგს, სასწავლო რესურსების მიზნობრივ გამოყენებას, გეგმაზომიერად შევსებასა და განახლებას, დამატებითი დაფინანსების წყაროების მოპოვება-განკარგვას, სამედიცინო და ფსიქოლოგიური დახმარების საკითხს, კვების პუნქტის ფუნქციონირებასა და პროფესიული განათლების ხელშეწყობას.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

3. **სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა**

სკოლა ხელმძღვანელობს კანონით დადგენილი წესით, რომლის შესაბამისადაც, მოსწავლეს, მშობელსა და მასწავლებელს უფლება აქვთ, თავიანთი უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად გაასაჩივრონ მასწავლებლის, სკოლისა და საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის უკანონო და სხვა არამართლზომიერი ქმედებები, აგრეთვე მიიღონ მიყენებული ზიანის სრული ანაზღაურება. აღნიშნული უფლება გათვალისწინებულია სკოლის შინაგანაწესშიც. გარდა ამისა, სკოლას შემუშავებული აქვს გასაჩივრების დეტალური პროცედურები, რომლითაც განსაზღვრულია საჩივრის განმხილველი ორგანო, საჩივრის სუბიექტი, საჩივრის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების წესი და ვადები.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

4. **სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები**

სკოლა თანამშრომლების/მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების კანონიერი უფლებების დაცვას უზრუნველყოფს შინაგანაწესით, სადაც გაწერილია როგორც პერსონალის, ისე მოსწავლისა და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებები. გარდა ამისა, სკოლასა და მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია ხელშეკრულება, რომელიც ითვალისწინებს უფლება/მოვალეობების ჩამონათვალს. იგივე შეიძლება ითქვას სკოლის პერსონალსა და სკოლას შორის გაფორმებულ ხელშეკრულებაზე, რომელიც თავის მხრივ შეიცავს დასაქმებული პირის უფლება/მოვალეობების საკითხს. გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ დამრიგებლები სასწავლო წლის დასაწყისში მშობლებსა და მოსწავლეებს შინაგანაწესით გათვალისწინებულ წესებთან ერთად აცნობენ მათ უფლება-მოვალეობებსაც. სკოლის შინაგანაწესი ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისათვის. ამასთანავე, სასკოლო საზოგადოების უფლებების დაცვის უზრუნველსაყოფად, სკოლის ფოიეში გამოკრულია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსა და სახალხო დამცველის აპარატის ცხელი ხაზის ნომრები.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის შინაგანაწესი;
- თანამშრომელთა ხელშეკრულებები;
- მოსწავლეთა მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები;
- გასაჩივრების დეტალური პროცედურები;
- სკოლის სტრატეგიული გეგმა;
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა;
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები;
- ძირითადი და დამხმარე მმართველობითი ერთეულები, პროცესები და მათი აღწერები;

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები**

სკოლას შემუშავებული აქვს საზოგადოებასთან ურთიერთობის/კომუნიკაციის წესი, რომელიც განსაზღვრავს დაინტერესებული მხარეების ინფორმირების მექანიზმებს. აღნიშნული წესი ადგენს სკოლის ვალდებულებას, საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომი გახადოს საჯარო დოკუმენტები (განათავსოს საინფორმაციო დაფაზე, ატვირთოს სკოლის ვებ გვერდზე, სხვა). ასევე, მიაწოდოს საჯარო ინფორმაცია, კანონის სრული დაცვით, საზოგადოების დაინტერესებულ წევრს მისთვის ხელსაყრელი ფორმით (ელექტრონული ვერსია/ამობეჭდილი). სკოლა სისტემატურად ატარებს საინფორმაციო შეხვედრებს სასკოლო საზოგადოებასთან. მართვის პროცესებთან დაკავშირებით აქტუალური საკითხები განიხილება პედაგოგიური საბჭოს სხდომებზე, მშობელთა კრებებზე და ასევე მშობელთა კრების ფარგლებში.
სკოლის თანამშრომლებთან და მოსწავლეთა მშობლებთან გასაუბრებით გამოიკვეთა, რომ მოსწავლის შესახებ მშობლებთან კომუნიკაცია და აკადემიური მოსწრების შესახებ ინფორმირება ხდება მშობელთა კრებაზე (პერსონალური მონაცემების დაცვით, ზოგადი მიმოხილვა), ონლაინ ფორმატში სხვადასხვა ელექტრონული პლატფორმის საშუალებით, ელექტრონული ჟურნალით, ელექტრონული ფოსტით, ტელეფონითა და სოციალური ქსელის დახურული ჯგუფების საშუალებით.

სკოლა მოსწავლეებთან და თანამშრომლებთან კომუნიკაციისათვის აქტიურად იყენებს კომუკაციის სხვადასხვა საშუალებებს: ელ-ფოსტა, e-Flow-ს ელექტრონული სისტემა, სოციალური მედიის არხები, საინფორმაციო დაფა. სკოლის თანამშრომლებთან ინტერვიურებისას გამოიკვეთა, რომ სკოლა მშობლებთან კომუნიკაციისათვის აქტიურად იყენებს სოციალური ქსელების ჯგუფებს.

დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ სასკოლო საზოგადოების ინფორმირებისათვის სკოლა აქტიურად იყენებს სკოლის სოციალური ქსელის გვერდს, სადაც განთავსებულია სკოლის შესახებ ყველა საჭირო და მნიშვნელოვანი ინფორმაცია. ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეუძლია აღნიშნული საშუალებით გაეცნოს მისთვის საინტერესო ინფორმაციას და იმავდროულად უკუკავშირის მიღების შესაძლებლობასაც იძლევა.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

2. **უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა**

სკოლაში ფუნქციონირებს სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო, დისციპლინური კომიტეტი, მოსწავლეთა თვითმმართველობა, მრჩეველთა საბჭო და კათედრები. ყველა სტრუქტურული ერთეული დაკომპლექტებულია კანონმდებლობით დადგენილი წესით. ყველა სტრუქტურული რგოლის მუშაობის მთავარი მიზანია დემოკრატიული გარემოს შექმნა. სასკოლო საზოგადოების წევრების კოლეგიალური ორგანოების საშუალებით სასკოლო ცხოვრებაში ჩართულობა განაპირობებს სკოლის წარმატებას. შესაბამისად, სკოლა ხელს უწყობს კოლეგიალური ორგანოების აქტიურ ფუნქციონირებას. უნდა აღინიშნოს მშობელთა ჩართულობა სამეურვეო საბჭოსა და დისციპლინურ კომიტეტში. თითოეული საფეხურის ერთი მშობელი არის სამეურვეო საბჭოს წევრი, წარმოადგენენ მშობელთა ხმას სამეურვეო საბჭოში. ისინი მონაწილეობენ როგორც სკოლის ბიუჯეტის განხილვისა და დამტკიცების, ისე სასკოლო სასწავლო გეგმის განხილვისა და შეთანხმების პროცესებში. გარდა ამისა, თანაბარი რაოდენობით მასწავლებელი, მოსწავლე და მშობელი არიან სკოლის დისციპლინური კომიტეტის წევრები. სკოლაში საკმაოდ აქტიურად ფუნქციონირებს მოსწავლეთა თვითმართველობა და მშბელთა კომიტეტი. აღნიშნული ორგანოების ფუნქციონირება კი თავისთავად გულისხმობს სასკოლო საზოგადოების წევრების თანაბარ ჩართულობას, რაც გამოიხატება შეხვედრებზე საკუთარი მოსაზრების დაფიქსირებითა და ინიციატივების გამოვლენით.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის შინაგანაწესი;
- საზოგადოებასთან ურთიერთობის/კომუნიკაციის წესი;
- სამეურვეო საბჭოს ოქმი (დისციპლინურ კომიტეტში მშობელი წევრების წარდგენასთან დაკავშირებით);
- მოსწავლეთა თვითმართველობის ოქმი;

- საინფორმაციო დაფები
- სკოლის სოციალური ქსელის გვერდი

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში)**

სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, სკოლას შემუშავებული აქვს უსაფრთხოების პოლიტიკის დოკუმენტი. აღნიშნული დოკუმენტის შემუშავების მიზანია სკოლაში ბავშვთა უფლებების დაცვა და მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინება; სკოლის ტერიტორიაზე, სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით პრევენციული ღონისძიებების განხორციელება; ფიზიკურად, ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა და საგანგებო სიტუაციების პრევენცია, მისთვის მზადყოფნა.

სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას უზრუნველყოფენ მანდატურები და სკოლის დარაჯები. (სკოლას ჰყავს 2 მანდატური და 2 დარაჯი). სკოლა არ არის აღჭურვილი ვიდეო-სამეთვალყურეო კამერებით, თუმცა, სკოლას ჰყავს მორიგე მასწავლებლები, რომლებიც მანდატურებთან ერთად უზრუნველყოფენ წესრიგის დაცვას და მოსწავლეთა უსაფრთხო გადაადგილებას როგორც შენობის შიდა, ისე გარე პერიმეტრზე.

სკოლაში დამონტაჟებულია ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების სისტემა, აქვს ცეცხლმაქრები და სხვა შესაბამისი საჭირო ინვენტარი. თუმცა, გამომდინარე იქიდან, რომ განხორციელდა სკოლის რეაბილიტაცია და ამ ეტაპისთვის ჯერ კიდევ არ მომხდარა სკოლის შენობის ჩაბარება, სკოლას არ აქვს უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა. გარდა ამისად, სკოლას არ აქვს ასევე შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნასთან შესაბამისობის შესახებ დოკუმენტი და უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა.

სკოლას შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრული აქვს, რომ უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა, შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნასთან შესაბამისობის შესახებ უფლებამოსილ უწყებასთან მიმართვა და შესაბამის უწყებასთან შეთანხმებული სკოლა საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა მოპოვებული ექნება 2027 წლის 10 აგვისტომდე.

რეკომენდაცია: სკოლამ უზრუნველყოს უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნის მოპოვება, შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნასთან შესაბამისობის შესახებ უფლებამოსილ უწყებასთან მიმართვა და საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმება შესაბამის უწყებებთან, შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის შესაბამისად, 2027 წლის 10 აგვისტომდე.

ინდიკატორი ნაწილობრივ აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

2. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას**

სკოლაში ფუნქციონირებს სამედიცინო კაბინეტი, რომელიც უზრუნველყოფილია ბუნებრივი და ხელოვნური განათებით, ნიავდება ბუნებრივი ვენტილაციის გზით და აღჭურვილია პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენისათვის საჭირო ინვენტარით: სამედიცინო ტახტი, საკაცე, მაცივარი და კარადები. ექიმის კაბინეტი უზრუნველყოფილია ასევე ყველა საჭირო მედიკამენტითა და პირველადი დახმარებისათვის საჭირო საშუალებებით. სამედიცინო კაბინეტში დაცულია პაციენტის გასინჯვის პრივატულობა, რამდენადაც სამედიცინო ტახტი სპეციალური შირმით არის გამოყოფილი ოთახის სხვა სივრცისაგან.

არაერთი მცდელობის მიუხედავად, სკოლამ ვერ შეძლო კანონმდებლობით დადგენილი წესით შეევსო სკოლის ექიმის ვაკანტური პოზიცია და დაესაქმებინა შესაბამისი კვალიფიკაციის კადრი, შესაბამისად, სკოლაში ვიზიტის პერიოდისათვის, ვაკანტური პოზიციის შესავსებად სკოლას გამოცხადებული ჰქონდა ექთნის კონკურსი.

სკოლას შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული ჰქონდა, რომ 2026 წლის 10 აპრილამდე უზრუნველყოფდა სკოლაში ექთნის აყვანას. შესაბამისად, სკოლას მიეცა რეკომენდაცია, დაესაქმებინა ექთანი შესაბამისობის გეგმის შესაბამისად, 2026 წლის 10 აპრილამდე.

უნდა აღინიშნოს, რომ სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა აღნიშნული რეკომენდაციის შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტები.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

3. **სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას**

საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უზრუნველსაყოფად სკოლაში ჩამოყალიბებულია მრჩეველთა საბჭო, რომელიც განიხილავს სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასთან დაკავშირებულ საკითხებს, მათ შორის, სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაში მასწავლებლების, მოსწავლეების, კანონიერი წარმომადგენლების მიერ იდენტიფიცირებული პრობლემებისა და მათ მიერ შეთავაზებული გადაწყვეტის გზებს. მიღებულ ინფორმაციებზე დაყრდნობით შეიმუშავებს რეკომენდაციებს გასატარებელი ღონისძიებების შესახებ. სკოლა საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით, დამრიგებლების საშუალებით მოსწავლეებსა და მშობლების აცნობს მათ უფლებებსა და სკოლაში მოქმედ წესებს.
სკოლას ჰყავს 2 მანდატური, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლაში საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვას სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას. გარდა ამისა, სკოლას შემუშავებული აქვს ასევე მასწავლებელთა მორიგეობის განრიგი, რომლის შესაბამისადაც, მასწავლებლები ყოველდღიურად აკონტროლებენ შენობის ყველა სართულს. საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით, სკოლას გამოკრული აქვს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრის „112“-ის ცხელი ხაზის ნომერი – 112 (შემდგომ – 112). ასევე გამოკრულია განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ნომერი და საქართველოს სახალხო დამცველის ცხელი ხაზის ნომერი.
გარდა ამისა, სკოლას ჰყავს დარაჯი, რომელიც აწარმოებს შესაბამის რეესტრს და აკონტროლებს სკოლაში უცხო პირთა შემოსვლასა და გადაადგილებას.
ამასთანავე, სკოლას ბრძანებით ჰყავს განსაზღვრული უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი და უკონტაქტო ზედაპირულ დათვალიერებაზე პასუხისმგებელი პირები.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

4. **სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს**

ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის მიზნით, სკოლაში მოქმედი მრჩეველთა საბჭო, რომელიც აქტიურად მუშაობს და მოსწავლეებისთვის გეგმავს საგანმანათლებლო-საინფორმაციო აქტივობებს ისეთ საკითხებზე, როგორიცაა ძალადობა, ბულინგი, კიბერბულინგი, ნაადრევი ქორწინება თუ ჯანსაღი წესი. გამომდინარე იქიდან, რომ სკოლას არ ჰყავს ფსიქოლოგი, სკოლა მაქსიმალურად არის ჩართული, რომ მოსწავლეებს თავად მიაწოდოს ყველა საჭირო ინფორმაცია. საჭიროების შემთხვევაში, მოსწავლის გადამისამართება ხდება ფსიქო-სოციალური მომსახურების ცენტრთან. მათი ცხელი ხაზის ნომერი სკოლას გამოკრული აქვს სკოლის შენობაში თვალსაჩინო ადგილას. დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ სკოლის შენობაში ერთ-ერთი ოთახი დათმობილი აქვს ფსიქო-სოციალური მომსახურების ცენტრის წარმომადგენლისათვის. შესაბამისად, სკოლას საშუალება აქვს საჭიროების შემთხვევაში მარტივად ისარგებლოს სოციალურ მუშაკის მომსახურებით.

გარდა ამისა,სკოლას დამტკიცებული აქვს ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) წესი და განსაზღვრული ჰყავს რეფერირებაზე პასუხისმგებელი პირი, რომელსაც ევალება, გონივრული ეჭვის არსებობის შემთხვევაში, ძალადობის ფაქტის შესწავლა და საფუძვლიანი ეჭვის არსებობის შემთხვევაში, კანონით განსაზღვრული ღონისძიებების გატარება. გარდა ამისა, დამრიგებლების მიერ ტარდება სადამრიგებლო საათი, რომლის ფარგლებშიც ასაკის შესაბამისად მუშაობენ ბულინგისა და მოსწავლეთა პიროვნული და სოციალური უნარების განვითარების მიმართულებით.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სკოლაში პოზიტიური სასწავლო გარემოა, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთათვის ემოციურად უსაფრთხო გარემოს შექმნას.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

5. **სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას**

სკოლაში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები. სუფთა და მოწესრიგებულია როგორც საკლასო ოთახები, ისე დერეფნები, სველი წერტილები და სკოლის ეზო. ყოველდღიურად სველი წესით ლაგდება საკლასო ოთახები და დერეფნები, პერიოდულად კი ტარდება სადეზინფექციო სამუშაოები. სკოლაში დასაქმებულია 3 დამლაგებელი.

დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ სკოლაში ვიზიტის პერიოდში, სკოლის შენობაში და სველ წერტილებში დაცული იყო სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები. ყველა სველი წერტილი უზრუნველყოფილი იყო პირადი ჰიგიენის დაცვის საშუალებებითა და საჭირო რესურსებით.
ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

6. **სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას**

სკოლა პერსონალურ მონაცემებს ამუშავებს კანონით დადგენილი წესითა და მოცულობით. სკოლის ადმინისტრაცია უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დამუშავებასთან დაკავშირებით თანხმობების მოპოვებას ან საჭიროების შემთხვევაში, შიფრავს მონაცემებს.

სკოლას ბრძანებით ჰყავს განსაზღვრული პერსონალური მონაცემების დაცვის მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირი, ხოლო პერსონალური მონაცემების ოფიცრად განსაზღვრულია საგანმანათლებლო რესურსცენტრის წარმომადგენელი.

სკოლის თანამშრომელთა და მოსწავლეთა პირადი საქმეები ინახება საქმისმწარმოებელთან. სკოლის ყველა კომპიუტერი უზრუნველყოფილია ლიცენზირებული პროგრამებითა და განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ მიწოდებული ინტერნეტით.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის უზრუნველსაყოფად, სკოლას 2024 წელს აქვს შემუშავებული და დამტკიცებული ,,პერსონალური მონაცემების დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმები'', რომლითაც განსაზღვრულია მონაცემთა დამუშავების მიზნები და პრინციპები.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

7. **სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები**

სკოლის მიერ შემუშავებული პერსონალური მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმები, რომელიც არეგულირებს ინფორმაციის დაცულობასთან დაკავშირებულ საკითხებს. მოსწავლეთა და სკოლის თანამშრომელთა პერსონალური მონაცემების დამუშავება, დამუშავებული მონაცემების გამოყენების მიზნობრიობის გათვალისწინება და პერსონალური მონაცემების დაცვა ხორციელდება კანონმდებლობის შესაბამისად. სკოლაში დამუშავებულ მონაცემებზე წვდომა აქვთ მხოლოდ საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში მხოლოდ იმ თანამშრომლებს და იმ მოცულობით, რომელთაც მონაცემები სჭირდებათ საკუთარი ფუნქცია-მოვალეობების შესასრულებლად. სკოლის დოკუმენტაცია, რომელიც შეიცავს პერსონალურ მონაცემებს, აგრეთვე, სკოლაში მატერიალური ფორმით არსებული დოკუმენტაცია (მიმდინარე დოკუმენტები, აქტიური პირადი საქმეები) დაცულია და ინახება საქმისმწარმოებელთან. დოკუმენტებზე და/ან მათში დაცულ ინფორმაციაზე წვდომა შესაძლებელია მხოლოდ საქმისმწარმოებლისგან აღნიშნული დოკუმენტაციის მიღების და შესაბამისი აღრიცხვის გზით.
სკოლის მიერ გამოყენებულ ელექტრონულ სისტემებზე წვდომა შესაძლებელია მხოლოდ ინდივიდუალური მომხმარებლის სახელისა და პაროლის საშუალებით, რაც უზრუნველყოფს ინფორმაციის დაცულობას გარეშე პირების უკანონო წვდომისაგან.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

8. **სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის**

სკოლა პერიოდულად აფასებს უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად დანერგილი მექანიზმების ფუნქციონირების ეფექტიანობას. ამ მიმართულებით მუშაობას აქტიურად წარმართავს მრჩეველთა საბჭო, რომელიც გასცემს რეკომენდაციებს მოსალოდნელი საფრთხეების და რისკების პრევენციისათვის. სასწავლო წლის ბოლოს დირექტორი წარმოადგენს ანგარიშს სასკოლო პერიოდის განმავლობაში, რეკომენდაციების საფუძველზე განხორციელებული ღონისძიებების თაობაზე.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის შინაგანაწესი;
- სკოლის უსაფრთხოების პოლიტიკა;
- უსაფრთხოებასა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე უფლებამოსილი პირების განსაზღვრის შესახებ ბრძანება;
- რეფერირებაზე პასუსიხსმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ ბრძანება;
- უკონტაქტო ზედაპირულ დათვალიერებაზე პასუხისმგებელი პირების განსაზღვრის შესახებ ბრძანება;
- რეფერირების წესი;
- დამლაგებლის ხელშეკრულება;
- პერსონალურ მონაცემთა დაცვაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ ბრძანება;
- პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმები;
- მრჩეველთა საბჭოს ოქმები;
- მასწავლებელთა მორიგეობის განრიგი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☒ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**

სკოლის შენობა არის 3 სართულიანი, რომლის რეაბილიტაციაც დასრულდა 2025 წელს. სკოლის ინფრასტრუქტურა და მატერიალური რესურსი სრულად შეესაბამება თანამედროვე მოთხოვნებსა და სტანდარტებს. საკლასო ოთახები აღჭურვილია მასწავლებლის მაგიდით, მოსწავლის ასაკზე მორგებული ინდივიდუალური მერხებით, სკამებით და სასკოლო დაფებით. ლაბორატორიული ოთახებში განთავსებულია საჭირო ინვენტარი.
სკოლის მიერ მოწოდებული დოკუმენტების გაცნობით დასტურდება, რომ ბიბლიოთეკაში არსებული წიგნადი ფონდი მოიცავს როგორც გრიფირებულ სახელმძღვანელოებს, ისე მხატვრულ ლიტერატურას და დამხმარე სახელმძღვანელოებს. სკოლა შესაძლებლობის ფარგლებში ცდილობს გაამდიდროს წიგნადო ფონდი, მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით.
სკოლას აქვს STEAM ლაბორატორია და IT კაბინეტი, რომელიც აღჭურვილია სკოლის კონტიგენტისათვის საკმარისი რაოდენობის კომპიუტერებით. სკოლას ასევე აქვს საკმარისი რაოდენობის პროექტორები და პრინტერები. ინტერნეტი ხელმისაწვდომია სკოლის ყველა მოსწავლისა და თანამშრომლისათვის. სკოლას აქვს სხვადასხვა თვალსაჩინოებები და აუცილებელი მატერიალური საშუალებები, რომლებიც გამოიყენება სასწავლო პროცესში. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის.
აღსანიშნავია ასევე ისიც, რომ სკოლა სრულად ადაპტირებულია. სკოლას აქვს ლიფტი, პანდუსი და ადაპტირებული საპირფარეშო. აქვს რამდენიმე შემოსასვლელი/გასასვლელი კარი. სკოლის პირველ სართულზე მოწყობილია სამედიცინო ოთახი, რესურსოთახი, მანდატურის ოთახი. სკოლას აქვს ბიბლიოთეკა, სპორტული დარბაზი, რომელიც აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით და ღია სპორტული მოედანი.
სკოლაში ყოველწლიურად ტარდება გეგმიური ინვენტარიზაცია კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად. წარმოდგენილი დოკუმენტებით დასტურდება, რომ სკოლის მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის არსებობის შემთხვევაში, სკოლას გააჩნია საკმარისი რაოდენობით საჭირო სასკოლო ინვენტარი.
ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

2. **დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის**

სკოლის ინფრასტრუქტურა, საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის. სკოლაში არსებული მატერიალური რესურსებით სარგებლობის ძირითადი პრინციპი სკოლაში არსებული რესურსების ხელმისაწვდომობაა მოსწავლეებისა და თანამშომლებისათვის. სკოლას ბრძანებით ჰყავს განსაზღვრული კომპიუტერულ ლაბორატორიაში და ბიბლიოთეკაში არსებულ აქტივებზე და ზოგადად სკოლაში არსებულ მატერიალურ ფასეულობებზე პასუხისმგებელი პირები.

სკოლაში არსებულ საერთო სარგებლობის სივრცეებია რესურსოთახი, ბიბლიოთეკა, კომპიუტერული ლაბორატორია, სკოლის შიდა და გარე მოედნები. სკოლას გარე სივცეში მოწყობილი აქვს გადახურული სივრცე სკამებით, რომელსაც იყენებენ სხვადასხვა აქტივობებისათვის, მათ შორის ღია სივრცეში გაკვეთილების ჩასატარებლად.

სკოლას სსსმ მოსწავლეებისათვის მოწყობილი აქვს რესურს-ოთახი, რომელიც აღჭურვილია მოსწავლეების სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების დაკმაყოფილების აუცილებელი მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებით.

რაც შეეხება სპორტულ დარბაზს, ლაბორატორიებსა და STEAM კაბინეტს, ისინი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების ყველა წევრისათვის, რაც თავის მხრივ ხელს უწყობს მოსწავლეთა და მასწავლებელთა მხრიდან სხვადასხვა აქტივობების განხორციელებას. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. **სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით**

სკოლას შემუშავებული აქვს ბიბლიოთეკის მუშაობის წესი (დებულება). ბიბლიოთეკაში ინახება როგორც სასკოლო სასწავლო გეგმით გათვალისწინებული, ისე გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოები, საკითხავი, სასკოლო საგნობრივი ლიტერატურა და დამხმარე ლიტერატურა და მასალები. ბიბლიოთეკის შესასვლელში გამოკრულია სამუშაო საათები (09:00 საათიდან 17:00 საათამდე) და ბიბლიოთეკით სარგებლობის წესები. სამკითხველო დარბაზი მოწესრიგებულია და ქმნის მყუდრო და მშვიდ გარემოს. ბიბლიოთეკის დათვალიერებით დადგინდა, რომ წიგნადი ფონდი უმეტესწილად დამუშავებულია კანონმდებლობის შესაბამისად და წიგნები აღრიცხულია საინვენტარო წიგნში.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

4. **სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს**

სკოლას შექმნილი აქვს ინკლუზიური განათლების განხორციელების ყველა აუცილებელი პირობა. სასკოლო გარემო ადაპტირებულია. სკოლის შესასვლელში არის პანდუსი და დამონტაჟებულია ლიფტი. შესაბამისად, ყველა საერთო სარგებლობის სივრცე (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორია, IT კაბინეტი, ექიმის კაბინეტი, ბიბლიოთეკა, სპორტული დარბაზი) ხელმისაწვდომია სსსმ მოსწავლეებისათვის. სკოლას აქვს ასევე ადაპტირებული საპირფარეშო. სკოლის პირველ სართულზე განთავსებულია რესურს ოთახი, რომელიც აღჭურვილია ყველა საჭირო ინვენტარითა და რესურსით.

სკოლა ხელმძღვანელობს დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული ინკლუზიური განათლების განხორციელების ერთწლიანი სამოქმედო გეგმით, რომელშიც გაწერილია სასწავლო წლის განმავლობაში განსახორციელებელი აქტივობები და პასუხისმგებელი პირები. სსსმ მოსწავლეთათვის შესაბამისი სერვისების მიწოდების მიზნით, სკოლას დასაქმებული ჰყავს სპეციალური მასწავლებლები და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირის ასისტენტები.

სკოლა ხელს უწყობს მოსწავლისთვის სასურველი და ადეკვატური გარემოს შექმნას და ინკლუზიური განათლების ეფექტურ მართვას. სკოლისათვის მოსწავლეთათვის ინკლუზიური გარემოს შექმნა რომ პრიორიტეტულია იკვეთება სკოლის სტრატეგიული გეგმითაც, რამდენადაც სკოლის ერთ-ერთ მიზანს სწორედ ინკლუზიურ ღირებულებებზე დაფუძნებული ხელშემწყობი სასკოლო გარემოს ჩამოყალიბება წარმოადგენს.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

5. **სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას**

შენობის ინფრასტრუქტურა საშუალებას იძლევა სკოლა სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბდეს. სკოლის ერთ-ერთ სტრატეგიულ მიზანს წარმოადგენს სკოლის, როგორც სოციო-კულტურული ჰაბის ჩამოყალიბება. აღნიშნული მიზნის მისაღწევად სკოლამ უკვე გამოყო სივრცე და შესაძლებლობის ფარგლებში ახორციელებს მის აღჭურვას საჭირო ინვენტარითა და რესურსებით.
სკოლის დერეფნები, სკოლის ეზო, ღია სპორტული მოედანი, დახურული სპორტ სარბაზი, IT კაბინეტი ქმნის შესაძლებლობას, მოსწავლეებმა სკოლის ბაზაზე განახორციელონ სოციალური, კულტურული, სპორტული და შემეცნებითი აქტივობები. საკლასო ოთახები აღჭურვილია ყველა საჭირო ინვენტარით. სკოლას აქვს ბიბლიოთეკა, რომელშიც გამოყოფილია სამკითხველო სივრცე და წიგნსაცავი. სკოლის დერეფანსა და საკლასო ოთახებში განთავსებულია ჩატარებული ღონისძიებების ამსახველი მასალები (მოსწავლეთა ნამუშევრები), რაც თავის მხრივ მამოტივირებელ გარემოს ქმნის მოსწავლეთათვის და ამავდროულად ხელს უწყობს სკოლას სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებაში.
ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ინვენტარიზაციის დოკუმენტაცია;
- მატერიალური რესურსებზე პასუხისმგებელი პირების განსაზღვრის შესახებ ბრძანება;
- ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი (დებულება);
- ბიბლიოთეკის ფონდის საინვენტარო წიგნი;
- ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას**

სკოლაში არსებული ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისთვის. სკოლაში ფუნქციონირებს კომპიუტერული ლაბორატორია. სკოლას აქვს 53 ლეპტოპი, 25 პერსონალური კომპიუტერი, 5 პრინტერი და 6 პროექტორი. საკლასო ოთახები და კომპიუტერული ლაბორატორია უზრუნველყოფილია უწყვეტი ინტერნეტით.
სკოლა ელექტრონული საქმისწარმოებას ახორციელებს - email.mes.gov.ge, e-Flow.emis.ge. e-School.emis.ge ელექტრონულ სისტემაში. შესაბამისად, სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა შესაძლებლობას იძლევა სრულფასოვნად წარიმართოს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესი სკოლაში.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

2. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად**

სკოლაში ფუნქციონირებს IT კაბინეტი, რომელიც უზრუნველყოფილია სკოლაში არსებული მოსწავლეთა რაოდენობისათვის საკმარისი კომპიუტერებითა და მუდმივი ინტერნეტით. მასწავლებლებსა და მოსწავლეებს შესაძლებლობა აქვთ მიზნობრიობის გათვალისწინებით,შეუზღუდავად გამოიყენონ სკოლაში არსებული ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა. სკოლის კომპიუტერები და ელექტრონული რესურსები ხელმისაწვდომია, როგორც მოსწავლეებისთვის, ასევე თანამშრომლებისთვის. მასწავლებლების სარგებლობაშია ასევე ლეპტოპები, პროექტორი და სხვა ტექნიკა, საგნობრივი პროგრამების მიზნების მიღწევს ხელშეწყობისათვის.

სკოლას შემუშავებული აქვს ტექნოლოგიების გამვითარების დებულება და ციფრული განვითარების გეგმა, რომელიც მათ შორის მოიცავს ინფორმაციას ტექნოლოგიების კაბინეტით სარგებლობის განრიგთან დაკავშირებით. მოსწავლეებს კომპიუტერულ ლაბორატორიაში არსებული სამუშაო სივრცით სარგებლობა შეუძლიათ ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით, დილის 9-დან საღამოს 17 საათამდე. კომპიუტერულ ლაბორატორიაში განთავსებულ ტექნიკაზე პასუხისმგებელი პირია სკოლის საინფორმაციო მენეჯერი. ხოლო საკლასო ოთახებში, სამასწავლებლოში და ადმინისტრაციულ ოთახებში განთავსებულ ტექნიკაზე კი მასწავლებლები და ადმინისტრაცია.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ინვენტარიზაციის მასალები;
- ტექნოლოგიური განვითარების დებულება;
- ციფრული განვითარების გეგმა;
- მატერიალურად პასუხისმგებელი პირების განსაზღვრის შესახებ ბრძანება.

3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი**

სკოლას შემუშავებული აქვს საქმისწარმოების წესი, რომელიც არეგულირებს საქმისწარმოების ერთიან წესებსა და პროცედურებს. საქმისწარმოების სისტემის ორგანიზებასა და დოკუმენტების დამუშავებას ახორციელებს საქმისმწარმოებელი მოქმედი კანონმდებლობის

შესაბამისად. მისი ფუნქცია-მოვალეობები დეტალურად არის განსაზღვრული შრომითი ხელშეკრულებით. საქმისმწარმოებელი ელექტრონულად აღრიცხავს და არეგისტრირებს სასკოლო დოკუმენტაციას, ახორციელებს მოსწავლეების ჩარიცხვა-ამორიცხვას, უზრუნველყოფს სკოლის არქივის დაცვას და სხვა. სკოლაში შემოსული და გასული დოკუმენტაციის რეგისტრაცია ხორციელდება ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის e-flow მეშვეობით. შესაბამისად, სარეგისტრაციო ნომრისა და თარიღის მინიჭება ხორციელდება ელექტრონულად.

სკოლაში ვხვდებით სამი სახის ბრძანებებს - საერთო, საკადრო და მოსწავლეთა ბრძანებებს. სკოლა შიდა დოკუმენტაციის აღრიცხვის მიზნით აწარმოებს სარეგისტრაციო ჟურნალებს. საკადრო ბრძანებების ჟურნალში ტარდება დასაქმებულებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები, მოსწავლეთა ბრძანებებში აღირიცხება მოსწავლეთა მოძრაობა (ჩარიცხვა-ამორიცხვა, მობილობა, სტატუსის შეჩერება და სხვა), ხოლო საერთო ბრძანებებში, ბრძანებები, რომლებიც უშუალოდ არ ეხება მოსწავლეებსა და თანამშრომლებს. მაგალითად, სკოლის დებულებები, მექანიზმებისა და წესების დამტკიცების შესახებ ბრძანებები. სკოლას აქვს ასევე შრომითი ხელშეკრულებებისა და მოსწავლეთა მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან გაფორმებული ხელშეკრულებების რეგისტრაციის ჟურნალი, რომლებიც აკინძულია, ზონარგაყრილია, დანომრილია და დამოწმებულია სკოლის ბეჭდითა და დირექტორის ხელმოწერით.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

2. **სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა**

სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა (Eflow). ასევე, სკოლის მოსწავლეთა და თანამშრომელთა ინფორმაციის დეტალურად ასახვა ხდება განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში (eSchool). აღნიშნულ სისტემაში ხორციელდება ასევე მოსწავლეთა მობილობის, სტატუსის შეჩერების, ჩარიცხვა-ამორიცხვის შესახებ ინფორმაციის ასახვა. სკოლას აქვს ელექტრონული ჟურნალი, რომლის საშუალებითაც ხდება მოსწავლეთა გაკვეთილზე დასწრების აღრიცხვა, შეფასება, მშობლებთან კომუნიკაცია. ელექტრონულ ჟურნალში შესაძლებელია ასევე სკოლის ღონისძიებების, გაკვეთილების ცხრილის, გამოცდებისა და მოსწავლისთვის განკუთვნილი საშინაო დავალებების შესახებ ინფორმაციის შემოწმება.

გარდა ამისა, სასკოლო საზოგადოებასთან ურთიერთობისა და ინფორმაციის მიღება-გავრცელებისათვის სკოლა აქტიურად იყენებს ელექტრონული ფოსტას - telavi2@mes.gov.ge და სკოლის სოციალური ქსელის გვერდს.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

3. **სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში**

ვიზიტის დროს შემოწმდა სკოლის eSchool-ის ელექტრონული ბაზა, რომელშიც ყველა სავალდებულო ველი შევსებულია სრულყოფილად. აღნიშნულ სისტემის საშუალებით ხდება ასევე მოსწავლის მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და აღდგენის, კლასის ცვლილების განხორციელება, ფიქსირდება სამეურვეო საბჭოს არჩევნების შედეგები, სახელმძღვანელოების არჩევა-აღრიცხვა, საგაკვეთილო ცხრილებისა და განრიგის შეტანა. E-School-ის სისტემაში სკოლა ასევე განსაზღვრავს პირველკლასელთა ლიმიტს, ახორციელებს

საფეხურის დაძლევას და მოსწავლეთა ამორიცხვას. დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ სკოლის ბარათი განახლებულია. სრულყოფილად არის შევსებული ასევე მასწავლებელთა პროფილები. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

4. **სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან**

სკოლა ეფექტურად თანამშრომლობს საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებთან. საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან კომუნიკაციას სკოლა საგანმანათლებლო რესურსცენტრის საშუალებით ამყარებს.

სკოლას საქმისწარმოების წესით განსაზღვრული აქვს ანგარიშგებებისა და შემოსულ კორესპოდენციაზე რეაგირების პერიოდები და პროცედურები. შემოსულ კორესპოდენციაზე პასუხისმგებელი პირია საქმისმწარმოებელი.

სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირს და ინფორმაციას საგანმანათლებლო მარეგულირებელ უწყებებს. ყოველი კალენდარული წლის ბოლოს, სკოლის დირექტორი სამეურვეო საბჭოს წარუდგენს ანგარიშს ფინანსური და სასწავლო წლის მიმდინარეობის შესახებ, ხოლო ყოველი წლის 10 დეკემბერს წარუდგენს საქართველოს პარლამენტს, პრემიერ მინისტრს, პრეზიდენტსა და საკანონმდებლო მაცნეს საჯარო ინფორმაციის წარდგენის შესახებ ანგარიშს.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის საქმისწარმოების წესი;
- საქმისმწარმოებლის შრომითი ხელშეკრულება;
- სკოლის პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;
- ერთიანი ელექტრონული სისტემა;
- სამეურვეო საბჭოს ოქმი დირექტორის წლიურ ანგარიშთან დაკავშირებით;
- სარეგისტრაციო ჟურნალები;
- სკოლის სოციალური ქსელების (facebook) ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ ბრძანება.

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით**

სკოლა სასკოლო საზოგადოების ინფორმირებისთვის იყენებს სკოლის ვებგვერდს, სოციალური გვერდსა და დახურულ ჯგუფებს, რომელთა საშუალებითაც სასკოლო საზოგადოების წევრები და დაინტერესებული პირები იღებენ ინფორმაციას სკოლაში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით. დაინტერესებულ პირებს შესაძლებლობა აქვთ ასევე კითხვით მიმართონ სკოლას ელექტრონულ ფოსტაზე. სასკოლო სივრცეში, თვალსაჩინო ადგილასაა განთავსებული საინფორმაციო დაფა, რომელზეც რეგულარულად ხდება სიახლეების განთავსება.

გარდა ამისა, სკოლას აქვს სოციალური ქსელის გვერდი, რომელსაც აქტიურად იყენებენ სკოლის ყოველდღიური ცხოვრების, წარმატებული აქტივობებისა და საზოგადოებისათვის საჭირო ინფორმაციის განსათავსებლად.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სკოლას დამტკიცებული აქვს საზოგადოებასთან კომუნიკაციის წესი, რომლითაც განისაზღვრება სასკოლო საზოგადოებასთან ურთიერთობის ფორმატი და საშუალებები.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

2. **სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას**

სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას. სკოლის ვებგვერდსა და სოციალურ ქსელში განთავსებულია ინფორმაცია სკოლაში განხორციელებული აქტივობებისა და მიღწევების შესახებ. ინფორმაციისა და სიახლეების სანდოობა დასტურდება ჩატარებული ღონისძიებებისა და პროექტებისა ამსახველი ფოტომასალით. სკოლის დირექცია პასუხისმგებლობას იღებს გავრცელებული ინფორმაციის სისწორეზე და საჭიროების შემთხვევაში, მზადყოფნას გამოთქვამს დაადასტუროს ინფორმაციის უტყუარობა. სკოლის სოციალური ქსელის გვერდსა თუ საინფორმაციო დაფებზე ინფორმაცია განთავსებულია ქართულ ენაზე, რომელიც მუდმივად განახლებადია. სკოლის სოციალური ქსელების (facebook) ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელ პირად განსაზღვრულია სკოლის საქმისმწარმოებელი.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

3. **საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად**

სკოლა ეფექტურად იყენებს სხვადასხვა საკომუნიკაციო არხებს სასკოლო საზოგადოებასა და ზოგადად დაინტერესებულ პირებთან უწყვეტი და სწრაფი კომუნიკაციისათვის. კომუნიკაციის პროცესში მიღებულ უკუკავშირს კი იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის

გასაუმჯობესებლად. სკოლას აქვს მზაობა, მაქსიმალურად გაითვალისწინოს სასკოლო საზოგადოების მოთხოვნები, სურვილები და ინიციატივები საქმიანობის პროცესში.
სკოლას აქვს ვებ-გვერდი, რომელზედაც ინფორმაცია განთავსებულია ქართულ ენაზე. სკოლის გვერდზე სოციალურ ქსელში ქვეყნდება თითქმის ყოველდღიური ინფორმაცია სკოლაში მიმდინარე საქმიანობის შესახებ, სადაც ჩართულია კომენტარების ველი და ნებისმიერ ადამიანს აქვს საშუალება შეკითხვებითა თუ ინიციატივებით მიმართოს სკოლას. სკოლა მზაობას გამოთქვამს, განიხილონ მშობელთა ნებისმიერი ინიციატივა და შესაძლებლობის ფარგლებში, გამოიყენონ მიღებული უკუკავშირი სკოლის ხარისხის გასაუმჯობესებლად.
ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

4. **სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას**

სკოლა სწავლებას ახორციელებს სახელმწიფო ენაზე, შესაბამისად ყველა ინფორმაცია სკოლის ვებ გვერდზე - https://skolebi.emis.ge/. განთავსებულია სახელმწიფო ენაზე.
ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

5. **ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია**

სკოლის ვებ გვერდი, https://skolebi.emis.ge/, შეიცავს სკოლის შესახებ შემდეგ ინფორმაციას: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, საკონტაქტო ინფორმაცია, მოსწავლეთა რაოდენობა, სკოლის განვითარების შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა, ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, პროგრამები, ინფრასტრუქტურა და ფინანსები. ასევე, ინფორმაცია მოსწავლის პროგრამაზე ჩარიცხვის პროცედურების შესახებ, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები და გასაჩივრების მექანიზმები. სკოლაში ვიზიტის პერიოდში სკოლამ წარმოადგინა სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში, რომელიც ამ დროისათვის არ არის განთავსებული სკოლის ვებ. გვერდზე. ასევე, სკოლას შეცდომით აქვს ატვირთული მიმდინარე წლის ნაცვლად 2024 წლის ბიუჯეტი.
რჩევა: სასურველია სკოლამ პერიოდულად განაახლოს ვებ. გვერდი და დროულად ასახოს სიახლეები და ცვლილებები.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საზოგადოებასთან კომუნიკაციის წესი;

- სკოლის პროფილი eschool-ის ბაზაში;
- Eflow, email.mes.gov.ge;
- https://skolebi.emis.ge/,

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება**

სკოლის ფინანსური რესურსი ქმნის საგანმანათლებლო საქმიანობის, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელების მყარ საფუძველს. სკოლის ძირითად დაფინანსების წყაროს წარმოადგენს ვაუჩერული დაფინანსება, თუმცა სკოლას პერიოდულად აქვს დამატებითი ეკონომიკური შემოსავალი იჯარით გაცემული ფართებიდან (სკოლაში ვიზიტის პერიოდში ხელშეკრულება შეწყვეტილი იყო).

სკოლის ბიუჯეტი მტკიცდება სამეურვეო საბჭოს სხდომაზე კანონის დადგენილ ვადებში. ბიუჯეტის პროექტის მომზადებისას სკოლა ითვალისწინებს სავარაუდო შემოსავლებს, მომდევნო წლის პრიორიტეტებს, სავარაუდო ხარჯებს, წინა წლის გამოცდილებას და საბიუჯეტო კალენდარს. ბიუჯეტის დაგეგმვისას სკოლა ითვალისწინებს კონკრეტული წლის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების შესრულებისთვის საჭირო ფინანსური რესურსის განაწილების პრინციპს.

გარდა ამისა, სკოლის თანამშრომლებთან ინტერვიუსას გამოიკვეთა, რომ სკოლის ბიუჯეტის დაგეგმვისთვის საგნობრივი კათედრები მათ საჭიროებებს აცნობენ დირექციას. დირექტორი ბუღალტერთან ერთად იკვლევს საჭიროებებს, შეადგენს ბიუჯეტის პროექტს, რომელსაც განიხილავს და ამტკიცებს სამეურვეო საბჭო. საჭიროების შემთხვევაში, შესაძლოა მოხდეს ბიუჯეტის კორექტირება. თანხის განკარგვა მიზნობრივია და სრულად ხმარდება სკოლის განვითარებასა და სწავლა-სწავლების პროცესს.

გარდა ამისა, სკოლის მომდევნო წლის შესყიდვების გეგმას ადგენენ წინა წლებისა და ბაზრის კვლევის გათვალისწინებით და ამტკიცებენ მიმდინარე წლის 20 ნოემბრამდე. ყოველი წლის 10 დეკემბრამდე სკოლის დირექტორი წარსდგება სამეურვეო საბჭოს სხდომაზე წლის ფინანსური ანგარიშით, რაც დასტურდება სამეურვეო საბჭოს ოქმით.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

2. სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა

სკოლის ფინანსურ რესურსებს გეგმავს და განკარგავს სკოლის დირექტორი სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებული ბიუჯეტის შესაბამისად. ბიუჯეტის დაგეგმვა ხორციელდება რეალური გათვლებისა და გაანგარიშების საფუძველზე. სკოლის ბიუჯეტს შეიმუშავებს დირექტორი, სკოლის სტრუქტურული ერთეულებისაგან მიღებული ინფორმაციის შესწავლისა და ანალიზის საფუძველზე. სკოლის ბიუჯეტს ამტკიცებს და საჭიროების შემთხვევაში მასში ცვლილებები შეაქვს სამეურვეო საბჭოს. ფინანსური რესურსების განკარგვის მონიტორინგის ერთგვარი საშუალებაა სკოლის დირექტორის მიერ წლიური ფინანსური ანგარიშის წარდგენა, რომლის საფუძველზეც მოწმდება ბიუჯეტის ხარჯვის კანონიერება. სკოლა კანონმდებლობის შესაბამისად უზრუნველყოფს ფინანსური ანგარიშგების (ბალანსის) წარდგენას შესაბამისი უწყებისთვის.

დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ სკოლის ბიუჯეტის გათვლისწინებით, სასკოლო სასწავლო გეგმითა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმით განსაზღვრული პროცესები მიმდინაროებს შეუფერხებლად.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- წლიური ფინანსური ანგარიში;
- სამეურვეო საბჭოს ოქმი ბიუჯეტის დამტკიცებასთან დაკავშირებით;
- სკოლის ბიუჯეტი;
- სახელმწიფო შესყიდვების გეგმა;
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- იჯარის დოკუმენტაცია.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა
4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა
4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა**

სკოლაში მოსწავლის კანონიერი უფლებების დაცვა რეგულირდება სკოლის შინაგანაწესით. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა თვითმმართველობა, მოსწავლეთა მხარდაჭერის ჯგუფი რომლის ფუნქციაა დაიცვას მოსწავლეთა ინტერესები და მათი უფლებები, საჭიროების შემთხვევაში უშუამდგომლოს მოსწავლეებს სკოლის დირექციასთან.

სკოლაში საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის N06/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობების“ შესაბამისად, შექმნილია მრჩეველთა საბჭო. სკოლამ ვიზიტის მეორე დღეს გადმოაგზავნა მრჩეველთა საბჭოს შემნის და საქმიანობის დოკუმენტაცია და ასევე ვიზიტის დროს მრჩეველთა საბჭოსთან გასაუბრების შედეგად დასტურდება რომ აღნიშნული საბჭო უზრუნველყოფს მოსწავლეთათვის და მათი კანონიერი წარმომადგენლებისათვის მოსწავლეთა უფლებებისა და მოვალეობების შესახებ ინფორმაციის მიწოდებას, დარღვეული უფლების აღდგენისა და დაცვის შესახებ ინფორმაციის მიწოდებას.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

2. **მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან**

მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებებისდაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან. მოსწავლის კანონით გარანტირებული უფლებების დაცვა აღნიშნულის გაცნობის უფლება აქვს ყველა დაინტერესებულ პირს. სკოლის მოქმედი შინაგანაწესი გამოკრულია საინფორმაციო დაფაზე. მეტი ინფორმირებულობის, ჩართულობის გაზრდის და ცნობიერების ამაღლების მიზნით, სასწავლო წლის დასაწყისში იმართება მშობელთა კრებები, სადაც ისინი ეცნობიან მოსწავლის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის უფლებებსა და დაცვის მექანიზმებს.
სკოლის ვებგვერდზე განთავსებულია შინაგანაწესი.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

3. **მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება**

მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება. ხელშეკრულება ძალაშია მოსწავლის სწავლის დასასრულამდე და მასში გაწერილია როგორც მოსწავლის, ისე მშობლის და სკოლის უფლებები.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის შინაგანაწესი
- სკოლასა და მშობელს შორის დასადები ხელშეკრულება
- თვითმმართველობის სხდომის ოქმები
- სკოლის ვებგვერდი
- მრჩეველთა საბჭოს საქმიანობის დოკუმენტაცია

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები**

სკოლის დირექტორის 2025 წლის 29 იანვრის N2-15 ბრძანებით დამტკიცებულია 15 სსიპ ქაიხოსრო(ქაქუცა) ჩოლოყაშვილის სახელობის ქალაქ თელავის 2 საჯარო სკოლაში მოსწავლეთა ჩარიცხვის, კლასიდან კლასში გადაყვანის, სტატუსის შეჩერების, მობილობისა და უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების საფძველზე მოსწავლის ჩარიცხვის საფეხურის დაძლევისა და ინდივიადუალური სასწავლო გეგმების შემუშავების წესი, რომლითაც განსაზღრულია აღნიშნული პროცესების განხორციელების კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

2. **სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს**

სკოლის დოკუმენტაციის და eschool - ის ბაზის დათვალიერებით დადასტურდა, რომ სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

3. **სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ სკოლა ინფორმაციას ავრცელებს სოციალური ქსელის საშუალებით, რომლის სანდოობაზეც პასუხისმგებელია სკოლა. პერიოდულად ხდება მოძველებული, არასაჭირო ინფორმაციის წაშლა.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

4. **სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული**

სკოლის ვებგვერდისა და სოციალურ ქსელში სკოლის გვერდის დათვალიერებით დასტურდება, რომ სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ბრძანება 2-15 სსიპ ქაიხოსრო(ქაქუცა) ჩოლოყაშვილის სახელობის ქალაქ თელავის 2 საჯარო სკოლაში მოსწავლეთა ჩარიცხვის, კლასიდან კლასში გადაყვანის, სტატუსის შეჩერების, მობილობისა და უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების საფძველზე მოსწავლის ჩარიცხვის საფეხურის დაძლევისა და ინდივიადუალური სასწავლო გეგმების შემუშავების წესი
- სკოლის შინაგანაწესი
- Eschool ში სკოლის პროფილის დათვალიერება
- სკოლის ვებგვერდი
- სკოლის გვერდი სოციალურ ქსელში (facebook)

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი**

სკოლის დირექტორის 2026 წლის 12 იანვრის ბრძნებით დამტკიცებულია სსიპ ქაიხოსრო (ქაქუცა) ჩოლოყაშვილის სახელობის ქალაქ თელავის N2 საჯარო სკოლის მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის წესი. აღნიშნული დოკუმენტით განსაზღვრულია მოსწავლის სასკოლო ცხოვრებაში ადაპტაციის პრინციპები და მნიშვნელოვანი ფაქტორები. გათვალისწინებულია პირველკლასელთა, სსსმ მოსწავლეთა, მობილობით გადმოსული მოსწავლის ადაპტაცია.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

2. **სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან**

სკოლაში შემუშვებული მოსწავლეთა ადაპტაციის წესის თანახმად, სკოლას აქვს მზაობა და შესაძლებლობა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელი შეუწყოს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

3. **მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად**

სკოლის მიერ წარმოდგენილი სასკოლო სასწავლო გეგმის ანალიზით იკვეთება, რომ მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად. სკოლა უზრუნლვეყოფს რემედიაციის პროგრამის შემუშვებას მოსწავლეთა მხარდაჭერის მიზნით, სკოლა აქვს 2024 წლის 15 მაისის ბრძანებით N 2-87 დამტკიცებული სსიპ ქალაქ თელავის N2 საჯარო სკოლაში რემედიაციის მექანიზმი.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

4. **სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით**

სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით. კერძოდ, სკოლის დირექცია და ადმინისტრაცია უზრუნველყოფს მოსწავლეთათვის და მათი კანონიერი წარმომადგენლებისათვის ინფორმაციის დროულად მიწოდებას, რათა მათ საკუთარი უფლების დაცვის რეალიზების საშუალება ჰქონდეთ. კერძოდ, ხდება ინფორმაციის მიწოდება უწევთ თუ არა სემესტრული გამოცდების, საშემოდგომო გამოცდების, ექსტერნის გამოცდების ჩაბარება., ასევე რა ვადაში შეუძლიათ აღნიშნული გამოცდების ჩაბარება და სხვ. მოსწავლეებთან ინტერვიუს შედეგად დადასტურდა, რომ მასწავლებლებისგან მიღებული აქვთ ინფორმაცია აღნიშნული საკითხის თაობაზე.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

5. **სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას**

სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებას. კერძოდ, სკოლაში დასაქმებული ყველა პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება საქართველოში მოქმედ კანონმდებლობას. პერსონალის აქტიური მონაწილეობით იგეგმება სკოლის მოსწავლეთა არაფორმალური აქტივობები როგორიცაა ექსკურსიები, თეატრებში გასვლით ღონისძებები, სასკოლო პროექტები და ა.შ. ყველა აღნიშნული ღონისძება ეწყობა კანონით დადგენილლი პროცედურების დაცვით. სკოლა გამოხატავს მზაობას მხარი დაუჭიროს მოსწავლეთა ინიციატივებს. რაც დასტურდება მოსწავლეებთან ინტერვიუს დროს.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

6. **მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას**

სკოლა გამოთქვამს მუდმივ მზადყოფნას, რათა მიიღოს მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირი სკოლის პროგრამების, წრეებისა თუ არაფორმალური აქტივობების შესახებ, რათა შეაფასონ წარმოდგენილი უკუკავშირის და დასახონ მისი გაუმჯობესების გზები და გაითვალისწინონ შემდგომ სასწავლო პროცესში. რაც დასტურდება მოსწავლეებთან ინტერვიუს დროს.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ბრძანება სსიპ ქაიხოსრო (ქაქუცა) ჩოლოყაშვილის სახელობის ქალაქ თელავის N2 საჯარო სკოლის მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის წესის დამტკიცების შესახებ
  ბრძანება სსიპ ქალაქ თელავის N2 საჯარო სკოლაში რემედიაციის მექანიზმის დამტკიცების შესახებ
- სასკოლო სასწავლო გეგმა.

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის**

სკოლას გაფორმებული აქვს მემორანდუმი კოლეჯ „პრესტიჟთან“,ასევე იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტთან, ორგანიზაცია „სთიმითისთან“, ასოციაცია „ბიო“სთან .კოლეჯთან გაფორმებული მემორანდუმის საგანია, მხარეებს შორის ურთიერთთანამშრომლობა უნივერსიტეტის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტების პედაგოგიური პრაქტიკით უზრუნველყოფის, უნივერსიტეტის შემდგომი შეფასების და განვითარების, ასევე საერთო ინტერესების გათვალისწინებით, ერთობლივი აქტივობების დაგეგმვის . კლასის საათის ფარგლებში, დამრიგებლები მოსწავლეებს ესაუბრებიან სხვადასხვა თემებზე. რის ფარგლებშიც მოსწავლეებს აცნობენ სხვადასხვა პროფესიებს და მათ საჭიროებას. მოსწავლეთა პროფესიული ორიენტაციის, და საქმების გაცნობის დახელშეწყობის მიზნით, სკოლა ორგანიზებას უკეთებს სხვადასხვა პროფესიის წარმომადგენლებთან შეხვედრებს. რაც დასტურდება სკოლის მიერ ვიზიტის მეორე დღეს გადმოგზავნილი მემარანდუმებით და ასევე მოსწავლეებთან გასაუბრებით.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

2. **“სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით**

სკოლის მოსწავლეებთან და მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგად, დადასტურდა, რომ იგეგმება და ხორციელდება ექსკურსიები და შეხვედრები სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლების წარმომადგენლებთან და პროფესიული კოლეჯების წარმომადგენლებთან.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

3. **სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს**

მიმდინარე ეტაპზე, მომსახურების შეფასებისა და მონიტორინგის მექანიზმი სკოლაში შემუშავებული არ არის. სკოლის პირველადი ავტორიზაციაა, **რის გამოც მოცემული ინდიკატორი ამ ეტაპზე ვერ ფასდება.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მემორანდუმი კოლეჯსა და სკოლას შორის

- 12 კლასის სადამრიგებლო საათის ოქმები

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი**

სკოლას შემუშავებული აქვს 2025-2026 სასწავლო წლის ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა, რომელშიც დეტალურადაა გაწერილი სკოლის მიერ განსახორციელებელი ღონისძიებები, პასუხისმგებელი პირები და ვადები. მონიტორინგის მიზნით სკოლაში შექმნილია ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის ჯგუფი, რომელის შემადგენლობაშიც შედიან ისეთი პირები, რომლებიც არ არიან ისგ ჯგუფის წევრები. აღნიშნული საშუალებას იძლევა რომ მონიტორინგი განხორციელდეს ობიექტურად და მიუკერძებლად. კოლამ ვიზიტის მეორე დღეს გადმოაგზავნა ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

2. **სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს**

სსსმ მოსწავლეთა განვითარებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოების წარმომადგენლები. სკოლის დირექტორის ბრძანებით, შექმნილია ისგ ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში შედის საგნის მასწავლებელი, დამრიგებელი, მშობელი, სპეციალური მასწავლებელი. სასწავლო წლის დასაწყისში ინკლუზიური განათლების მხარდამჭერი გუნდი აწყობს შეხვედრას მასწავლებლებთან ხდება წლის დასაწყისში განსახორციელებელი სამუშაო გეგმის განხილვა. ურთიერთთანამშრომლობის საფუძველზე იქმნება ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, სადაც გათვალისწინებულია თითოეული მოსწავლის საჭიროება და შესაძლებლობები. სკოლაში შექმნილია ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის ჯგუფი, რომელიც ახდენს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის განხორციელების მონიტორინგს. სკოლამ ვიზიტის მეორე დღეს გადმოაგზავნა ისგ- ჯგუფის შექმნის ბრძანება.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმები
- სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი
- ისგ ჯგუფის სხდომის ოქმი
- ინტერვენციის გეგმა
- ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა
- ისგ ჯგუფის შექმნის ბრძანება

4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურება და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

სკოლა მოსწავლეებს არ სთავაზობს დამატებით არასავალდებულო ხასიათის მომსახურებას. სკოლას იჯარით ჰქონდა ფართი გაცემული, სადაც ფუნქციონირებდა ცეკვის წრე. ამ ეტაპზე იჯარა გაუქმებულია. სკოლამ უნდა განაახლოს ამონაწერი.

რჩევა: სასურველია სკოლამ განაახლოს ამონაწერი საჯარო რეესტრიდან.

2. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას**

სკოლა მიმდინარე ეტაპზე მოსწავლეებს არ სთავაზობს დამატებით, არასავალდებულო ხასიათის მომსახურებას.

3. **შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს**

სკოლა მიმდინარე ეტაპზე მოსწავლეებს არ სთავაზობს დამატებით, არასავალდებულო ხასიათის მომსახურებას.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- აუქციონის გამოცხადებისა და დასრულების დამადასტურებელი დოკუმენტი
- განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს თანხმობის წერილი
- იჯარის ხელშეკრულება
- სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს წერილი (თანხმობა ფართის იჯარით გაცემაზე)

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მეორე სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი - დაწყებითი საფეხური	**☐ შეესაბამება** **☒ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მეორე სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი - საბაზო საფეხური	**☐ შეესაბამება** **☒ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მეორე სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი - საშუალო საფეხური	**☐ შეესაბამება** **☒ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის იწერება გაერთიანებული სახით. ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის იდენტიფიცირება ხდება, მაშინ როდესაც იწერება ხარვეზი/რეკომენდაცია/რჩევა.

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას**

სკოლამ ვიზტის დროს დამატებით გადმოაგზავნა რედაქტირებული კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია. სასკოლო კურიკულუმი შემუშავებულია კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად. მასში გათვალისწინებულია პროცესის ციკლურობა, რაც გულისხმობს კურიკულუმის დანერგვას/რეალიზებას, მონიტორინგსა და შეფასებას. ასევე, მის გადასინჯვასა და რევიზიას. კურიკულუმით განსაზღვრულია სწავლა-სწავლების პროცესის საკვანძო ორიენტირები, სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტები. სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის თანახმად, სასკოლო სასწავლო გეგმის განვითარება მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის თანამშრომლობით ხდება.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

2. **კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები**

კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტში რამდენიმე ასპექტი მიუთითებს იმაზე, რომ გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები. კერძოდ, კურიკულუმი აღწერილია, როგორც დოკუმენტი, რომელიც წარმოადგენს გზას, რომელსაც სკოლა სთავაზობს მოსწავლეებს პიროვნული დოკუმენტი ხაზს უსვამს იმასაც, რომ კურიკულუმი წარმატებით ინერგება მაშინ, როცა მის შინაარსს იზიარებენ და მის განვითარებაში მონაწილეობენ სკოლის მოსწავლეები, მასწავლებლები, დირექცია და მშობლები.

მშობლებთან ინტერვიუს დროს, გამოიკვეთა, რომ მშობლები აქტიურად იყვნენ და არიან ჩართულნი მასწავლებლებისა და დირექციის მიერ ორგანიზებულ შეხვედრებში, რომელთა მიზანია სასკოლო საზოგადოების ინტერესების გამოვლენა და შემდგომში მათი ასახვა სასკოლო სასწავლო გეგმაში.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

შექმნილი კურიკულუმები განხილულია სასკოლო საზოგადოების მიერ, სადაც გათვალისწინებულია შენიშვნები და მოსწავლეთა შესაძლებლობები, განხილულია კათედრის სხდომებზე. სასწავლო პროცესში აქტიურად არიან ჩართული მოსწავლეების მშობლები. სასწავლო წლის დასაწყისში კლასის დამრიგებლები რეგულარულად ატარებენ სადამრიგებლო საათს. მშობლის ჩართულობა სასწავლო პროცესში ეხმარება სკოლას რათა ყურადღება გაამახვილონ, არა მხოლოდ მოსწავლის სწავლაზე არამედ, მოსწავლის ფსიქოლოგიური მდგომარეობაზე. სასწავლო წლის დაწყებამდე მშობლები ეცნობიან სასკოლო კურიკულუმებს, რომლებზეც მათ შვილებს წლის განმავლობაში უწევთ მუშაობა. ისინი საკუთარ მოსაზრებას გამოთქვამენ ბავშვების ინტერესებისა და შესაძლებლობების შესახებ.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. იგი საჯაროა და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული მხარისათვის. მშობელთა ჩართულობა კი უაღრესად პოზიტიურ ზეგავლენას ახდენს სასკოლო კულტურაზე და სასწავლო პროგრამების ხარისხზე. ინდიკატორი შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ბრძანება სსიპ ქალაქ თელავის N2 საჯარო სკოლის სასწავლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ
- დაწყებითი საფეხურის სადამრიგებლო პროგრამები
- სასკოლო სასწავლო წლის გეგმა

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლამ წარმოადგინა საბუნებისმეტყველო მეცნიერებების (ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგია) მიმართულების ყველა კლასის კურიკულუმის ჩარჩო - ცხრილები, რომლებიც მთლიანობაში წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებულ დაგეგმვისა და განვითარების გზას. არსებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით მათ მიერ შემუშავებულ საგნობრივ კურიკულუმის ჩარჩო - ცხრილებში ძირითადად სწორად არის განსაზღვრული სავალდებულო თემები, სამიზნე ცნებები და ქვეცნებები, შესაბამისი რესურსები (ძირითადად სახელმძღვანელო). **ინდიკატორი შესაბამისობაშია**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივ მეცნიერებებში შემუშავებული კურიკულუმები **დაწყებით, საბაზო** და **საშუალო საფეხურზე** წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებულ სასწავლო პროცესის დაგეგმვის და განვითარების გზას. კერძოდ, შემოქმედებითი ტიპის დავალებები (სოციალური რეკლამა, რომლითაც საზოგადოების წევრებს დააფიქრებ, რატომ არის აუცილებელი კლდეში ნაკვეთი ქალაქის-ვარძიის გაფრთხილება; საგაზეთო სტატია ,,კოლხეთის ეროვნული პარკი - საქართველოს სიმდიდრე". ამბავი/მოთხრობა, პალეოლითის ხანაში მცხოვრები უძველესი ადამიანების ყოფა და სხვა), პროექტები („მედიაწიგნიერება და მისი როლი საზოგადოების ინფორმირებაში'; „გლობალური დათბობა და საქართველო") და მრავალფეროვანი აქტივობები (კლუბური მუშაობა მოქალაქეობასა და ისტორიაში, ჯგუფური და ინდივიდუალური დავალებები), არ არის მხოლოდ შინაარსის გადაცემაზე ორიენტირებული, არამედ მიზნად ისახავს მოსწავლის აქტიურ ჩართულობას, კრიტიკული აზროვნების განვითარებას და პრაქტიკული უნარების ჩამოყალიბებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	კურიკულუმით გათვალისწინებული სასწავლო პროგრამა ორიენტირებულია მოსწავლის განვითარებაზე. თემები შერჩეულია უცხო ენების სტანდარტის საფუძველზე, მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებების გათავლისწინებით. მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესი ჩანს იქიდანაც, რომ კურიკულუმში წარმოდგენილია შემოქმედებითი აქტივობები, რომელიც ხელს

	უწყობს მოსწავლეს უცხო ენაში მიღებული ცოდნა მოარგოს და გადმოიტანოს რეალური ცხოვრების სხვადასხვა სიტუაციაში. **სკოლა აკმაყოფილებს მოცემული ინდიკატორის მოთხოვნას.**
ესთეტიკური აღზრდა	ესთეტიკური კათედრის მიერ შემუშავებულ კურიკულუმებში წარმოდგენილია თემები, საკითხები და შემოქმედებითი ტიპის დავალებები, რომელიც მოითხოვს მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობას, ავითარებს შემოქმედებითი უნარებს. მოსწავლეს ეძლევა არჩევანის თავისუფლება, სახალისო აქტივობებში მონაწილეობის შესაძლებლობა და საკუთარი თავის წარმოჩენის საშუალება. მოსწავლე აღიარებულია, როგორც სასწავლო პროცესის წამმართველი ძალა და ჩანს, თუ როგორ ხდება მოსწავლის მიერ შეძენილი ცოდნის კონსტრუირება. ამდენად, სკოლის მიერ შემუშავებული კურიკულუმი არის მოსწავლეზე და პროცესზე ორიენტირებული პროგრამა. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა	სახელმწიფო ენის საგნობრივი კურიკულუმები სკოლის სამივე საფეხურზე წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და სახელმწიფო ენის კათედრის წევრებთან გასაუბრების საფუძველზე გვიჩვენებს, რომ ორიენტირებულია მოსწავლეზე და შემუშავებულია მოსწავლეთა ასაკობრივი შესაძლებლობების გათვალისწინებით. საგნობრივი კურიკულუმი სამივე საფეხურზე წარმოადგენს სტრუქტურირებულ დოკუმენტს და მოიცავს აუცილებელ კომპონენტებს. საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული შინაარსი (თემა/საკითხი) უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას, შუალედური მიზანი/მიზნები წარმოადგენს შემოქმედებით პროდუქტს. საგნობრივი კათედრის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები გვიჩვენებს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. პედაგოგებმა ინტერვიუს დროს წარმოადგინეს სამომავლო ხედვა, ისაუბრეს საკუთარ გამოცდილებაზე. სწორი აქცენტები გააკეთეს გრძელვადიანი მიზნის მისაღწევად გამოყენებულ დავალებებზე, როგორც შუალედური მიზნის მნიშვნელობაზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
მათემატიკა	სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები უზრუნველყოფს მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და განვითარებას. დოკუმენტში განსაზღვრულია სავალდებულო

	თემები, შესაბამისი სამიზნე ცნებები და შემოქმედებითი ხასიათის დავალებები. დაგეგმვისას გათვალისწინებულია წინარე გამოცდილება და მოსწავლეთა ინდივიდუალური საგანმანათლებლო საჭიროებები. **რჩევა: ყველა საფეხურის** კურიკულუმში მიზანშეწონილია რესურსების სვეტის სრულყოფილად შევსება, კერძოდ: სახელმძღვანელოს შესაბამისი გვერდების, ელექტრონული მისამართებისა და გამოყენებული თვალსაჩინოებების დეტალური მითითება. ასევე, სასურველია კურიკულუმში ნათლად იყოს წარმოდგენილი თემების მიხედვით საათობრივი განაწილება, სვეტის სახელწოდება: "თავის შემაჯამებელი დავალება" ჩანაცვლდეს "შემოქმედებითი დავალების იდეით" და შეიტანონ ყველა დავალება, რაც შემოქმედებით პროდუქტს ქმნის. კურიკულუმში თემების სახელწოდებები დაკორექტირდეს და შესაბამისობაში იყოს საგნობრივი სტანდარტით განსაზღვრულ ფორმულირებებთან. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია
სპორტი	**სამივე საფეხურზე** - შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. მასში წარმოდგენილი შემოქმედებითი დავალებები, პროექტები და აქტივობები ეფუძნება იმ პრინციპებს, რომლებიც მოსწავლის ინტერესების, შესაძლებლობების, საჭიროებებისა და ინდივიდუალური განსხვავებების გათვალისწინებას გულისხმობს. კურიკულუმი ორიენტირებულია არა მხოლოდ აკადემიური ცოდნის გაღმავებაზე, არამედ იმ უნარებისა და კომპეტენციების განვითარებაზე, რომლებიც აუცილებელია მოსწავლის ფიზიკური, პიროვნული, სოციალურ-ემოციური და შემოქმედებითი ზრდისთვის. **რჩევა:** სამივე საფეხურზე სასკოლო კურიკულუმები სასურველია მეტად გამრავალფეროვნდეს თეორიული სახის სასწავლო თემების მიხედვით, როგორებიცაა (ჯანსაღი ცხოვრების წესი, მავნე ჩვევები, ოლიმპიზმი და სხვა.) **ინდიკატორი 2.1.2.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
ტექნოლოგიები	სკოლაში კომპიუტერული ტექნოლოგიების მასწავლებლის მიერ შემუშავებულია I–VI კლასების საგნობრივი კურიკულუმები, რომლებიც განსაზღვრავს სწავლა-სწავლების პროცესის დაგეგმვის ძირითად მიმართულებებს და ქმნის საფუძველს სასწავლო პროცესის თანმიმდევრული და

	მიზანმიმართული ორგანიზებისთვის. კურიკულუმებში სტრუქტურირებულად არის წარმოდგენილი სასწავლო თემები, სასწავლო მიზნები, აქტივობების დაგეგმვის პრინციპები და მოსწავლეთა სასწავლო შედეგებზე ორიენტირებული საქმიანობა. კომპიუტერული ტექნოლოგიების საგანში წარმოდგენილ ყველა კლასის კურიკულუმში სასწავლო თემების ფარგლებში მუშავდება გრძელვადიანი სასწავლო მიზნები - სამიზნე ცნებები და მათთან დაკავშირებული საგნობრივი საკითხები. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს სასწავლო შინაარსის ლოგიკურ სტრუქტურირებას და ხელს უწყობს მოსწავლეთა მიერ ცოდნის ეტაპობრივ, გააზრებულ და სისტემურ დაუფლებას. კურიკულუმებში წარმოდგენილია კონტექსტ-მაგალითები, რომლებიც ეფუძნება რეალურ ან რეალობასთან ახლოს მდგომ სიტუაციებს. ასეთი კონტექსტები მოსწავლეებს ეხმარება სასწავლო მასალის უკეთ გააზრებაში და აძლევს შესაძლებლობას დაინახონ მიღებული ცოდნის პრაქტიკული გამოყენების გზები. აღნიშნული მიდგომა ხელს უწყობს მოსწავლეთა მოტივაციის გაზრდას და სწავლა-სწავლების პროცესში მათი აქტიური ჩართულობის უზრუნველყოფას. შუალედური მიზნების მისაღწევად კურიკულუმებში წარმოდგენილია კომპლექსური ტიპის დავალებების იდეები და პირობები. აღნიშნული დავალებები ორიენტირებულია მოსწავლეთა აქტიურ მონაწილეობაზე და მათი შესრულების პროცესში მოსწავლეები ქმნიან სხვადასხვა ტიპის შემოქმედებით პროდუქტს, რაც ხელს უწყობს ცოდნის პრაქტიკულ გამოყენებას, პრობლემის გადაჭრის უნარების განვითარებასა და შემოქმედებითი აზროვნების ფორმირებას. კურიკულუმის ფარგლებში ასევე განსაზღვრულია დავალებების შესრულების პროცესში გამოსაყენებელი სასწავლო რესურსები. წარმოდგენილი რესურსები შერჩეულია სასწავლო მიზნებისა და დავალებების სპეციფიკის შესაბამისად და ხელს უწყობს სასწავლო პროცესის ეფექტიან ორგანიზებას. კურიკულუმის სტრუქტურა და შინაარსი აჩვენებს, რომ სწავლა-სწავლების პროცესის დაგეგმვისას აქცენტი კეთდება მოსწავლის აქტიურ მონაწილეობაზე, ცოდნის კონსტრუირებაზე და მიღებული ცოდნის პრაქტიკულ გამოყენებაზე. წარმოდგენილი დოკუმენტაცია და გასაუბრების პროცესში მიღებული ინფორმაცია ადასტურებს, რომ საგნობრივი კურიკულუმი გამოიყენება როგორც სწავლა-სწავლების პროცესის დაგეგმვისა და განვითარების მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი. აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ კომპიუტერული ტექნოლოგიების საგნობრივი კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლა-სწავლების პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას და შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს

	ინდიკატორი დაკმაყოფილებულია
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებითი კათედრის მიერ შემუშავებული საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩო წარმოადგენს მესამე თაობის ესგ-ს სტანდარტის მოთხოვნათა რეალიზების გზებსა და საშუალებებს, მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარებისათვის. კურიკულუმის ჩარჩო ორიენტირებულია სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაზე. კურიკულუმებში გაწერილია საგნობრივი სტანდარტების მიხედვით გაწერილია თემები და გრძელვადიანი სამიზნე ცნებები. შუალედურ მიზნებად მოაზრებულია შემოქმედებითი დავალებები. **რჩევა:** რჩევები გაიცა სასწავლო საკითხთან მიმართებაში, სასურველია საკითხი იყოს კონკრეტული. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია** სკოლამ წარმოადგინა დაწყებითი საფეხურის ბუნებისმეტყველების კურიკულუმის ჩარჩო - ცხრილები, რომლებიც მთლიანობაში წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებულ დაგეგმვისა და განვითარების გზას. არსებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით მათ მიერ შემუშავებულ საგნობრივ კურიკულუმის ჩარჩო - ცხრილებში ძირითადად სწორად არის განსაზღვრული სავალდებულო თემები, სამიზნე ცნებები და ქვეცნებები, შესაბამისი რესურსები (ძირითადად სახელმძღვანელო). **ინდიკატორი შესაბამისობაშია**

1. **კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	**საბუნებისმეტყველო მეცნიერების (ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგია) მიმართულების საბაზო და საშუალო საფეხურის კურიკულუმის ჩარჩო - ცხრილებში განსაზღვრული შინაარსი მთლიანობაში უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას, თუმცა უზუსტობები, ამიტომ სკოლას მიეცეს რჩევა.** **რჩევა:** საბუნებისმეტყველო მეცნიერების (ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგია) მიმართულების საბაზო და საშუალო საფეხურის კურიკულუმის ჩარჩო - ცხრილებში ყველა სავალდებულო სასწავლო თემა გაწერილი იყოს იმგვარად, რომ თემის ფარგლებში მუშავდებოდეს ყველა სამიზნე ცნება; სამიზნე ცნებების შესაბამისი

	ქვეცნებები გაწერილი იყოს სასწავლო თემისა და სტანდარტის შესაბამისად; ყველა გამოყოფილ ძირითად საკითხთან განსაზღვრული იყოს სამიზნე ცნების შესაბამისი ქვეცნებები. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	წარმოდგენილი კურიკულუმები **დაწყებით, საბაზო** და **საშუალო საფეხურზე** შემუშავებულია მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად: გრძელვადიანი მიზნები - სამიზნე ცნებები/საფეხურის შედეგები; სასწავლო თემები, საკითხთა კლასტერი, სასწავლო რესურსი, შემოქმედებითი პროდუქტის სახით გაწერილი შუალედური მიზნები. მოცემული შემოქმედებითი ტიპის დავალებები და პროექტები იძლევა შესაძლებლობას მოსწავლეებს განუვითარდეთ ფუნქციურ კომპონენტური უნარები: შემოქმედობითობა, კრიტიკული აზროვნება, კომუნიკაცია, თანამშრომლობა, ნებელობა. **რჩევა: (2.1.2.2)** **დაწყებითი საფეხური** • ჩვენი საქართველოს VI კლასის კურიკულუმში, მეორე თემაში ,,აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთი" მითითებულია მხოლოდ ორი სამიზნე ცნება (მეურნეობა, მრავალფეროვნება), შესაბამისი ქვეცნებებით. ასამატებელია დანარჩენი ოთხი სამიზნე ცნება (სივრცე, დრო, საზოგადოება, სახელმწიფო), ქვეცნებებთან ერთად. **საბაზო საფეხური** • მიზანშეწონილია, VII კლასის ისტორიის კურიკულუმში, პირველი და მესამე თემა ჩასწორდეს საგნობრივი სტანდარტის შესაბამისად. კერძოდ, ,,ქვის ხანა და უძველესი ადამიანი"-ს ნაცვლად ,,პრეისტორია/ქვის ხანა"; ,,ანტიკური ხანა"-ს - ,,ანტიკური და გვაიანანტიკური ხანა". **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
უცხოური ენები	კურიკულუმში შეტანილი სასწავლო თემები და შემოქმდებითი დავალების პირობები შეესაბამება კონსტრუქტივისტულ სასწავლო მიდგომებს. გრძლევადიანი მიზნების სახით, კურიკულუმში მითითებულია უცხო ენის სტანდარტის სამიზნე ცნებები, რომლებიც შესაბამის თემატურ ბლოკებთან

	ერთად, ხელ შეუწყობს მოსწავლეს მიაღწიოს უცხო ენის, შესაბამისი საფეხურის სტანდარტებით გაწერილ მიზნებს. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ რუსული ენის კურიკულუმში (მე-5-მე-6 კლასები), სასურველია სამიზნე ცნებები არ იყოს წარმოდგენილი ზოგადი, ფართო სახით, არამედ იყოს მეტად დაკონკრეტებული ქვეცნებებისა და საფეხურის შედეგების მიხედვით. ასევე, საბაზო საფეხურზე (მე-7, მე-8, მე-10 კლასები), ინგლისური ენის კურიკულუმში, სკოლამ, საშუალო საფეხურის ნაცვლად, უნდა შეიტანოს საბაზო საფეხურის სტანდარტის გრძელვადიანი მიზნები (სამიზნე ცნებები, ქვეცნებები და შედეგები). შემოქმედებითი დავალების პირობები, როგორც შუალედური მიზნები, უშუალოდ კურიკულუმში უფრო ვრცლად უნდა იყოს აღწერილი, რათა მკაფიო წარმოდგენას იძლეოდეს თუ რა აქტივობებს მოიცავს ესა თუ ის დავალება. სკოლას საკმაოდ ბევრი შემოქმედებითი აქტივობა (შუალედური მიზანი) აქვს გათვალისწინებული კურიკულმში. სასურველია სკოლამ მხოლოდ იმ რაოდენების შემოქმედებითი დავალებები (შუალედური მიზნები) დაგეგმოს, რომლებსაც რეალურად განახორციელებს. **სკოლა აკმაყოფილებს მოცემული ინდიკატორის მოთხოვნას.**
ესთეტიკური აღზრდა	სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების, მუსიკის საგნობრივ კურიკულუმებში წარმოდგენილ თემებზე, საკითხებზე, შემოქმედებით დავალებებზე მუშაობა ხორციელდება სამიზნე ცნებებისა და ქვეცნებების დამუშავება/განვითარების გზით. თემატურ კონტექსტებში სამიზნე ცნებებისა და ქვეცნებების დამუშავება ემსახურება მოსწავლეში საგნობრივი კომპეტენციებისა და გლობალური ფუნქციური უნარების ჩამოყალიბებას. თითოეულ თემასა და საკითხში მუშავდება სტანდარტით განსაზღვრული შედეგები. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა	სკოლის სამივე საფეხურზე მოქმედი კურიკულუმები წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. კურიკულუმში მოცემული შემოქმედებითი დავალების იდეით ჩანს, რომ კურიკულუმი ემსახურება გრძელვადიანი სასწავლო მიზნების განხორციელებას. სახელმწიფო ენის კათედრის წევრებთან ინტერვიუს დროს პედაგოგებმა ისაუბრეს, კონკრეტულად თუ რომელ გრძელვადიან მიზნებს მიემართება მათ მიერ წარმოდგენილი დავალებები სამივე საფეხურზე.

	ინდიკატორი დაკმაყოფილებულია
მათემატიკა	სასწავლო პროცესი ხორციელდება კურიკულუმის შესაბამისად, მუშავდება ყველა სამიზნე ცნება. განხორციელებული შემოქმედებითი ხასიათის დავალებები ორიენტირებულია თემის შესაბამის მიზნებზე. კურიკულუმში შეტანილი დავალებების გარდა, განხორციელებულია სხვა შემოქმედებითი დავალებები, მაგალითად, სასწავლო პროექტები, რომლებიც ასევე ემსახურება შუალედური მიზნების მიღწევას. **რჩევა: ყველა საფეხურის** კურიკულუმებში აისახოს ყველა ტიპის დავალება, რომელიც იძლევა შემოქმედებით პროდუქტს და მიმართულია შუალედური მიზნების მიღწევისაკენ. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სპორტი	**სამივე საფეხურზე** - შემუშავებული საგნობრივი კურიკულუმები, მასში გაწერილი შემოქმედებითი დავალებებით, მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს. იგი ეფუძნება კომპეტენციებზე ორიენირებული სწავლების მიდგომებს და მიზნად ისახავს მოსწავლეთა შემოქმედებითი უნარების განვითარებას, ფიზიკურ გაჯანსაღებას, კულტურული თვითშეგნების ჩამოყალიბებას და თვითგამოხატვის უნარის ფორმირებას. კურიკულუმში გაწერილი მიზნები და ამოცანები შესაბამისობაშია ესგ-ის საფუძველზე ჩამოყალიბებულ ზოგად და საგნობრივ კომპეტენციებთან. სასწავლო პროცესი ხელს უწყობს მოსწავლის პიროვნულ ზრდას, თანამშრომლობის, კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების განვითარებას, რაც ეროვნულ დონეზე დასახული მიზნების რეალიზაციის წინაპირობაა. **ინდიკატორი 2.1.2.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
ტექნოლოგიები	კომპიუტერული ტექნოლოგიების საგნობრივ კურიკულუმებში სასწავლო თემების ფარგლებში მუშავდება ის სამიზნე ცნებები და მათთან დაკავშირებული საგნობრივი საკითხები, რომლებიც განსაზღვრულია ეროვნული სასწავლო გეგმის კომპიუტერული ტექნოლოგიების საგნობრივ სტანდარტში. აღნიშნული სამიზნე ცნებები წარმოადგენს საგნის სწავლების მნიშვნელოვან კონცეპტუალურ საფუძველს და მათი დამუშავება უზრუნველყოფს იმ გრძელვადიან შედეგებზე გასვლას, რომლის მიღწევაც უზრუნველყოფილი უნდა იყოს დაწყებითი საფეხურის ბოლოს.

	კურიკულუმებში განსაზღვრული სასწავლო რესურსები და შუალედური მიზნის მისაღწევად დაგეგმილი აქტივობები ასევე შეესაბამება საგნობრივი სტანდარტით განსაზღვრულ გრძელვადიან სასწავლო მიზნებს/ სამიზნე ცნებებს და ხელს უწყობს მათ ეფექტიანად მიღწევას სასწავლო პროცესში. წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და გასაუბრების პროცესში მიღებული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ სკოლაში კომპიუტერული ტექნოლოგიების საგანში შემუშავებული I–VI კლასების საგნობრივი კურიკულუმები აგებულია იმ მიზნებისა და სასწავლო შედეგების გათვალისწინებით, რომლებიც განსაზღვრულია ეროვნული სასწავლო გეგმის კომპიუტერული ტექნოლოგიების სტანდარტით. შესაბამისად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ კომპიუტერული ტექნოლოგიების საგნობრივი კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში არის კავშირი სამიზნე ცნებას, მის მკვიდრ წარმოდგენებს, ქვეცნებებსა და საგნობრივ საკითხებს შორის. მასწავლებლებმა სავალდებულო თემების მიხედვით განსაზღვრეს გრძელვადიანი მიზნები - სამიზნე ცნებები, ქვეცნებები და ჩანს ბმა შერჩეულ შუალედურ მიზნებს და მიღწევის საშუალებებს შორის. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია** დაწყებითი საფეხურის ბუნებისმეტყველების ყველა კლასის კურიკულუმის ჩარჩო - ცხრილებში მთლიანობაში სწორად არის განსაზღვრული ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტით განსაზღვრული სავალდებულო თემები, სამიზნე ცნებები და ქვეცნებები, შესაბამისი რესურსები, კომპლექსური/შემოქმედებითი დავალების იდეა, **თუმცა გამოიკვეთ რიგი უზუსტობები, ამიტომ სკოლას მიეცეს რჩევა:** დაწყებითი საფეხურის ბუნებისმეტყველების კურიკულუმის ჩარჩო - ცხრილებში ყველა სავალდებულო სასწავლო თემა გაწერილი იყოს იმგვარად, რომ თემის ფარგლებში დამუშავდეს ყველა

	სამიზნე ცნება (მაგ: ბუნებისმეტყველების მეოთხე კლასის პირველ სავალდებულო თემაში არ მუშავდება სამიზნე ცნებები - „სხეული“, „ორგანიზმი, საარსებო გარემო“, „ გარემოს დაცვა“; ხოლო მეორე სავალდებულო თემაში კი - სამიზნე ცნებები: „მოვლენა“, „სივრცეში ორიენტირება“, „ორგანიზმი, საარსებო გარემო“; ბუნებისმეტყველების მეექვსე კლასის პირველ სავალდებულო თემაში არ მუშავდება სამიზნე ცნებები: „სხეული“, „ორგანიზმი“, „გეოგრაფიული ობიექტი“; მეორე სავალდებულო თემაში არ მუშავდება სამიზნე ცნებები: „გეოგრაიული ობიექტი“, „ორგანიზმი“; მესამე სავალდებულო თემაში კი - „სხეული“, „მოვლენა, პროცესი“, „გეოგრაფიულო ობიექტი“); დაწყებითი საფეხურის ბუნებისმეტყველების კურიკულუმის ჩარჩო - ცხრილებში ყველა სავალდებულო სასწავლო თემა გაწერილი იყოს იმგვარად, ყველა სასწავლო სავალდებულო თემის ყველა ძირითად საკითხთან სასწავლო რესურსებში მითითებული იყოს სახელმძღვანელო, სახელმძღვანელოს ავტორი და გვერდები (მაგ: ბუნებისმეტყველების მეოთხე კლასის მეორე სავალდებულო თემის მეორე ძირითად საკითხთან სასწავლო რესურსად მითითებულია „STEM ნაკრებები: ეკოინჟიენრია (გლობალური დათბობა და სათბურის ეფექტი)“; **რჩევა:** დაწყებითი საფეხურის ბუნებისმეტყველების ყველა კლასის კურიკულუმის ჩარჩო - ცხრილებში ყველა სასწავლო სავალდებულო თემის ყველა ძირითად საკითხთან სასწავლო რესურსებში მითითებული იყოს სახელმძღვანელო, სახელმძღვანელოს ავტორი და გვერდები, ყველა სავალდებულო თემა გაწერილი იყოს იმგვარად, რომ თემის ფარგლებში დამუშავდეს ყველა სამიზნე ცნება.

3. კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საბუნებისმეტყველო მეცნიერების (ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგია) მიმართულების ყველა კლასის კურიკულუმის ჩარჩო - ცხრილებში უმეტესად სწორად არის განსაზღვრული ეროვნული სასწავლო

	გეგმის სტანარტით განსაზღვრული სასწავლო რესურსები, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	**დაწყებით**, **საბაზო** და **საშუალო** საფეხურებზე საგნობრივ კურიკულუმებში ასახულია როგორც ძირითადი რესურსი (გრიფირებული სახელმძღვანელო), ისე დამატებითი მრავალფეროვანი სასწავლო მასალები, მათ შორის ელექტრონული რესურსები (სამეცნიერო ვიდეოფილმები, ფოტომასალა და სხვა ვიზუალური საშუალებები). აღნიშნული რესურსების მიზნობრივი და ეფექტიანი გამოყენება უზრუნველყოფს კურიკულუმით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. მრავალფეროვანი რესურსების ინტეგრირება სასწავლო პროცესში ხელს უწყობს სასწავლო მასალის უკეთ აღქმას, ზრდის მოსწავლეთა მოტივაციას. მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად დადასტურდა, რომ სასწავლო პროცესში აქტიურად გამოიყენება დამატებითი ელექტრონული რესურსები. ამასთანავე, სკოლაში საგნების მიხედვით შედგენილია ძირითადი და დამხმარე რესურსების ჩამონათვალი, რომელიც წარმოდგენილია კათედრაზე. აღნიშნული პრაქტიკა უზრუნველყოფს რესურსების სისტემურ დაგეგმვას, ხელმისაწვდომობასა და ეფექტიან გამოყენებას სასწავლო პროცესში. **რჩევა: 2.1.2.3.** **დაწყებითი საფეხური** საგანებში: **მე და საზოგადოება** (III, IV კლასი) და **ჩვენი საქართველო** (V-VI კლასი) - სმზანშეწონილია, კურიკულუმებში, რესურსების გრაფაში, სახელმძღვანელოს, გამომცემლობისა და ავტორთა ჯგუფის გარდა, მიეთითოს შესასწავლი საკითხების პარაგრაფები და შესაბამისი გვერდები. **საბაზო და საშუალო საფეხური** გეოგრაფიის კურიკულუმებში (VI-XII კლასები), რესურსების გრაფაში, მიზანშეწონილია მიეთითოს გრიფირებული სახელმძღვანელო, პარაგრაფები და მათი გვერდები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

უცხოური ენები	უცხო ენის კურიკულუმიდან გამომდინარეობს, რომ სკოლა სასწავლო პროცესში იყენებს გრიფირებულ ან განათლების სამინისტროსთან შეთანხმებულ სახელმძღვანელოებს, როგორც ძირითად რესურს. ზოგიერთი კლასის კურიკულმში (მაგ: ინგლისური ენა მე-2-მე-4 კლასები) სკოლას სათანადო წესით უნდა ჰქონდეს მითითებული სახლემძღვანელოების დასახელება თავფურცელზე. სკოლას შერჩეული აქვს დამატებითი ელექტრონული რესურსები, რომლებიც შინაარსობრივად შეესაბამება სტანდარტის თემატურ ბლოკებს და მიზნებს. თუმცა, დამატებითი რესურსების ელექტრონული ლინკები ზოგ შემთხვევაში არ იხსნება და არ არის დაშვებული წვდომა (მაგ: ინგლისური ენა პირველი -მეორე კლასები, google drive-ში ატვირთული ლინკები), რამაც შეუძლებელი გახადა ზოგიერთი რესურსის გაცნობა. მთლიანობაში, კურიკულუმში შეტანილი რესურსები საკმარისია კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად. **სკოლა აკმაყოფილებს მოცემული ინდიკატორის მოთხოვნას.**
ესთეტიკური აღზრდა	ესათეტიკური აღზრდის საგნებში შერჩეული გრიფირებული სახელმძღვანელოები, სასწავლო-საგანმანათლებლო რესურსი (ტელესკოლა, სხვადასხვა ვიდეო თუ აუდიო რესურსი) პასუხობს სასწავლო მიზნებს. სასწავლო პროცესში გამოიყენება საინტერესო, მრავალფეროვანი, მიზანმიმართული რესურსი, რომელიც იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას და უზრუნველყოფს კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა	საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული მატერიალური რესურსი (ტიპი, რაოდენობა) უზრუნველყოფს კურიკულუმით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. ძირითადი სასწავლო რესურსი არის გრიფირებული ან შეთანხმებული საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან, კანონმდებლობით დადგენილი წესით. სასწავლო პროცესში გამოიყენება კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე (ასეთის არსებობის შემთხვევაში) სასწავლო რესურსი.

	წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზი აჩვენებს, რომ სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნებისა და მისი მკვიდრი წარმოდგენების ჩამოყალიბებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით; შესაბამისი რესურსებით, ონლაინ და მატერიალური რესურსების გამოყენებით სწავლების სამივე საფეხურზე. რჩევა: სასურველია, დაწყებითი საფეხურის პირველ, მეორე და მესამე კლასებში რესურსების სვეტში ნაჩვენები იყოს უფრო მრავალფეროვანი(განსაკუთრებით, ელექტრონული) რესურსები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
მათემატიკა	სასწავლო რესურსები უზრუნველყოფს მოსწავლეთა მიერ კურიკულუმით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. სასწავლო პროცესში აქტიურად გამოიყენება ელექტრონული რესურსები, დამხმარე ლიტერატურა და თვალსაჩინოებები, მათი ნუსხა წარმოდგენილია დოკუმენტებში. **რჩევა: სამივე საფეხურის** კურიკულუმში სრულად აისახოს ყველა გამოყენებული რესურსი, ასევე მიეთითოს სახელმძღვანელოს ავტორი და შესაბამისი გვერდები. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია
სპორტი	**სამივე საფეხურზე** - კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, სრულად უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ეფექტიან წარმართვას და სწავლის შედეგების მიღწევას. ისინი შერჩეულია ესგ-ის მიზნებისა და კურიკულუმში აღწერილი კომპეტენციების გათვალისწინებით. რესურსები მოიცავს როგორც საბაზისო მასალებს, ასევე დამხმარე რესურსებს, რაც უზრენველყოფს სწავლების მრავალფეროვნებასა და მოსწავლეთა ჩართულობას. მათი გამოყენება ასევე ხელს უწყობს მოსწავლეთა შემოქმედებითი, ანალიტიკური და კრიტიკული აზროვნების განვითარებას, ინდივიდუალური საჭროებების გათვალისწინებასა და საგნობრივი შედეგების ეფექტურად მიღწევას. ამ რესურსების დახმარებით შესაძლებელია სწავლების პროცესის გამრავალფეროვნება და თითოეული მოსწავლისთვის ხელმისაწვდომი და ინლუზიური გარემოს შექმნა. **ინდიკატორი 2.1.2.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

ტექნოლოგიები	დოკუმენტაციის შესწავლის და მასწავლებელთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ საგან კომპიუტერული ტექნოლოგიების სწავლების პროცესში გამოიყენება სხვადასხვა ტიპის სასწავლო რესურსი, კერძოდ: ტექნიკური და მატერიალური რესურსები: ინტერნეტი, კომპიუტერები, პროექტორი, სახატავი საშუალებები, ვიზუალური მასალა; კომპიუტერული პროგრამები და ვებ-ინსტრუმენტები: Microsoft Office (Word, Excel, PowerPoint), Paint/Paint 3D, WordPad, Microsoft Office 365 (OneDrive, Sway), scratch.mit.edu, code.org, Canva.com, tinkercad.com, brush.ninja, cooltext.com, designevo.com, placeit.net; ელექტრონული სასწავლო რესურსები: ძირიტად სასწავლო რესურსად გამოყენებულია school.emis.ge, დამხმარე რესურსებად youtube.com, ასევე მასწავლებლის მიერ შექმნილი ციფრული სასწავლო რესურსები. კურიკულუმში წარმოდგენილი სასწავლო რესურსები ემსახურება კონკრეტული სასწავლო თემის ფარგლებში განსაზღვრული სამიზნე ცნებების და საკითხების დამუშავებას. რესურსები თემების მიხედვით არის შერჩეული და ორგანიზებულია ისე, რომ თითოეული მათგანი მიმართულია შესაბამისი სასწავლო მიზნებისა და შედეგების მიღწევისკენ. აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსები, უზრუნველყოფს მოსწავლეთა მიერ კურიკულუმით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სასკოლო კურიკულუმებში ძირითადად წარმოდგენილი აქვთ სახელმძღვანელოები და რვეული, ასევე რამდენიმეგან მითითებულია ბმულები. თუმცა გასაუბრების პროცესში პედაგოგები საუბრობდნენ იმ ელექტრონულ და ბეჭდურ რესურსებზე, რომლებსაც იყენებენ სწავლა-სწავლების პროცესში. გასაუბრების პროცესში მიეცათ რჩევა, რომ სასურველია რესურსები გამრავალფეროვნდეს რაც შედეგის მიღწევის საფუძველია. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

	დაწყებითი საფეხურის ბუნებისმეტყველების კურიკულუმის ჩარჩო - ცხრილებში უმეტესად სწორად არის განსაზღვრული ეროვნული სასწავლო გეგმის სტანარტით განსაზღვრული სასწავლო რესურსები, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**

4. **სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლის მიერ მოწოდებული დოკუმენტაციიდან ჩანს, რომ საბუნებისმეტყველო მეცნიერების (ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგია) მიმართულებით სკოლას გააჩნიათ ინკლუზიური/დიფერენცირებული სწავლების გამოცდილება. მასწავლებლებთან გასაუბრებამ ცხადყო, რომ მათ აქვთ შესაბამისი გამოცდილება პროცესის წარმართვისათვის. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივი მეცნიერების საგნებში შემუშავებულია შესამაბისი ინდივიდუალური სასწავლო გეგმები სპეციალური სასგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთათვის. მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ მათ აქვთ მზაობა და წინარე გამოცდილება დიფერენცირებულ სწავლებასა და ინკლუზიური განათლების პრინციპებთან მიმართებაში. კურიკულუმში გათვალისწინებული შემოქმედებითი ტიპის დავალებების პირობა და ფორმა იძლევა მოდიფიცირების საშუალებას მოსწავლეების ინტერესებისა და საჭიროების შესაბამისად. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
უცხოური ენები	სკოლა იყენებს ინკლუზიურ და დიფერენცირებულ მიდგომებს სასწავლო პროცესში. სკოლას შედგენილი აქვს ინდივიდუალირი სასწავლო გეგმა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისთვის. სკოლის მიერ წარმოდგენილ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებში შემუშავებულია ადაპტირებული სასწავლო პროგრამა და აქტივობები. თუმცა, ზოგიერთი კლასის ინდ. გეგმაში (მაგ: რუსული ენა მე-6 კლასი) სკოლამ უნდა გაასწოროს გრძელვადიანი მიზნები, კერძოდ საბაზო საფეხურის ნაცვლად, უნდა გამოიყენოს დაწყებითი საფეხურის (მე-5-მე-6 კლასების)

	უცხო ენის სტანდარტის სამიზნე ცნებები და მისაღწევი შედგები. **სკოლა აკმაყოფილებს მოცემული ინდიკატორის მოთხოვნას.**
ესთეტიკური აღზრდა	კურიკულუმში შერჩეული თემები, საკითხები, შემოქმედებითი დავალებების შინაარსი და თავად საგნის სპეციფიკა თავისთავად ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს. მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ სკოლაში სასწავლო პროცესი მორგებულია მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებზე, უნარებსა და შესაძლებლობებზე, მასწავლებლები ცდილობენ გამოიყენონ სხვადასხვა მეთოდი, მიდგომა, სტრატეგია, ეძებემ პრობლემათა გადაჭრის გზებს. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.** **რჩევა:** სასურველია, კათედრამ კიდევ უფრო გააღრმავოს სწავლების დიფერენცირებული მიდგომები, მაგალითად, ისე შეიმუშავოს დავალების პირობა, რომ მოსწავლეებს მისცეს სხვადასხვა არჩევანი ერთი და იგივე საკითხის, სამიზნე ცნების დამუშავების, მოსწავლის საბოლოო პროდუქტზე მუშაობის პროცესში.
სახელმწიფო ენა	სკოლის მესვეურთა და საგნობრივი კათედრის მიერ დაგეგმილი და წარმართული სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ და ინკლუზიურ მიდგომებს სამივე საფეხურზე. საგნობრივ კურიკულუმში გათვალისწინებულია დიფერენცირებული და ინკლუზიური მიდგომები. სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ჩანს, რომ სასწავლო პროცესი იგეგმება მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომებით, რომელშიც მოსწავლე განიხილება, როგორც კონკრეტული გამოცდილების, ინტერესებისა და ხასიათის მქონე ინდივიდი, რაც, თავის მხრივ, გულისხმობს დიფერენცირებული სწავლის მიდგომებს. სასკოლო–სასწავლო გეგმით სკოლას განსაზღვრული აქვს შეიმუშავოს სსსმ მოსწავლის შემთხვევაში ინდივიდუალური გეგმები, რომლებიც უზრუნველყოფს ინკლუზიურ მიდგომებს სწავლა-სწავლების პროცესში. სახელმწიფო ენის კურიკულუმი სამივე საფეხურზე წარმოდგენილია ძირითადი საკითხების, კონტექსტმაგალითებისა და შემოქმედებითი დავალების იდეების დონეზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

მათემატიკა	სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ორიენტირებულია თითოეული მოსწავლის საჭიროებებსა და შესაძლებლობებზე. წარმოდგენილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, ადაპტირებული დავალებები შეესაბამება დასახულ სასწავლო მიზნებს და უზრუნველყოფს მოსწავლეთა საჭიროებებზე მორგებულ სწავლას. **რჩევა: ყველა საფეხურზე** ინდივიდუალური სასწავლო გეგმები შეივსოს იმ ფორმატში, რომლის ნიმუში წარმოდგენილია სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმაში, აქ შესაძლებელი იქნება დეტალურად გაიწეროს თითოეულ თემაზე განსახორციელებელი აქტივობები თემებთან და სამიზნე ცნებებთან მიმართებაში. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია
სპორტი	**სამივე საფეხურზე** - სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს. სწავლება ეყრდნობა მოსწავლეთა ინდივიდუალური შესაძლებლობებისა და საჭიროებების გათვალისწინებას, რაც ხელს უწყობს თითოეულის მაქსიმალურ ჩართულობას და თვითგამოხატვას. სასწავლო პროცესი იგეგმება და წარიმართება კონკრეტული მოსწავლის სურვილების და მზაობის გათვალისწინებით. მოსწავლეთა ინტერესები და მათი ასაკობრივი თავისებურებები გათვალისწინებულია კონტექსტებსა და საკითხებში, მოსწავლეთა მიერ განხორციელებულ პროექტებსა თუ აქტივობებში. **ინდიკატორი 2.1.2.4. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
ტექნოლოგიები	დოკუმენტაციის შესწავლისა და მასწავლებელთან გასაუბრების შედეგად, გამოიკვთა რომ: მასწავლებელი სწავლა-სწავლების პროცესში ეფექტურად იყენებს ინკლუზიურ და დიფერენცირებულ მიდგომებს, რაც ნათლად აისახება ინდივიდუალური სასწავლო გეგმის სტრუქტურასა და შინაარსში. იგი ითვალისწინებს მოსწავლის შესაძლებლობებს, საჭიროებებსა და სწავლის ტემპს, გეგმავს ადაპტირებულ აქტივობებს და იყენებს მრავალფეროვან სტრატეგიებს (ვიზუალურ-ტაქტილური, მოძრაობითი, თამაშითა და თანამშრომლობითი სწავლა). ამგვარი მიდგომა ხელს უწყობს სსსმ მოსწავლის აქტიურ ჩართულობას, მოტივაციის ზრდას და

	უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას მოსწავლისთვის ხელმისაწვდომი და ეფექტური გზით. სწავლების პროცესში მასწავლებელი ითვალისწინებს მოსწავლეთა მზაობის დონეს და სთავაზობს განსხვავებული სირთულისა და ფორმატის დავალებებს. კერძოდ, იმ შემთხვევაში, თუ მაღალი მზაობის მქონე მოსწავლეები განსაზღვრულ დროზე ადრე ასრულებენ დავალებას, მასწავლებელი მათ აძლევს შესაძლებლობას, თემის ფარგლებში უფრო სიღრმისეულად იმუშაონ ან/და შეასრულონ დამატებითი დავალებები, რაც ხელს უწყობს მათი ცოდნის გაფართოებასა და განვითარების პროცესის ეფექტიან წარმართვას. დაბალი მზაობის მქონე მოსწავლეებისათვის გათვალისწინებულია მხარდამჭერი აქტივობები როგორიცაა დამატებითი მეცადინეობა და ინდივიდუალური კონსულტაციები. აღნიშნული მიდგომები უზრუნველყოფს სწავლების პროცესის ინკლუზიურობას, მოსწავლეთა ინდივიდუალური შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოყენებას და კურიკულუმით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სკოლაში სასწავლო პროცესი ეფუძნება დიფერენცირებული სწავლების პრინციპებს, რაც უზრუნველყოფს თითოეული მოსწავლის საჭიროებების გათვალისწინებას, დავალებები და მათზე მუშაობის პროცესი ითვალისწინებს მოსწავლეთა შესაძლებლობებს და ინტერესს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია** სკოლის მიერ მოწოდებული დოკუმენტაციიდან ჩანს, რომ დაწყებითი საფეხურის ბუნებისმეტყველების მიმართულებით სკოლას გააჩნიათ ინკლუზიური/დიფერენცირებული სწავლების გამოცდილება. მასწავლებლებთან გასაუბრებამ ცხადყო, რომ მათ აქვთ შესაბამისი გამოცდილება პროცესის წარმართვისათვის. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**

5. **მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საბუნებისმეტყველო მეცნიერებების (ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგია) მიმართულების საბაზო და საშუალო საფეხურის განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეაფსების რუბრიკები არ იყო გაწერილი სტანდარტის შესაბამისად, კერძოდ, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების (ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგია) მიმართულების საბაზო და საშუალო საფეხურის განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებში არ იყო მითითებული არც თემა, არც სამიზნე ცნებები, არც ძირითადი საკითხი. იყო მხოლოდ კრიტერიუმები და კრიტერიუმების მიმართ განსაზღვრული ქულები; საბუნებისმეტყველო მეცნიერებების (ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგია) მიმართულების საბაზო და საშუალო საფეხურის განმავითარებელი შეფასების რუბრიკებში არ იყო მითითებული არც თემა, არც სამიზნე ცნებები, არც ძირითადი საკითხი. იყო მხოლოდ კრიტერრიუმები და ამ კრიტეიუმის მიმართ განსაზღვრული დონეები - დაბალი; საშუალო; საშუალოზე მაღალი და მაღალი. სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის მიხედვითაც განსაზღვრა დრო - 2026 წლის 1 სექტემბერი (რეაგირების დაგვიანებით 20 %) აღნიშნული ხარვეზის გამოსასწორებლად, ამავდროულად მიუთითა პასუხისმგებელი პირები:დირექტორი, დირექტორის მოადგილე, საბუნებისმეტყველო კათედრა. სკოლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმა გათვალისწინებულ იქნა, ინდიკატორი შეფასდა როგორც **მეტწილად შესაბამისი** და სკოლას მიეცა რეკომენდაცია. **რეკომენდაცია:** სკოლამ შესაბამისობის გეგმაში მითითებულ ვადაში უზრუნველყოს საბუნებისმეტყველო მეცნიერებების (ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგია) მიმართულების საბაზო და საშუალო საფეხურის განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეაფსების რუბრიკების გაწერა ესგ - ს (სტანდარტის) შესაბამისად. **მეტწილად შესაბამისი**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლაში გამოიყენება როგორც განმსაზღვრელი (10 ქულიანი), აგრეთვე განმავითარებელი შეფასება - შესაბამისი რუბრიკებით. შეფასების რუბრიკები ორიენტირებულია საგნობრივ სამიზნე ცნებებზე და საფეხურის შედეგებზე. შეფასებები ემსახურება მოსწავლეთა მიღწევების აღიარებას და მათ განვითარებას. საზოგადოებრივ

	მეცნიერებებში წარმოდგენილია მრავალფეროვანი შეფასების რუბრიკები, რომელთა ნაწილი აფასებს მოსწავლეთა ჩართულობას სხვადასხვა აქტივობებში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	სკოლა იყენებს როგორც განმავითარებელ, ისე განმსაზღვრელ შეფასებას, რომლებიც ეფუძნება შეფასების რუბრიკებს. რუბრიკები ერთვის კურუკულუმს დანართების სახით. შეფასების დანართის აღწერაში, სკოლას მითითებული აქვს სტანდარტის გრძლევადიანი მიზნები (შესაბამისი საფეხურის სამიზნე ცნებები) და შუალედური მიზნები (შემოქმდებითი აქტივობები), თუმცა უშუალოდ შესაფასებელი კრიტერიუმები და ინდიკატორები არის ზოგადი ხასიათის. საჭიროა როგორც განმსაზღვრელი, ისე განმავითარებელი შეფასების რუბრიკები დაეფუძნოს უცხო ენის სტანდარტის გრძლევადიან მიზნებს (სამიზნე ცნებები, ქვეცნებები, მისაღწევი შედეგები), ხოლო კრიტერიუმებად განისაზღვროს თუ როგორია მოსწავლის პროგრესი კონკრეტულ თემატურ მასალასთან და შემოქედებითი დავალების მიზნებთან მიმართებაში (გრამატიკა, ლექსიკა, ენობრივი საშუალებები და სხვა). **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
ესთეტიკური აღზრდა	სკოლას წარმოდგენილი აქვს შეფასების ზოგადი რუბრიკები, ასევე, კონკრეტული თემის და შემოქმედებითი დავალების შეფასების რუბრიკები სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების და მუსიკის საგნებში. კათედრა ცდილობს შეფასების კრიტერიუმები ასახავდეს სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს, შეფასების კრიტერიუმებში წარმოაჩენს სამიზნე ცნებებისა და ქვეცნებების მნიშვნელობას სასწავლო პროცესში, თუმცა, სასურველია ამ მხრივ კათედრამ გააღრმავოს მუშაობა. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.** **რჩევა:** სასურველია, მომავალში კათედრამ უფრო მეტად წარმოაჩინოს სასწავლო პროცესის სისტემური ხედვა, რაც გულისხმობს შეფასების კონცეფციის, ინსტრუმენტების და მათი მიზნობრიობის, ასევე, სასწავლო რესურსის ერთიან ხედვას. უფრო მეტად გამახვილდეს ყურადღება თემა/საკითხსა და სამიზნე ცნებებზე ორიენტირებული განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების კრიტერიუმების შექმნაზე.
სახელმწიფო ენა	სკოლის დოკუმენტაციის გაცნობისა და ჩატარებული ინტერვიუს საფუძველზე იკვეთება, რომ სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე. მოსწავლის შეფასების სისტემა

	შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს სახელმწიფო ენის სამივე საფეხურის სწავლებისას. საგნობრივი კურიკულუმები გვიჩვენებს, რომ აქცენტი კეთდება სწავლის სწავლასა და მეტაკოგნიტური უნარების ხელშეწყობაზე. ინტერვიუს დროს პედაგოგების მიერ აღინიშნა, რომ .სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამივე კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული). სახელმწიფო ენის სამივე საფეხურის კურიკულუმებში კათედრის მიერ განსაზღვრულია დავალებები, შეფასების რუბრიკებით, რომლებიც პასუხობს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა ისაუბრეს აგრეთვე მათ მიერ დაგეგმილი დავალებებით სწავლა-სწავლებასა და დავალების პირობის სრულყოფაზე - ყველა კრიტერიუმის გათვალისწინებით, რაც ხელს უწყობს სწავლა-სწავლების პროცესის ეფექტიან წარმართვას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
მათემატიკა	შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს. სკოლაში გამოიყენება როგორც განმსაზღვრელი, ისე განმავითარებელი შეფასება, რაც უზრუნველყოფს სწავლის შედეგების ეფექტურ შემოწმებას. შეფასება ეფუძნება კრიტერიუმებზე დამყარებულ რუბრიკებს, რაც ზრდის მის ობიექტურობასა და გამჭვირვალობას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სპორტი	**სამივე საფეხურზე** - შეფასების სისტემა სრულად შეესაბამება ესგ-ით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. შეფასება დაფუძნებულია კომპეტენციებზე ორიენტირებულ მიდგომებზე და ითვალისწინებს როგორც შემოქმედებითი პროცესის, ისე შედეგების შეფასებას. იგი ორიენტირებულია მოსწავლის ინდივიდუალურ მიღწევებზე, თვითგამოხატვის უნარზე, პრობლემის შემოქმედებითად გადაჭრაზე და მოტივაციის გაზრდაზე. **რჩევა: სამივე საფეხურზე** - სასურველია სკოლამ შეიმუშაოს შეფასების კრიტერიუმები ყველა სასწავლო თემისათვის.

	ინდიკატორი 2.1.2.5. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.
ტექნოლოგიები	მასწავლებლის მიერ წარმოდგენილ მასალაში მოცემულია როგორც განმავითარებელი, ასევე განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, რაც უზრუნველყოფს მოსწავლეთა სწავლის პროცესისა და შედეგების კომპლექსურ შეფასებას. წარმოდგენილი განმავითარებელი შეფასება მიმართულია მოსწავლეთა პროგრესის, განვითარების დინამიკისა და საჭიროებების გამოვლენაზე, ხოლო წარმოდგენილი განმსაზღვრელი შეფასება ადგენს მოსწავლეთა მიღწევის დონეს საგნობრივი სასწავლო გეგმით განსაზღვრულ შედეგებთან მიმართებით. მასწავლებლის მიერ გამოყენებული შეფასების ინსტრუმენტები წინასწარაა ცნობილი მოსწავლეებისთვის და უზრუნველყოფს მათ აქტიურ ჩართულობას შეფასების პროცესში, რაც ქმნის შესაძლებლობას, მოსწავლემ გააანალიზოს საკუთარი პროგრესი და განსაზღვროს შემდგომი განვითარების მიმართულებები. აღნიშნული მიდგომა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპს, რომლის მიხედვითაც მოსწავლე არის შეფასების პროცესის აქტიური მონაწილე. ასევე აღსანიშნავია, რომ მასწავლებლის მიერ გამოყენებული შეფასების რუბრიკები აგებულია ოთხდონიანი შეფასების სისტემის მიხედვით, რაც შესაბამისობაშია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ შეფასების დონეებთან (მაღალი, საშუალოზე მაღალი, საშუალო, დაბალი). შეფასების კრიტერიუმები მკაფიოდ და ნათლადაა ჩამოყალიბებული და უზრუნველყოფს შეფასების ობიექტურობას, ხოლო მოსწავლეებს აძლევს შესაძლებლობას ზუსტად იცოდნენ რა მოეთხოვებათ დავალების შესრულების დროს და როგორ მოხდება მათი ცოდნისა და უნარ-ჩვევების შეფასება. შესაბამისად, წარმოდგენილი შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ შეფასების პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს, უზრუნველყოფს შეფასების მრავალფეროვანი ინსტრუმენტების გამოყენებას, მოსწავლეთა ჩართულობას თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების პროცესში და ხელს უწყობს მათი აკადემიური მიღწევებისა და პიროვნული განვითარების მხარდაჭერას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათელბის დაწყებითი საფეხური	დაწყებითი საფეხურის ბუნებისმეტყველების განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეაფსების რუბრიკები არ იყო გაწერილი სტანდარტის შესაბამისად;

	დაწყებითი საფეხურის ბუნებისმეტყველების განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკაში არ იყო მითითებული არც თემა, არც სამიზნე ცნებები, არც ძირითადი საკითხი. იყო მხოლოდ კრიტერიუმები და კრიტერიუმების მიმართ განსაზღვრული ქულები; დაწყებითი საფეხურის ბუნებისმეტყველების განმავითარებელი შეფასების რუბრიკებში არ იყო მითითებული არც თემა, არც სამიზნე ცნებები, არც ძირითადი საკითხი. იყო მხოლოდ კრიტერრიუმები და ამ კრიტეიუმის მიმართ განსაზღვრული დონეები - დაბალი; საშუალო; საშუალოზე მაღალი და მაღალი. სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის მიხედვითაც განსაზღვრა დრო - 2026 წლის 1 სექტემბერი (რეაგირების დაგვიანებით 20 %) აღნიშნული ხარვეზის გამოსასწორებლად, ამავდროულად მიუთითა პასუხისმგებელი პირები:დირექტორი, დირექტორის მოადგილე, საბუნებისმეტყველო კათედრა. სკოლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმა გათვალისწინებულ იქნა, ინდიკატორი შეფასდა როგორც **მეტწილად შესაბამისი** და სკოლას მიეცა რეკომენდაცია: **რეკომენდაცია:** სკოლამ შესაბამისობის გეგმაში მითითებულ ვადაში უზრუნველყოს დაწყებითი საფეხურის ბუნებისმეტყველების მიმართულების განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეაფსების რუბრიკების გაწერა ესგ - ს (სტანდარტის) შესაბამისად. **მეტწილად შესაბამისი**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია.
- კურიკულუმის ჩარჩო;
- განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა
- განმავითარებელი შეფასების რუბრიკა
- ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმა;
- მუსიკისა და ხელოვნების კურიკულუმები

- პროექტული სწავლების კურიკულუმები და პროექტზე მუშაობის ეტაპები (მუსიკა,ხელოვნება)
- შეფასების რუბრიკები (მუსიკა, ხელოვნება)
- შემოქმედებითი დავალებების ნიმუშები შეფასების რუბრიკებით (მუსიკა)
- შემაჯამებელი დავალებები, ანალიზი და შეფასების რუბრიკები(მუსიკა, ხელოვნება)
- მოსწავლეთა ნამუშევრები
- ისგ (ხელოვნება)
- ესთეტიკის კათედრის წლიური სამუშაო გეგმა
- სსწიპ-ქალაქ თელავის N2 საჯარო სკოლის სასწავლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ
- უცხო ენის კურიკულუმები (ინგლისური, რუსული; დაწყებითი, საბაზო, საშუალო);
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმები (ინგლისური რუსული);
- დიფერენცირებული დავალების ნიმუშები (უცხო ენები)
- შეფასების რუბრიკები (კურიკულუმის დანართები);
- მოსწავლეთა ნამუშევრები (უცხო ენები);

კომპიუტერული ტექნოლოგიები

- I-VI კლასის კურიკულუმები;
- შუალედური მიზნის მისაღწევი დავალებების გეგმები;
- განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები;
- განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;
- სსსმ მოსწავლის ინდივიდუალური სასწავლო გეგმა;
- დიფერენცირებული დავალება;
- შემაჯამებელი დავალებები თავის პირობით და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკით;

საბუნებისმეტყველო მიმართულება

- საბაზო და საშუალო საფეხურის საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მიმართულების (ქიმიის, ფიზიკისა და ბიოლოგიის) კურიკულუმის ჩარჩო - ცხრილები; კომპლექსური დავალებები; განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები; შემაჯამებელი დავალებები;
- დაწყებითი საფეხურის ბუნებისმეტყველების კურიკულუმის ჩარჩო - ცხრილები; კომპლექსური დავალებები; განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები; შემაჯამებელი დავალებები;

საზოგადოებრივი მეცნიერებები:

- *საგნობრივი კურიკულუმები (მე და საზოგადოება, ჩვენი საქართველო, ისტორია, საქართველოს ისტორია, მოქალაქეობა, გეოგრაფია);*
- *ისგ (მოქალაქეობა);*
- *პროექტები მოქალაქეობაში - კურიკულუმები;*
- შემაჯამებებლი დავალების ნიმუშები და მათი ანალიზი;

- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;
- მასწავლებელთა პორტფოლიოები;
- 2025-2026 სასწავლო წლის პირველი სემესტრის მასწავლებელთა ანგარიშები;
- მოსწავლეთა ნაშრომების ამსახველი ფოტოები და პრეზენტაციები;
- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
- სასწავლო პროექტები (ისტორია, მოქალაქეობა, გეოგრაფია-ინგლისურის ინტეგრირებული პროექტი)
- შუალედური მიზნის მისაღწევი დავალებების გეგმები;
- 2025-2026 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა;
- საგანმანათლებლო რესურსები (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხური);

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმების შესაბამისად, კერძოდ, სკოლამ წარმოადგინა საბუნებისმეტყველო მეცნიერებების (ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგია) მიმართულების ყველა კლასის კურიკულუმის ჩარჩო, რომლებიც უმეტეს შემთხვევაში შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ თემებს, ცნებებსა და მიზნებს. მოსწავლეები ასრულებენ სხვადასხვა ტიპის შემოქმედებით დავალებას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	წარმოდგენილი კურიკულუმები წარმოადგენს 2025-2026 სასწავლო წლისთვის შემუშავებულ კურიკულუმებს, სასწალო პროცესი წარიმართებოდა მოცემული კურიკულუმების შესაბამისად. სკოლის დოკუმენტაციის ანალიზისა და ჩატარებული ინტერვიუს საფუძველზე ცხადია, რომ სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. გასაუბრების დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ კურიკულუმის განხორციელების პროცესში გამოკვეთილი წინააღმდეგობებისა და მიღწევების შესაბამისად, კათედრაზე განხილვისა და ანალიზის საფუძველზე იგეგმება ცვლილებების შეტანა საგნობრივ კურიკულუმებში. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**
უცხოური ენები	წარმოდგენილი დოკუმენტებისა და მასწავლებლებთან გასაუბრების საფუძველზე, შესაძლებელია დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესი მიჰყვება შემუშავებულ კურიკულუმებს. იფარება კურიკულუმით გათვალისწინებული სასწავლო თემატური ბლოკები და ხორციელდება კურიკულუმში შეტანილი შემოქმედებითი დავალებები, რომლის დასტურად სკოლას წარმოდგენილი აქვს მოსწავლეთა ნამუშევრები. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
ესთეტიკური აღზრდა	ესთეტიკური აღზრდის საგნებში სკოლას წარმოდგენილი აქვს კომპლექსურ-შემოქმედებითი დავალებების ნიმუშები შეფასების რუბრიკებით, სავალდებულო პროექტული სწავლების კურიკულუმები და პროექტის ფარგლებში განხორციელებული შემოქნედებითი დავალებები შეფასების რუბრიკებით, მოსწავლეთა ნამუშევრები (მუსიკის საგანი), ყოველივე მოწმობს, რომ

	სკოლაში სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმების შესაბამისად. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.** **რჩევა:** სასურველია, კათედრამ უკეთესად გაიაზროს თემატური ბლოკისა და სასწავლო თემის მნიშვნელობა. კარგად გაეცნოს კათედრის მიერ შერჩეული, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების საგნის (გამომცემლობა კლიო) მასწავლებლის წიგნს (მე-7, 8, 9 კლასები) და შეასწოროს სასწავლო თემების დასახელებები.
სახელმწიფო ენა	სკოლის დოკუმენტაციის ანალიზისა და ჩატარებული ინტერვიუს საფუძველზე გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესი სკოლის სამივე საფეხურზე დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. სახელმწიფო ენის სამივე საფეხურის სასკოლო კურიკულუმში უზრუნველყოფილია სამიზნე ცნებებისა და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისება. საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით თემების ფარგლებში მუშავდება სამიზნე ცნებები, ჩანს სამიზნე ცნებისა და საკითხის ფორმულირება, კურიკულუმის ჩარჩოების მიხედვით კათედრას აქვს მზაობა სასწავლო პროცესი წარმართოს სამიზნე ცნებისა და მკვიდრი წარმოდგენების გათავისების ხელშესაწყობად. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	სასწავლო პროცესი ყველა საფეხურზე დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. კურიკულუმთან თანხვედრაში ხდება თემებისა და სამიზნე ცნებების დამუშავება. თითოეული თემის ფარგლებში შესრულებულია როგორც შემაჯამებელი, ასევე შემოქმედებითი დავალებები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სპორტი	**სამივე საფეხურზე** - სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. სწავლება ემყარება ესგ-ის მიზნებსა და ამოცანებს, რომლებიც მოიცავს მოსწავლეთა ფიზიკური თვისებებისა და შესაძლებლობების, შემოქმედებითი უნარების, თვითგამოხატვისა და კულტურული ცნობიერების განვითარებას. სასწავლო პროცესის დაგეგმვისას გათვალისწინებულია ასაკობრივი თავისებურებები, თემატური თანმიმდევრობა, მიზნობრივი აქტივობები და სხვადასხვა ტიპის ამოცანები, რომლებიც

	ხელს უწყობს სწავლის შედეგების მიღწევას. გაკვეთილები მიზანმიმართულად არის დაგეგმილი ისე, რომ შესაძლებელი გახდეს როგორც თეორიული ცოდნის, ისე პრაქტიკული უნარების განვითარება. **ინდიკატორი 2.2.1.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
ტექნოლოგიები	მასწავლებელს წარმოდგენილი აქვს კომპიუტერული ტექნოლოგიების საგნობრივი კურიკულუმები და კურიკულუმებით განსაზღვრული შუალედური მიზნების მიღწევაზე ორიენტირებული დავალებების გეგმები, რომლებიც მოიცავს შემოქმედებითი პროდუქტის შექმნას, შესაბამის აქტივობებსა და შეფასების რუბრიკებს. ასევე წარმოდგენილია შემაჯამებელი დავალებები, მათი პირობებითა და შეფასების კრიტერიუმებით, როგორც ეს ეროვნული სასწავლო გეგმით არის განსაზღვრული. ამასთან, მასწავლებელს შემუშავებული აქვს ინდივიდუალური სასწავლო გეგმაც, რომელიც ითვალისწინებს მოსწავლის საჭიროებებსა და შესაძლებლობებს. წარმოდგენილი მასალა სრულად შეესაბამება საგნობრივ კურიკულუმში გაწერილ სამიზნე ცნებებს, საკითხებს და შუალედურ მიზნების მისაღწევ დავალებებს, რაც უზრუნველყოფს სწავლების პროცესის თანმიმდევრულობასა და მიზნობრიობას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით და მასწავლებლებთან ინტერვიუების პროცესში გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები ახორციელებენ იმ კურიკულუმებს, რომლებიც შემუშავებული აქვთ. მოსწავლეთა შესრულებული დავალებები მოწმობს რომ ახორციელებენ დაგეგმილ შემოქმედებით დავალებებს. წლის დასაწყისში და ბოლოს ხდება კათედრის შეხვედრა და კურიკულუმების განხილვა. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია** სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმების შესაბამისად, კერძოდ, სკოლამ წარმოადგინა დაწყებითი საფეხურის ბუნებისმეტყველების კურიკულუმის ჩარჩო - ცხრილები, რომლებიც შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ თემებს, ცნებებსა და მიზნებს. მოსწავლეები ასრულებენ სხვადასხვა ტიპის შემოქმედებით დავალებას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**

2. **სკოლა მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე**

კურიკულუმის განვითარება მოიცავს ოთხ ფაზას: შემუშავება, დანერგვა, მონიტორინგი და შეფასება, და გადასინჯვა და რევიზია. მთელი წლის განმავლობაში პედაგოგები აგროვებენ მონაცემებს და აანალიზებენ მათ კათედრის სხდომებზე. ამ გამოცდილების საფუძველზე, სასწავლო წლის დასრულებისთანავე, იწყებენ მუშაობას მომდევნო წლის სასწავლო გეგმაზე. კათედრის თავმჯდომარეები ატარებენ კათედრის სხდომებს, რათა შეისწავლონ დანერგვის პროცესში გამოკვეთილი პრობლემები და დანერგონ ინოვაციები. სკოლის ადმინისტრაცია აწყობს სამუშაო შეხვედრებს კათედრის ხელმძღვანელებთან, სადაც განიხილება სასწავლო პროცესის მიმდინარეობასთან დაკავშირებული საკითხები და მუშავდება რეკომენდაციები პრობლემების გადასაჭრელად. ადმინისტრაცია კათედრის ხელმძღვანელებთან თანამშრომლობით, ყოველწლიურად განაახლებენ კურიკულუმს და ამზადებენ დასამტკიცებლად. ეს პროცესები უზრუნველყოფს, რომ სკოლა მოქნილად რეაგირებს გამოვლენილ საჭიროებებზე და მუდმივად აუმჯობესებს სასწავლო პროცესს. მასწავლებლები მუდმივად ახდენენ შემოქმედებითი დავალებების პირობების ადაპტირებას კლასის დინამიკისა და მოსწავლეთა ინტერესების შესაბამისად.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

3. **შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების (ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგია) მიმართულების პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ შეფასების სისტემა უმეტესად არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი; სკოლაში სტანდარტით განსაზღვრული ყველა სავალდებულო თემის ფარგლებში იმოქმედებს, როგორც განმავითარებელი, ამასთანავე განმსაზღვრელი 10 - ქულიანი შეფასების სისტემა. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლაში წარმოებს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება. წარმოდგენილ შეფასების რუბრიკებში განსაზღვრულია შეფასების მიზანი. შეფასების კრიტერიუმები ხაზს უსვამს მოსწავლეთა ძალისხმევას - რა შეუძლია და მიემართება გრძელვადიან მიზნებს, ფასდება მხოლოდ ის მიმართულება, რომელიც რუბრიკითაა განსაზღვრული და მოსწავლეთათვის ცნობილია თუ რაში ფასდებიან, უზრუნველყოფილია თანაბარი სამართლიანობა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

უცხოური ენები	შეფასების სისტემის ობიექტურობისა და სანდოობისთვის სკოლა იყენებს შეფასების რუბრიკებს, რომლებიც ერთვის როგორც შემოქმდებით აქტივობებს, ისე თავის შემაჯამებელ დავალებებს. ვიზიტის დროს, მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ შეფასების გამჭვირვალობისა და სამართლიანობის უზრუნველსაყოფად, თითოეულ რუბრიკას აცნობენ მოსწავლეებს და აკრავენ საკლასო ოთახში. სკოლას დამტკიცებული აქვს ვერიფიკაციის წესი, რომელიც ასევე ხელს უწყობს მოცემული კრიტერიუმის დაკმაყოფილებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ესთეტიკური აღზრდა	სკოლამ წარმოადგინა მოსწავლეტა შეფასების ვერიფიკაციისდმექანიზმის დოკუმენტი. კატედრის მიერ მოწიდებული რუბრიკები და კრიტერიუმების შინაარსობრივი მხარე პასუხობს ვალიდური და სანდო შეფასების მოთხოვნებს. მოსწავლეებმა იციან, თუ რა კრიტერიუმებით შეფასდება მათი ცოდნა. ყველა კრიტერიუმს ახლავს თავისი მიღწევის დონეები, რაც თვალსაჩინოს ხდის მიღებული შედეგის ობიექტურობას. **.ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა	სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით ჩანს, რომ სკოლაში სამივე საფეხურზე ჩამოყალიბებულია ობიექტური და გამჭვირვალე შეფასების სისტემა. შეფასების სისტემა საკლასო და სასკოლო დონეზე შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას და ორიენტირებულია მოსწავლის ინდივიდუალურ წინსვლასა და განვითარებაზე. მნიშვნელოვანია განმავითარებელი შეფასება, რომელიც საშუალებას აძლევს მასწავლებელს ჰქონდეს ინფორმაცია მოსწავლის პროგრესის შესახებ სწავლის პროცესში, ასევე ეხმარება მოსწავლეს დაფიქრდეს თავის სწავლის-სწავლაზე და გააუმჯობესოს მიღწევები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
მათემატიკა	სკოლაში დანერგილი შეფასების სისტემა შეესაბამება ვალიდურობის, გამჭვირვალობის, სანდოობის, ობიექტურობისა და სამართლიანობის პრინციპებს. წარმოდგენილ შემაჯამებელ და შემოქმედებით დავალებებს ახლავს წინასწარ განსაზღვრულ კრიტერიუმებზე დაფუძნებული შეფასების რუბრიკები,

	რომლებიც, ინტერვიუს მიხედვით, მოსწავლეებისთვის წინასწარ არის ცნობილი. აღნიშნული პრაქტიკა უზრუნველყოფს შეფასების პროცესის გამჭვირვალობასა და ზრდის ნდობას. **რჩევა:** დავალებებში მიეთითოს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული მისაღწევი შედეგები, რაც ნათელს გახდის შეფასების ვალიდურობას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სპორტი	**სამივე საფეხურზე** - შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი. შეფასება ემყარება მკაფიოდ განსაზღვრულ კრიტერიუმებს, რომლებიც ასახულია სასკოლო კურიკულუმში და ხელმისაწვდომია როგორც მოსწავლეთათვის, ისე მშობლებისა და მასწავლებლებისვის, რაც უზრუნველყოფს გამჭვირვალობას და წინასწარ ინფორმირებულობას. ვალიდურობა გარანტირებულია იმით, რომ შეფასება ეფუძნება იმ კომპონენტაბსა და უნარებს, რომელიც ესგ-ით არის განსაზღვრული. სანდოობა და ობიექტურობა მიიღწევა სტანდარტიზებული კრიტერიუმებისა და მრავალმხრივი შეფასების ფორმების გამოყენებით. **ინდიკატორი 2.2.1.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
ტექნოლოგიები	დოკუმენტაციის შესწავლისა და მასწავლებელთან ინტერვიურების საფუძველზე დადგინდა, რომ შეფასების პროცესში გამოყენებული კრიტერიუმები და რუბრიკები წინასწარ არის ცნობილი და ხელმისაწვდომი მოსწავლეთათვის, რაც უზრუნველყოფს პროცესის გამჭვირვალობას. შეფასების ინსტრუმენტები აგებულია ოთხდონიანი სისტემის მიხედვით და სრულად შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ დონეებს. წარმოდგენილი რუბრიკები გამომდინარეობს საგნობრივი სტანდარტით განსაზღვრული შედეგებიდან, დაკავშირებულია სამიზნე ცნებებთან და ადაპტირებულია კონკრეტული დავალებების მოთხოვნებზე,.. მასწავლებელი იყენებს მრავალფეროვან შეფასების ფორმებს (განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება) , შეფასება ემყარება მკაფიო კრიტერიუმებს და ყველა მოსწავლეს აფასებს ერთიან კრიტერიუმებზე დაყრდნობით. ამასთან, სკოლაში მოქმედი შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი

	უზრუნველყოფს დამატებით მონიტორინგსა და შედეგების სიზუსტის გადამოწმებას, რაც განაპირობებს პროცესის სამართლიანობასა და თანმიმდევრულობას. შესაბამისად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ მასწავლებლის მიერ გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	კათედრას წამროდგენილი აქვს შეფასების რუბრიკები დონეების მიხედვით, რაც ცხადყოფს იმას, რომ კათედრა ყურადღებას აქცევს შეფასებას. **რჩევა**: შეფასების ვალიდურობის, გამჭვირვალობის, სანდოობის, ობიექტურობის გასაზრდელად გაიცა რჩევა რომ რუბრიკები გახდეს კონკრეტული, შერჩეულ საკითხზე და სტანდარტის შედეგებზე მორგებული და შეფასდეს დავალების მოთხოვნები. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია** მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და დაწყებითი საფეხურის ბუნებისმეტყველების მიმართულების პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ შეფასების სისტემა უმეტესად არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი; სკოლაში სტანდარტით განსაზღვრული ყველა სავალდებულო თემის ფარგლებში იმოქმედებს, როგორც განმავითარებელი, ამასთანავე განმსაზღვრელი 10 - ქულიანი შეფასების სისტემა. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

4. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი

სკოლას შემუშავებული აქვს შეფასების ვერიფიკაციის დოკუმენტი, რომელიც გადმოაგზავნა ვიზიტის მეორე დღეს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

5. **სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით**

შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების, ინფორმაციის და მტკიცებულებების სახით სკოლაში ინახება საკლასო ჟურნალები მატერიალური სახით. 2021-2022 სასწავლო წლიდან კი ელექტრონული ჟურნალის სახით. სკოლაში ასევე ინახება მოსწავლეთა მიერ შესრულებული შემაჯამებელი დავალებები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი კურიკულუმები
- შეფასების რუბრიკები
- სასწავლო პროცესში გამოყენებული საგანმანათლებლო რესურსები
- მუსიკისა და ხელოვნების კურიკულუმები
- პროექტული სწავლების კურიკულუმები და პროექტზე მუშაობის ეტაპები (მუსიკა,ხელოვნება)
- შეფასების რუბრიკები (მუსიკა, ხელოვნება)
- შემოქმედებითი დავალებების ნიმუშები შეფასების რუბრიკებით (მუსიკა)
- შემაჯამებელი დავალებები (მუსიკა, ხელოვნება)
- მოსწავლეთა ნამუშევრები
- სსიპ ქალაქ თელავის N2 საჯარო სკოლის მოსწავლეთა ვერიფიკაციის წესის დამტკიცების შესახებ
- შეფასების ვერიფიკაციის წესი;
- შეფასების რუბრიკები (კურიკულუმის დანართები);
- მოსწავლეთა ნამუშევრები;

კომპიუტერული ტექნოლოგიები

- I-VI კლასის კურიკულუმები;
- შუალედური მიზნის მისაღწევი დავალებების გეგმები;
- განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები;
- განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;
- სსსმ მოსწავლის ინდივიდუალური სასწავლო გეგმა;

- დიფერენცირებული დავალებები;
- შემაჯამებელი დავალებები თავის პირობით და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკით;
- სკოლის ვერიფიკაციის წესი.

საბუნებისმეტყველო მიმართულება

- საბაზო და საშუალო საფეხურის საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მიმართულების (ქიმიის, ფიზიკისა და ბიოლოგიის) განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;
- დაწყებითი საფეხურის ბუნებისმეტყველების განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები;

საზოგადოებრივი მეცნიერებები:

- *საგნობრივი კურიკულუმები (მე და საზოგადოება, ჩვენი საქართველო, ისტორია, საქართველოს ისტორია, მოქალაქეობა, გეოგრაფია);*
- *ისგ (მოქალაქეობა);*
- *პროექტები მოქალაქეობაში - კურიკულუმები;*
- შემაჯამებებლი დავალების ნიმუშები და მათი ანალიზი;
- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;
- სასწავლო პროექტები (ისტორია, მოქალაქეობა, გეოგრაფია-ინგლისურის ინტეგრირებული პროექტი)
- შუალედური მიზნის მისაღწევი დავალებების გეგმები;

საგანმანათლებლო რესურსები (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხური);

2.2.2. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია შესაბამისი რესურსით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საბუნებისმეტყველო მეცნიერების (ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგია) მიმართულებით სკოლა ყველა კლასში სასწავლო რესურსად იყენებს გრიფირებულ სახელმძღვანელოს, ელექტრონულ რესურსებს, მაგრამ რეალურ ლაბორატორიულ სამუშაოებს - ნაკლებად, **ამიტომ სკოლას მიეცეს რჩევა:** სასწავლო რესურსებად გარდა გრიფირებული სახელმძღვანელოსი და ელექტონული რესურსებისა, უმჯობესია გამოყენებული იქნას ასევე ვირტუალური და რეალური ლაბორატორიული სამუშაოები

	სხვადასხვა აქტივობების განსახორციელებლად, მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სასკოლო სასწავლო გეგმაში არსებული ჩანაწერის, ავტორიზაციის ჯგუფის წარმომადგენელთა ადგილზე ვიზიტისა და მასწავლებელთა ინტერვიუს დროს მიღებული ინფორმაციის საფუძველზე იკვეთება, რომ სკოლას საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის გააჩნია შესაბამისი მატერიალური რესურსი და საჭირო ინფრასტრუქტურა (კომპიუტერული ტექნიკა, წვდომა ინტერნეტთან). **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
უცხოური ენები	სასწავლო პროცესში გამოიყენება ძირითადი რესურები, გრიფირებული სახელმძღვანელოები და ელექტრონული რესურსები, საგნამანათლებლო ვიდეო ლინკები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ესთეტიკური აღზრდა	სკოლამ წარმოადგინა გრიფირებული სახელმძღვანელოების და დამხმარე სასწავლო რესურსის (ბმულების სახით) ჩამონათვალი. ხელოვნების საგანში ინტენსიურად გამოიყენება ტელესკოლის გაკვეთილები, მუსიკის საგანში- სამინისტროს რესურსის სახელწოდებით, მოცემულია აქტივობების და შემოქმედებითი დავალებების ნიმუშები, აუდიო და ვიდეო რესურსთან ერთად. სკოლაში არსებული საგანმანათლებლო რესურსები, მათ შორის ბიბლიოთეკა, კომპიუტერული ოთახი ხელმისაწვდომია ყველა მოსწავლისთვის. სსსმ მოსწავლის სწავლებისთვის სკოლა იყენებს ნებისმიერი კლასის გრიფირებულ თუ ადაპტირებულ სახელმძღვანელოებს. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა	სახელმწიფო ენის საგნობრივი კურიკულუმით სწავლების სამივე საფეხურზე (დაწყებითი საბაზო და საშუალო) სასწავლო პროცესში გამოიყენება ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსები, რომლებიც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ეფექტიანობას. გამოიყენება გრიფირებული სახელმძღვანელოები, სხვადასხვა ტიპის თვალსაჩინოება, ონლაინრესურსები. რჩევა: სასურველია, გამრავალფეროვნდეს სასწავლო რესურსები დაწყებითი საფეხურის პირველ–მესამე კლასში.

	ინდიკატორი დაკმაყოფილებულია
მათემატიკა	სასწავლო პროცესში გამოყენებული რესურსები სრულად შეესაბამება საგნის თემატიკას და ორიენტირებულია მოსწავლეთა მიერ მასალის სიღრმისეულ გააზრებაზე. **რჩევა: ყველა საფეხურის** კურიკულუმში დეტალურად აისახოს როგორც ძირითადი, ისე დამხმარე სასწავლო რესურსები; კერძოდ, მიეთითოს სახელმძღვანელოს შესაბამისი გვერდები, დაზუსტდეს გამოყენებული ელექტრონული წყაროების (ბმულების) მისამართები, შეიტანონ გამოყენებული მატერიალური რესურსები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სპორტი	**სამივე საფეხურზე** - სკოლა აღჭურვილია მრავალრფეროვანი რესურსით, რომელსაც მასწავლებლები აქტიურად იყენებენ საგაკვეთილო პროცესში. კათედრებზე მუშაობისას მასწავლებლები ერთად განსაზღვრავენ ძირითად და დამხმარე სასწავლო რესურსებს, ასახავენ მათ სასკოლო კურიკულიმში და აქტიურად იყენებენ საგაკვეთილო პროცესში. **ინდიკატორი 2.2.2.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
ტექნოლოგიები	მასწავლებელთან ჩატარებული ინტერვიუსა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად გამოიკვეთა, რომ კომპიუტერული ტექნოლოგიების საგნის სწავლების პროცესში გამოყენებულია კურიკულუმით განსაზღვრული სასწავლო რესურსები. მიუხედავად იმისა, რომ ქვეყნის მასშტაბით სკოლებში არ არის წარმოდგენილი აღნიშნული საგნის გრიფირებული სახელმძღვანელო, სასწავლო პროცესში აქტიურად გამოიყენება ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსები, რომლებიც უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას და შეესაბამება საგნობრივი კურიკულუმის მოთხოვნებს. ძირითად სასწავლო რესურსად გამოიყენება ელექტრონული პლატფორმა **school.emis.ge**, სადაც წარმოდგენილია სასწავლო მასალა, თემები და აქტივობები. დამატებით, მასწავლებელი იყენებს

	დამხმარე საგანმანათლებლო რესურსებს, როგორიცაა **YouTube**, ინტერნეტის საძიებო სისტემები რომლებიც ეხმარება მოსწავლეებს ინფორმაციის მოძიებაში, თემების უკეთ გააზრებასა და პრაქტიკული უნარების განვითარებაში. სასწავლო პროცესში მოსწავლეები პრაქტიკულად მუშაობენ სხვადასხვა კომპიუტერულ პროგრამასა და ვებ-ინსტრუმენტთან, მათ შორის: **Microsoft Office** პროგრამებზე (Word, Excel, PowerPoint,), **Paint / Paint 3D**, ასევე **Microsoft Office 365** გარემოში (OneDrive,). პროგრამირების საბაზისო უნარების განვითარების მიზნით გამოიყენება ისეთი საგანმანათლებლო პლატფორმები, როგორიცაა **Scratch** (scratch.mit.edu) და **Code.org**. დიზაინისა და ვიზუალური მასალის შესაქმნელად მოსწავლეები იყენებენ პლატფორმას **Canva**. აღნიშნული რესურსების გამოყენება ხელს უწყობს მოსწავლეთა ციფრული კომპეტენციების განვითარებას, პრაქტიკული უნარების ჩამოყალიბებას და აქტიური, ინტერაქტიული სასწავლო პროცესის განხორციელებას. შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ მასწავლებელი სასწავლო პროცესში სისტემურად იყენებს კურიკულუმით განსაზღვრულ როგორც ძირითად, ისე დამხმარე სასწავლო რესურსებს, რაც უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების ეფექტიან განხორციელებას და თანამედროვე ციფრული გარემოს ინტეგრირებას სწავლა-სწავლების პროცესში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სასწავლო პროცესში ერთნაირად მნიშვნელოვანია როგორც ძირითადი ასევე დამხმარე რესურსების გამოყენება. დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილ კურიკულუმებში ძირითადად მითითებულია სახელმძღვანელოები, მეტ-ნაკლებად გვხვდება ციფრული რესურსები და ნაკლებად მაორგანიზებელი სქემები. **რჩევა**: კურიკულუმის შექმნისას გაითვალისწინონ როგორც ძირითადი, ასევე დამხმარე რესურსები. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

	დაწყებითი საფეხურის ბუნებისმეტყველების მიმართულებით სასწავლო რესურსად იყენებს გრიფირებულ სახელმძღვანელოს, ელექტრონულ რესურსებს, მაგრამ რეალურ ლაბორატორიულ სამუშაოებს - ნაკლებად, **ამიტომ სკოლას მიეცეს რჩევა:** სასწავლო რესურსებად გარდა გრიფირებული სახელმძღვანელოსი და ელექტონული რესურსების უმჯობესია გამოყენებული იქნას ასევე ვირტუალური და რეალური ლაბორატორიული სამუშაოებ სხვადასხვა აქტივობების განსახორციელებლად, მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებულ სწავლის შედეგების მისაღწევად. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**

2. **სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სასწავლო პროცესში გამოყენებული დამხმარე სასწავლო რესურსი (რაც იყო მოცემული საბუნებისმეტყველო მიმართულების კურიკულუმების ჩარჩო - ცხრილებში) შესაბამისობაშია ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან და მოსწავლეთა ასაკობრივ თავისებურებებთან. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	კათედრის მიერ წარმოდგენილი ოქმების თანახმად, სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას: სასწავლო წლის დაწყებამდე კათედრის წევრებს შორის კოორდინირებული თანამშრომლობის ფარგლებში განიხილება იმ დამატებით რესურთა სწავლების ეფექტიანობა-შესაბამისობის შეფასება, რომელთა გაწერაც იგეგმება საგნობრივ კურიკულუმში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
უცხოური ენები	რესურსების ვალიდაცია ხდება კათედრის დონეზე. უცხო ენის კათედრის მასწავლებლები, ძირითად რესურსთან ერთად, არჩევენ კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო დამხმარე-ელექტრონულ რესურსებს. აღნიშნული დასტურდება სკოლის მიერ წარმოდგენილი კათედრის სხდომის ოქმით. თუცა სასურველია, სკოლამ შეიმუშაოს რესურსების შერჩევის სრულყოფილი ფორმა, რომელშიც დასაბუთებული იქნება კონკრეტული დამატებითი რესურსის ღირებულება და სარგებლიანობა, ასევე

	სკოლამ უნდა აღწეროს თუ რამდენად უწყობს ხელს დამატებითი რესურსები უცხო ენის სტანდატის გრძელვადიანი მიზნები მიღწევას; **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
ესთეტიკური აღზრდა	სკოლამ წარმოადგინა კათედრის ოქმი სასწავლო რესურსის ვალიდაციის შესახებ. სასწავლო პროცესში გამოიყენება დამხმარე რესურსი (ტელესკოლის ვიდეო გაკვეთილები, აუდიო და ვიდეო მუსიკალური რესურსი, სხვადასხვა თვალსაჩინოება და სხვა). კათედრაზე მოწმდება, რამდენად არის ვალიდური შერჩეული სასწავლო რესურსი, შეესაბამება თუ არა ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს და რამდენად შეუწყობს ხელს სასწავლო მიზნების მიღწევა-განვითარებას. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა	სწავლების სამივე საფეხურზე წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლით თვალსაჩინოა, რომ სახელმწიფო ენის საგნობრივი მიმართულებით სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე რესურსების გამოყენებას სასწავლო პროცესში. ეს დასტურდება გაკვეთილების შეფასების ფორმებითა და ანალიზით. ასევე ონლაინრესურსების, ანიმაციებისა და დამხმარე ლიტერატურის გამოყენებით. **ინდიკატორი ადაკმაყოფილებულია**
მათემატიკა	სკოლაში მოქმედებს დამხმარე სასწავლო რესურსების შერჩევისა და ვალიდაციის მექანიზმი, რომელიც ხორციელდება კათედრების დონეზე. შერჩეული რესურსები არის მიზნობრივი, შეესაბამება სასწავლო მიზნებს და უზრუნველყოფს სწავლის პროცესის ეფექტურობას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სპორტი	**სამივე საფეხურზე** - სკოლა უზრუნველყოფს გამოყენებული დამხმარე სასწავლო რესურსების ვალიდაციას. რესურსების შერჩევა და გამოყენება ხდება ეროვნული სასწავლო გეგმისა და სასკოლო კურიკულუმის მიზნებთან შესაბამისობის პრინციპით. სკოლა მიმართავს რესურსების შინაარსობრივ შეფასებას, რაც ითვალისწინებს მათი საგნობრივ მიზნებთან, ასაკობრივ თავისებურებებსა და კომპეტენციებზე ორიენტირებულ მოთხოვნებთან თანხვედრას. მასწავლებლები, ადმინისტრაცია და საჭიროების შემთხვევაში საგნობრივი ჯგუფები ერთობლივად უზრუნველყოფენ იმ მასალების

	არჩევას, რომლებიც ასახავს თანამედროვე საგანმანათლებლო მოთხოვნებს, ხელს უწყობს შემოქმედებითი უნარების განვითარებას და მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობას სასწავლო პროცესში. **ინდიკატორი 2.2.2.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
ტექნოლოგიები	სკოლაში მოქმედებს დამხმარე სასწავლო რესურსების შერჩევისა და ვალიდაციის მექანიზმი, რომელიც ხორციელდება კათედრების დონეზე. შერჩეული რესურსები არის მიზნობრივი, შეესაბამება სასწავლო მიზნებს და უზრუნველყოფს სწავლის პროცესის ეფექტურობას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სკოლაში დამხარე სასწავლო რესურსები ვალიდირებულია, რასაც ადასტურებს კათედრის მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია** სასწავლო პროცესში გამოყენებული დამხმარე სასწავლო რესურსი (რაც იყო მოცემული დაწყებითი საფეხურის ბუნებისმეტყველების მიმართულების კურიკულუმების ჩარჩო - ცხრილებში) შესაბამისობაშია ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან და მოსწავლეთა ასაკობრივ თავისებურებებთან. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**

3. **კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**

მცირეკონტინგენტიანი სკოლა უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა.

ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/ მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლა მთლიანობაში უზრუნველყოფს საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრულ სწავლის შედეგების მიღწევისათვის საკმარისი რაოდენობის მატერიალურ რესურსს, მოსწავლეთა რაოდენობის გათვალისწინებით, თუმცა არის გარემოებები, **რომლის მიხედვითას სკოლს მიეცეს რჩევა:**

	შეძლებისდაგვარად შეივსოს საბუნებისმეტყველო ლაბოატორია საჭირო დანადგარებით, ქიმიური ჭურჭლითა და რეაქტივებით, მერხებზე გადაკრული იყოს ქიმიური რეაქტივების მიმართ მედეგი, ცეცხლგამძლე საფარი (მოსწავლეებს არ აქვთ საშუალება იმუშაონ ან ინდივიდუალურად, ან ჯგუფურად); ლაბორატორიაში დამონტაჟებული იყოს ამწოვი კარადა. ლაბორატოიაში თვალაჩინო ადგილს იყოს განთავსებული უსაფრთხოების ტექნიკის ინსტრუქცია, ასევე თვალაჩინო ადგილს იყოს განთავსებული ხანძარსაწინააღმდეგო საშუალებები და აფთიაქი. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. სასკოლო სასწავლო გეგმაში არსებული ჩანაწერის, ავტორიზაციის ჯგუფის წარმომადგენელთა ადგილზე ვიზიტისა და მასწავლებელთა ინტერვიუს დროს მიღებული ინფორმაციის საფუძველზე იკვეთება, რომ სკოლას საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის გააჩნია შესაბამისი მატერიალური რესურსი და საჭირო ინფრასტრუქტურა (კომპიუტერული ტექნიკა, წვდომა ინტერნეტთან). **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
უცხოური ენები	სკოლას გააჩნია კურიკულიმის განხორციელებისთვის აუცილებელი როგორც მატერიალური ისე ადამიანური რესურსები. სკოლა ძირითად რესურსებს იღებს სამინისტორსგან, შესაბამისად ყველა მოსწავლე უზრუნველყოფილია სახელმძღვანელოებით. სკოლას აქვს ინტერენეტი, კომპიუტერული ტექნიკა და პროექტორი, რომელთა გამოყენებითაც მოსწავლეებს აწოდებენ დამატებით ელექტრონულ რესურსებს. **სკოლა აკმაყოფილებს მოცემული ინდიკატორის მოთხვნას.**
ესთეტიკური აღზრდა	სკოლას წარმოდგენილი აქვს დოკუმენტი, სადაც თავმოყრილია ყველა ის საჭირო მატერიალური რესურსის ჩამონათვალი (კომპიუტერები, პროექტორები, ფორტეპიანო, ხმის გამაძლიერებლები, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების საგნისთვის განკუთვნილი რესურსი), რესურს-ოთახი, რომლებიც უზრუნველყოფს კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

	ატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია ყველა მოსწავლისთვის, რაც უფრო საინტერესოს და ეფექტურს ხდის სასწავლო პროცესს. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა	სახელმწიფო ენის საგნობრივი მიმართულების სამივე საფეხურით სწავლების პროცესისათვის სკოლა იყენებს შესაბამის მატერიალურ რესურსს მოსწავლეთა განსაზღვრული რაოდენობის შესაბამისად. შესაბამისი სასწავლო გარემოს, გრიფირებული და დამხმარე სახელმძღვანელოებისა და ონლაინრესურსების მეშვეობით მიიღწევა კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
მათემატიკა	სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსებით, რომლებიც ხელმისაწვდომია მოსწავლეებისათვის. კურიკულუმებში გათვალისწინებულია სხვადასხვა ტიპის, მათ შორის ელექტრონული რესურსების გამოყენება, რაც ზრდის სწავლა-სწავლების პროცესის მრავალფეროვნებასა და ეფექტიანობას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სპორტი	**სამივე საფეხურზე** - კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით. სასწავლო გარემო, აღჭურვილია სწავლა-სწავლების პროცესისთვის საჭირო საგანმანათლებლო ინვენტარითა და ტექნიკური საშუალებებით, რაც ხელს უწყობს სწავლის პროცესის ეფექტიან წარმართვას. ასევე, გათვალისწინებულია მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა, რაც შესაძლებელს ხდის თითოეული მოსწავლისთვის ხარისხიანი განათლების მიღებას, ინდივიდუალური მიდგომის გამოყენებას და უსაფრთხო, კომფორტული სასწავლო გარემოს შექმნას. **ინდიკატორი 2.2.2.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
ტექნოლოგიები	მასწავლებელთან ჩატარებული ინტერვიუსა და დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად გამოიკვეთა, რომ კომპიუტერული ტექნოლოგიების საგნის სწავლებისთვის სკოლაში შექმნილია შესაბამისი პირობები. სკოლას აქვს შესაბამისი ავეჯით აღჭურვილი კომპიუტერული ლაბორატორია, რომელიც

	უზრუნველყოფს პრაქტიკულ სასწავლო საქმიანობას და ხელს უწყობს კურიკულუმით განსაზღვრული შედეგების მიღწევას. სასწავლო პროცესში ხელმისაწვდომია მატერიალურ-ტექნიკური რესურსები: ინტერნეტში ჩართული საკმარისი რაოდენობის კომპიუტერები და პროექტორი, რაც საშუალებას აძლევს მასწავლებელს გამოიყენოს როგორც ციფრული სასწავლო რესურსები, ასევე ვიზუალური და საპრეზენტაციო მასალა. დამატებით გამოიყენება ს სხვადასხვა ვიზუალური რესურსი, რომლებიც ხელს უწყობს ინფორმაციის თვალსაჩინოდ წარმოდგენას და მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობას. ლაბორატორიაში არსებული ტექნიკა გამოიყენება პრაქტიკული დავალებების შესრულებისას, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კომპიუტერული ტექნოლოგიების საგანში, რადგან მოსწავლეებს ეძლევათ შესაძლებლობა უშუალოდ იმუშაონ პროგრამებსა და ვებ-ინსტრუმენტებთან. შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ სკოლაში არსებული მატერიალურ-ტექნიკური რესურსები ხელს უწყობს კურიკულუმით განსაზღვრული სასწავლო შედეგების მიღწევას და უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ეფექტიან ორგანიზებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	კურიკულუმის ფარგლებში წარმოდგენილი და გასაუბრებაზე ხსენებული რესურსები, კათედრას საშუალებას აძლევს მიაღწიოს ესგ-თი გათვალისწინებულ შედეგებს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია** სკოლა მთლიანობაში უზრუნველყოფს საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრულ სწავლის შედეგების მიღწევისათვის საკმარისი რაოდენობის მატერიალურ რესურსს, მოსწავლეთა რაოდენობის გათვალისწინებით, თუმცა არის გარემოებები, **რომლის მიხედვითას სკოლს მიეცეს რჩევა:** შეძლებისდაგვარად შეივსოს საბუნებისმეტყველო ლაბოატორია საჭირო დანადგარებით, ქიმიური ჭურჭლითა და რეაქტივებით, მერხებზე გადაკრული იყოს ქიმიური რეაქტივების მიმართ მედეგი, ცეცხლგამძლე საფარი (მოსწავლეებს არ აქვთ საშუალება იმუშაონ ან ინდივიდუალურად, ან ჯგუფურად); ლაბორატორიაში დამონტაჟებული იყოს ამწოვი კარადა. ლაბორატოიაში თვალაჩინო ადგილს იყოს განთავსებული უსაფრთხოების ტექნიკის ინსტრუქცია, ასევე თვალაჩინო ადგილს იყოს განთავსებული ხანძარსაწინააღმდეგო საშუალებები და აფთიაქი.

	ინდიკატორი შესაბამისობაშია

4. სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი

სკოლაში დასაქმებული ყველა მასწავლებელი არის კანონმდებლობის მოთხოვნასთან შესაბამისად დადასტურებული კომპეტენციებით. სკოლას ჰყავს 1 მენტორი, 5 წამყვანი და 26 უფროსი მასწავლებელი.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი კურიკულუმები
- სასწავლო პროცესში გამოყენებული საგანმანათლებლო რესურსები
- სკოლის მიერ განხორციელებული პროექტები
- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნებში.
- მუსიკის და ხელოვნების კურიკულუმები
- 2025-2026 სასწავლო წლის სასკოლოსასწავლო გეგმა
- მუსიკისა და ხელოვნების საგნებში გამოყენებული რესურსების ჩამონათვალი
- უცხო ენის კურიკულუმები (ინგლისური, რუსული; დაწყებითი, საბაზო, საშუალო);
- უცხო ენის კათედრის სხდომის ოქმი N4 რესურსების ვალიდაციის შესახებ.
- სასკოლო სასწავლო გეგემა

კომპიუტერული ტექნოლოგიები

- I-VI კლასის კურიკულუმები;
- შუალედური მიზნის მისაღწევი დავალებების გეგმები;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- ინვენტარიზაციის მასალები.

საბუნებისმეტყველო მიმართულება

- საბაზო და საშუალო საფეხურის საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მიმართულების (ქიმიის, ფიზიკისა და ბიოლოგიის) კურიკულუმის ჩარჩო - ცხრილები; კომპლექსური დავალებები;
- დაწყებითი საფეხურის ბუნებისმეტყველების კურიკულუმის ჩარჩო - ცხრილები; კომპლექსური დავალებები;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1. მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად**

სკოლის კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში სასწავლო კურიკულუმის მონიტორინგისა და შეფასების პროცესი დეტალურად არის გაწერილი და რამდენიმე ეტაპს მოიცავს.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

2. **მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას**

კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის მიხედვით, მონიტორინგი და შეფასება პირდაპირ განსაზღვრავს პრობლემების გადაჭრის გზებსა და საშუალებებს.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

3. **მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას**

მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება სასკოლო საზოგადოების აქტიური ჩართულობით. კურიკულუმის დანერგვის მეთოდოლოგიის თანახმად, მასწავლებლები ვალდებულნი არიან, აქტუალური და პრობლემური საკითხები განიხილონ მშობლებთან, რაც მათ აძლევს შესაძლებლობას, ჩაერთონ კურიკულუმის განვითარების პროცესში.
კერძოდ, თითოეული მასწავლებელი სასწავლო წლის მანძილზე ახორციელებს მოსწავლეთა მიღწევების ანალიზს, გამოკვეთს გასაუმჯობესებელ მხარეებს და გეგმავს მისი გამუმჯობესების გზებსა და გაუმჯობესების ვადებს.
ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა
- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს**

სკოლამ წარმოადგინა შეფასების სხვა და სხვა ინსტრუმენტი საგნობრივი ჯგუფების მიხედვით. სასწავლო წლის მანძილზე შესრულებული შემაჯამებელი დავალებების მრავალფეროვნება და სხვა პროექტული ტიპის დავალებების განხორციელება როგორც მოსწავლეს, ასევე მასწავლევებელს აძლევს შესაძლებლობას შეაფასოს მოსწავლე მრავალფერვან წყაროებზე დაყრდნობით.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

2. **შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით**

სასწავლო პროცესის შეფასება ხორციელდება იმის გათვალისწინებით, თუ რამდენადაა მოსწავლე ჩართული სწავლების პროცესში, დისკუსიაში, ჯგუფურ თუ ინდივიდუალურ მუშაობაში. ასევე მნიშვნელოვანია, რამდენად მონაწილეობს მოსწავლე არაფორმალურ აქტივობებში, კლუბურ მუშაობაში, სასკოლო ღონისძიებებში, ოლიმპიადებში და სკოლაში მიმდინარე სხვადასხვა პროცესებში.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

3. **შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები**

შეფასებისას სკოლა იყენებს მრავალფეროვან მეთოდს. შეფასების მიზნიდან და საკვლევი კითხვებიდან გამომდინარე, მასწავლებელი, დირექცია, სასწავლო პროცესში ჩართული სხვა პირები არჩევენ შესაბამის მეთოდებს და სტრატეგიებს. სკოლა იყენებს მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვან მეთოდებს, როგორიცაა: წერილობითი დავალებები, შემოქმედებითი პროდუქტები, პრაქტიკული დავალებები (პროექტი) ზეპირი პრეზენტაციები (შექმნილი პროდუქტების პრეზენტაცია და მოსწავლეებთან კითხვა-პასუხი).

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

4. **შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით**

მასწავლებლები შეფასების სისტემის შემუშავებისას მრავალ სხვადასხვაგვარ ფაქტორს ითვალისწინებენ. სკოლის მიერ წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმები და შეფასების დოკუმენტები ცხადჰყოფს რომ მოსწავლის შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით. წარმოდგენილი შემოქმედებითი და პროექტული ტიპის დავალებები ერთის მხრივ მოსწავლეს შესაძლებლობას აძლევს სცადოს საკუთარი ძალები სხვადასხვა მიმართულებით და მეორეს მხრივ მასწავლებელს აძლევს შესაძლებლობას, მოსწავლე შეაფასოს სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით. საგნობრივ კურიკულუმებში წარმოდგენილია როგორც ინდივიდუალური, ასევე ჯგუფური დავალებები.
ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შემაჯამებელის ანალიზის ნიმუშები
- შეფასების რუბრიკები
- საგნობრივი კურიკულუმები
- სასკოლო სასწავლო გეგმა

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.4. კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1. წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი**

სკოლას შემუშავებული აქვს კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი, სადაც აღწერილია სკოლის კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია, რაც მოიცავს: სასკოლო კურიკულუმის არსსა და ფუნქციებს; სისტემური დონის

რეგულაციებს, რომლებსაც ეფუძნება კურიკულუმი; კურიკულუმის განვითარების ძირითად ეტაპებს: შემუშავებას, დანერგვას, მონიტორინგსა და შეფასებას, გადასინჯვასა და რევიზიას; კავშირს სხვა დამხმარე და მმართველობით პროცესებთან.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

2. **კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს**

სკოლის მიერ შემუშავებული კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის თანახმად, კურიკულუმის შემუშავების პროცესი იწყება წინა წლის კურიკულუმის განხორციელების პროცესის ანალიზისა და შეფასების საფუძველზე. მთელი წლის განმავლობაში, პედაგოგები აანალიზებენ დანერგვის პროცესს კათედრის სხდომებზე. ისინი აგროვებენ მონაცემებს და განიხილავენ ინოვაციების დანერგვის პერსპექტივას პრობლემების გადასაჭრელად. ამ გამოცდილების საფუძველზე, სასწავლო წლის დასრულებისთანავე, პედაგოგები იწყებენ მუშაობას მომდევნო წლის სასწავლო გეგმაზე. კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია პრაქტიკულად მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმის შემუშავების პროცესს ემთხვევა.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა
- ოქმი კურიკულუმის გადასაინჯვა და რევიზია
- კურიკულუმი განვითარების მეთოდოლოგია
- გადამუშავებული კურიკულუმები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

.....

.....

.....

.....

თარიღი: 21.05.2026

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: